CYAN BLACK

# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

კვირა, 3 ოქტომბერი, 2004 წელი. №230 (4959) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

◎ „უწესო“ კანონი

# უკუღმა, ასინეთა, უკუღმა!

## ანუ, მართლაც, ვისია ტროტუარი, ფეხით მოსიარულეთა თუ?..





ყველაფერი შეიცვალა ქვეყანაში. ზოგი უკეთესობისკენ, ზოგიც – უარესობისკენ, ბევრმა „ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლა“, მაგრამ ეს არაფერიო, ვიტყვით, ნებისმიერ რევოლუციას მოჰყვებაო ასე, რევოლუცია, აბა, რისი რევოლუციააო.

დედაქალაქსაც დაეტყო სახეცვლილება – უკეთესობისკენ, რა თქმა უნდა. ისე ენაკვიმატ თბილისელებს სახუმარო-საქილიკოს რა გამოულევს. ჯერ იყო და, მოძრაობის ახალ ფორმას – „სამკუთხედად“ წოდებულს – „ბერმუდის სამკუთხედი“ შეარქვეს. შემდეგ გაიგეს, საკუთარი თვალით ნახეს, უპირატესობაშიც დარწმუნდნენ და მოეწონათ.

შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე დაყენებული ლითონის შესანიშნავი ღობით გამოყოფილ ადგილს „თბილისური ორღობე“ შეარქვეს პროსპექტის ნებისმიერ ადგილზე გადასვლის მოყვარულებმა, აქაოდა, გადახტომითაც ვერ ვახტებით, სასურველ ადგილზე რომ გადავიდეთო.

არადა, საჭირო ყოფილა. რატომ? იმიტომ, რომ ტროტუარზე მანქანების ტევა არ იყო და ხალხს ტრანსპორტის სავალ გზაზე უწევდა სიარული. ამოისუნთქეს ღობეშემორტყმულმა ტროტუარებმა, მაგრამ...

ოპერის მიმდებარე ტერიტორიას შეხედეთ, „აკადემიის ასასვლელს“, რუსთაველის პროსპექტის ცენტრალურ ნაწილს. კვლავ ტროტუარებია მანქანებით გადაჭედილი!

– ეს, რა ახალი წესია? ან სადაური წესია? – იკითხავთ თქვენ.

– სიდოური წესია და აქოური, თბილისური წესიაო, – ასე იტყოდა ალბათ ასინეთა. მაგრამ სეთური სხვაგვარად აუხსნიდა მას – უკუღმა, ასინეთა, უკუღმა!

ასეა, ბატონო, ტროტუარი – ხალხისთვის, გზატკეცილი – მანქანებისთვის! ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს!

მამუკა ვაშაკიძე.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

## ნომერში წაიკითხავთ:

### საზოგადოების ვარჯი ქალაქშია, ფესვი კი – სოფლად



წერილი ეძღვნება გაეროს პროგრამა „ჰაბიტატის“ მსოფლიო დღეს, რომელიც ყოველწლიურად 4 ოქტომბერს აღინიშნება. წლეულს იგი ეძღვნება თემას: „ქალაქები – სასოფლო განვითარების მამოძრავებელი ძალა“, რომელიც საქართველოს პირობებში დიდი აქტუალობით ხასიათდება.

მე-3-8 გვ.

### სენსაცია



ისრაელში კიბოს მკურნალობა ისწავლეს. ნაპოვნია ამ საშინელი დაავადების საწინააღმდეგო საშუალება. წელს, 29 აგვისტოს, იგი ყველა საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ახალი მეთოდით დააპატენტეს და ახლა იწყება მისი გამოყენება როგორც ისრაელში, ისე სხვა ქვეყნებშიც.

მე-6-7 გვ.

### ჰერერას იმპერია მდიდართათვის



მოდის ამ ცნობილ იმპერიას, რამდენიმე წელიწადია, ორი ქალბატონი – ჰერერა და მისი ქალიშვილი ადრიანა – ხელმძღვანელობს. მათი მოდელების მუდმივი მომხმარებელი ჟაკლინ კენედი-ონასისი ამბობდა: რასაც ამ ქალბატონების ხელები შეეხება, ყველაფერი ოქროდ იქცევაო...

მე-8 გვ.

◎ აქტუალური თემა

# დასავლეთი დუმილს არ აპირებს

**პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ამერიკაში უკანასკნელი ვიზიტის შემდეგ აშშ-ისა და ევროპის ასმა გავლენიანმა პოლიტიკოსმა და ინტელექტუალმა ნატოს და ევროპის კავშირის სახელმწიფოთა ლიდერებს რუსეთთან ურთიერთობის გადახედვისკენ მოუწოდა. „რუსეთის ახლანდელი ხელმძღვანელობა შორდება ევროატლანტიკური თანამეგობრობის ძირითად დემოკრატიულ ფასეულობებს“, – ნათქვამია ღია წერილში, რომლის ტექსტი გაზეთ „ფაინენშლ ტაიმს დოიჩლანდში“ გამოქვეყნდა.**

„ბოლო წლების განმავლობაში დასავლეთი ხშირად დუმდა იმ იმედით, რომ პრეზიდენტ პუტინის არასწორი მიმართულებით მოძრაობა მხოლოდ დროებითი მოვლენაა“, – აღნიშნულია წერილში. მისი ავტორების აზრით, „დასავლელმა პოლიტიკოსებმა უნდა აღიარონ, რომ რუსეთის მიმართ ჩვენი სტრატეგია ჩაიფუშა და იგი გადახედვას მოითხოვს“. წერილის ავტორები შემაშფოთებელ სიმპტომებს შორის აღნიშნავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დამოუკიდებლობის შეზღუდვას, ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევას და პრეზიდენტ პუტინის მიერ გუბერნატორების პირდაპირი არჩევნების გაუქმებას. პუტინი „ზღუდავს პრესის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, სპობს რუსეთის ფედერაციულ სისტემას, თვითნებურად ციხეში სვამს რეალურ და წარმოსახვით პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას არ აძლევს ლეგიტიმურ კანდიდატებს, აშინებს და აპატიმრებს არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს და ასუსტებს პოლიტიკურ პარტიებს“, – ნათქვამია წერილში. გარდა ამისა, ავტორები სხვა ქვეყნების მიმართ რუსეთის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას აკრიტიკებენ.

„ყველამ თავის საქმეს მიხედოს“, – მათი მისამართით კრიტიკას ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ხშირად ასე პასუხობენ.

კრემლი ბესლანის მოვლენების შემდეგ ამტკიცებს, რომ ის ისევე ებრძვის ტერორიზმს, როგორც აშშ. არადა, უსამა ბენ ლადენისა და „ალქაიდას“ შემთხვევაში სახეზეა ცივილიზაციათა შეჯახება და რელიგიათა გლობალური კონფრონტაცია, რუსეთს კი საკუთარი მოქალაქეები ებრძვიან.

იხ. მე-2 გვ.

◎ თარიღი

# პროგრამა „აგენდა 2010“ მოქმედებს

## გერმანიის გაერთიანების დღესასწაულთან დაკავშირებით

**გერმანელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულთან – გერმანიის გაერთიანების დღესთან დაკავშირებით საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ბატონ უვე შრამს ინტერვიუ ჩამოართვა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ირაკლი ჯაფარიძემ.**

**– ბატონო ელჩო, გთხოვთ საქართველოს საზოგადოებრიობას მოუთხროთ მიღწევებზე, რომლითაც გერმანელი ხალხი ხვდება დღესასწაულს.**

– ჯერ კიდევ ჩვენი კონსტიტუციის მამებს განზრახული ჰქონდათ ახალ გერმანულ სახელმწიფოში 1949 წლიდან არა მხოლოდ დემოკრატიული, არამედ სოციალური წესრიგი ჩამოეყალიბებინათ. ეს მათ კონსტიტუციის მე-20 მუხლში დააფიქსირეს. ამის შედეგად შეიქმნა მრავალმხრივ ახალი ეკონომიკური ფორმა, სოციალური საბაზრო ეკონომიკა, რომელიც მოგვიანებით „ეკონომიკური სასწაულის“ სახელით გახდა ცნობილი.

იხ. მე-2 გვ.



◎ კვირის თვალსაწიერი

# ალ-ქაიდადან ქუთაისამდე და იმის აქეთ

**რა შორს ერთმანეთისგან ვცხოვრობთ და, ქართველმა ჩინოვნიკებმა რუსი კოლეგებისგან ისე აითვისეს საერთაშორისო მუსულმანური ტერორისტული ორგანიზაციების კვალის მიკვლევა, თვალი არ დაუხამხამებიათ.**

ჩვენი სავარდო და სამაისო ქუთაისის მერიის დასაწვავად უცხოეთიდან სპეციალურად შემოპარულ მუსლიმანური ტერორისტული ორგანიზაციის დამკვრელ ჯგუფს კოვზი ნაცარში რომ ჩაუვარდა და ამ სრულიად საქართველოს უსტრატეგიულესი ობიექტის მხოლოდ სახურავის დაწვა შეძლო, ეს უკვე ვიცით, მაგრამ ელდა განელებული არ გვქონდა, რომ ამჯერად თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრის სახურავს წაეკიდა ცეცხლი.

თითქმის უეჭველია, ისიც იმ საზღვარგარეთული მუსლიმანური ტერორისტული ორგანიზაციის ნახელავია, ქუთაისის მერიის აპარატის უფროსმა გიორგი კლდიაშვილმა უმალ რომ ამხილა, როგორც კი უცხოელმა წინდაცვეთილმა ასასინმა წუმწუმას გაჰკრა ცეცხლის ასაგიზგიზებლად.

ვითარცა კარგად ინფორმირებულმა წყარომ გვაცნობა, ორივე ნახანძრალზე ნაპოვნი თმის (სავარაუდოდ, წვერის) თითო ღერის კრიმინალურ-ბალისტიკურმა ექსპერტიზამ თითქმის უტყუარად დაადასტურა, რომ ისინი საზღვარგარეთული მუსლიმანურ-ტერორისტული წარმოშობისანი არიან.

რაც შეეხება ბორჯომი-ხარაგაულის ნაკრძალში გაჩენილ და რის ვაივაგლახით ჩაქრობილ ხანძარს, ესეც უეჭველად იმავე „მასტისა“ უნდა იყოს, ისე საეჭვოდ იჩქარა თურქეთის მხარემ თვითმფრინავებით ჩვენი დახმარება ხანძართან ბრძოლაში.

ამის შემდეგ რუსეთს ენა როგორ უნდა მოუბრუნდეს დასამუნათებლად, ბესლანში ჩეჩნებთან ერთად ალ-ქაიდას და საქართველოს კვალი ჩანსო.

ისე, მუსლიმანურ-ჩეჩნური კვალი რუსებს ყველაფერში ელანდებათ. ამ რამდენიმე დღის წინათ როსტოვში შუაღამისას ქალაქის №20 საავადმყოფოს ვიღაც შერეკილმა მამაძაღლმა ავტომატის ჯერი მიუშვა, შემდეგ კი მეტი ეფექტისთვის ორი ხელყუმბარაც დააგრიალა. ეჭვი უმალ ჩეჩნებზე მიიტანეს, აქაოდა, ამ საავადმყოფოს დამწვრობის ცენტრში ბესლანში დაშავებული 3 ბავშვი მკურნალობსო. ბოლოს, როგორც იქნა, გაირკვა, თურმე წმინდა წყლის კრიმინალურ შემთხვევასთან ჰქონიათ საქმე და შამილ ბასაევი არაფერ შუაში ყოფილა. თუმცა ეს კია, იმღამინდელი ხულიგნობა საწყალი ბავშვების განკურნების პროცესს დაამუხრუჭებს – მათ იმ სროლითა და ხელყუმბარების აფეთქებით ძლიერი სტრესი მიიღეს.

განვლილი კვირა ხანძრების ტკაცატკუცის გარდა, საშუალო და უმაღლესი სკოლის რეფორმირების შესახებ კანონპროექტების გარშემო ატეხილი ხმაურითაც იყო დასახსომებელი. აზრი ორად არის გაყოფილი და გვირილაზე მარჩიელობისა არ იყოს, „ვუყვარვარ-არ ვუყვარვარო“, „გვინდა-არ გვინდას“ ძახილით მოწინააღმდეგენი ერთმანეთს უმოწყალოდ რქენენ.

არადა, რეფორმა რომ საჭიროა, თითქოს არავის ეჭვს არ იწვევს. რუსეთში რეფორმა (თუ რეფორმატორული ღონისძიებები) უკვე დაიწყეს. ამ დღეებში, მაგალითად, მოსკოვის ორ უმაღლეს სასწავლებელს: მარკეტინგისა და მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიას და მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტს ლიცენზიები და, შესაბამისად, სახელმწიფო ნიმუშის დიპლომების გაცემის უფლებაც ჩამოართვეს.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

### ეძებენ კატას ბნელ ოთახში...

**საქართველოს შს სამინისტრო მზად არის, რუსეთს პანკისის ხეობის ყველა მცხოვრების სია გადასცეს ნებისმიერი შემოწმებისთვის, განაცხადა საქართველოს შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა კიევში, დსთ-ის ქვეყნების შს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე.**

**ოქრუაშვილის თქმით, 1999 წელს მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქების ორგანიზატორი და შემსრულებელი აჩიმეზ გოჩიაევი, რომელზეც საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული, ამჟამად პანკისის ხეობაში არ იმყოფება.**

**როგორც ოქრუაშვილმა განაცხადა, საქართველოს სამართალდამცველი ორგანოების შეშფოთებას იწვევს გამოსასყიდის მიზნით ადამიანთა გატაცების ფაქტები.**

**– მარტო ბოლო ორი კვირის განმავლობაში რამდენიმე ათეული ადამიანია გატაცებული. გვაქვს ინფორმაცია, რომ ისინი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან. მეტიც, გვყავს კონკრეტული ეჭვმიტანილები, მაგრამ ჩვენ მათ ვერ ვაკავებთ, – აღნიშნა საქართველოს შს მინისტრმა.**

### პრივატიზაციიდან ას მილიონზე მეტს ელიან

**სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები სპეციალურ ფონდში აკუმულირდება, რომლიდანაც მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამები დაფინანსდება. საქართველოს ხელისუფლება მომავალ წელს პრივატიზაციიდან 94 მილიონი ლარის შემოსავლის მიღებას გეგმავს, თუმცა მთავრობის ვარაუდით, რეალურად ეს თანხა 100 მილიონ ლარს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს.**

**პრივატიზაციიდან მისაღები თანხები ბიუჯეტის ხარჯებში არ აისახება, რაც საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სპეციალური პროგრამების დაფინანსების შესაძლებლობას მისცემს.**

### სოხუმის ხელისუფლება შეშფოთებულია

**თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სოხუმის ქუჩებში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პლაკატების გაკვრაში ეჭვმიტანილი სომეხი ეროვნების 20-მდე მოქალაქე დააკავეს.**

**დაკავებულები ამჟამად სოხუმის ხელისუფლების უშიშროების სამსახურის იზოლატორში იმყოფებიან და მათი საქმის გამოძიებას გამოცდილი იურისტები აწარმოებენ.**

**იქაური წყაროს მონაცემებით, სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენლები შეშფოთებულნი არიან აფხაზეთში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების წინ მრავალრიცხოვანი სომხური სათვისტომოს წარმომადგენელთა პროქართული განწყობილების გამო და მომხდარში დე-ფაქტო ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს ადანაშაულებენ, რომელთა მოქმედების შედეგად „სომხური მოსახლეობა იძულებულია, თავისი უფლებების რეალური დაცვა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენას დაუკავშიროს“.**

### დაჩქარებული წესით განიხილავენ

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატმა პავლე ბერაიამ განაცხადა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ აფხაზეთში, დრანდის ციხეში უკანონო პატიმრობაში მყოფი ლევან მამასახლისის საქმე პრიორიტეტულად მიიჩნია და მას უახლოეს ხანში დაჩქარებული წესით განიხილავს.**

**ორგანიზაციის ადვოკატების განცხადებით, ლევან მამასახლისი და დანარჩენი პატიმრები, რომლებიც სასჯელს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა იზოლატორში იხდიან, პრაქტიკულად დაუცველნი არიან და უმძიმეს პირობებში იმყოფებიან.**

ინტერ-პრესი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დაძაბულობის გამო სომხეთი ზარალდება

თათულ აკოფიანი, 2 ოქტომბერი. „აზგ“ (ერევანი),

**აი უკვე ორი კვირაა, დახურულია რუსეთ-საქართველოს საზღვარი. ზოგიერთი მონაცემით, ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტში რუსეთის მხრიდან თავმოყრილია უამრავი სატრანსპორტო საშუალება, რომლებიც სომხეთისკენ მოემართებიან. როგორც ცნობილია, რუსეთმა ბესლანის ტრაგედიის შემდეგ გადაწყვიტა, გადაეკეტა საქართველოს საზღვარი. რუსეთში თანამდებობის პირები აღნიშნავენ, რომ ამ ბოლო თვეების განმავლობაში ჩრდილოეთ ოსეთში მომხდარ ტერორისტულ აქტებში გარკვეული წვლილი მიუძღვით საქართველოსა და აზერბაიჯანს, რომელთა ტერიტორიებიდანაც შეაღწიეს ჩეჩნეთში დაქირავებულებმა და ტერორისტებმა.**

რუსეთთან სომხეთის სახმელეთო კავშირი ხორციელდება საქართველოს ტერიტორიის გავლით. ეს არის ორი საბაჟო საკონტროლო-გამშვები პუნქტი – ზემო ლარსი და როკის გვირაბი. ეს უკანასკნელი განლაგებულია რუსეთ-საქართველოს საზღვრის სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე. როგორც „აზგ“-მა შეიტყო, დიპლომატიური წყაროებიდან, საზღვრის ეს საკონტროლო გამშვები პუნქტი მეტნაკლებად მაინც მოქმედებს. იმავე წყაროსთან საუბრის შემდეგ გაირკვა, რომ სომხებიც ახერხებენ სამხრეთ ოსეთში გადასვლას. შემდეგ კი წარმოიქმნება პრობლემები საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვარზე, რომელიც თბილისიდან 100 კილომეტრზე მდებარეობს. საქართველოს მხარე არ ატარებს სომხეთისაკენ მომავალ ტრანსპორტს და იგი იძულებულია გაჩერდეს სამხრეთ ოსეთში. დიპლომატებმა გვითხრეს, რომ თანამდებობის პირებთან გამართული მოლაპარაკების შედეგად შეძლეს ცხინვალიდან სამი ავტობუსით გამოეყვანათ სომხეთის მოქალაქეები. სამხრეთ ოსეთში გაჩერებულია ორი სატრანსპორტო საშუალება, რომლებიც დატვირთულია სომხეთის ატომური ელექტროსადგურისათვის განკუთვნილი სპეციალური მოწყობილობით.

იხ. მე-2 გვ.

## ინტერპანორამა

ერაყის ქალაქ სამარში ჩატარებული სამხედრო ოპერაციის დროს დაიღუპა 125 მოთარეშე, დაახლოებით 90 კი ტყვედ ჩავარდა. აშშ-ს ქვეითთა დივიზიის სარდალმა, გენერალმა ჯონ ბატისტამ განაცხადა, რომ ამერიკელი სამხედროები ყოველ ღონეს ხმარობდნენ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის მინიმუმამდე შემცირებისთვის. მისივე თქმით, ოპერაცია ქალაქში, რომელიც წინააღმდეგობის ერთ-ერთი კერაა, კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება.



„ერაყის ისლამური არმიის“ დაჯგუფებამ მძევლად აიყვანა რამდენიმე ინდონეზიელი ქალი და ინდონეზიის ხელისუფლებისგან „ჯემაა ისლამიას“ ლიდერის აბუ ბაქარ ბააშირის გათავისუფლება მოითხოვა. მაგრამ ამ უკანასკნელმა საპყრობილედან გამოსვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა, რადგან, მისი თქმით, ნამდვილი მუსულმანები არ ებრძვიან ქალებსა და ბავშვებს და მძევლებად არ აჰყავთ ისინი.



ტერორისტებმა მაჰათმა განდის დაბადების დღე აფეთქებათა სერიით აღნიშნეს. სამი აფეთქება ზედიზედ გაისმა დიმაპურში – პატარა შტატის ნაგალენდის კომერციულ დედაქალაქში. ტერორისტებმა სამიზნედ აირჩიეს ხალხმრავალი სასურსათო ბაზარი და რკინიგზის სადგური. აფეთქებებს 45 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.



სწავლულებმა ანტარქტიდის თავზე ოზონის ხვრელის შემცირება დააფიქსირეს. – თუ შარშან ამ ხვრელის ფართობი 28,2 მილიონ კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, ახლა იგი ერთი მეხუთედით არის შემცირებული, – ამბობს ახალზელანდიელი ექსპერტი სტეფან ვუდი.

CYAN BLACK

აქტუალური თემა

# დასავლეთი დუმილს არ აპირებს

(პირველი გვერდიდან)

მოგეხსენებათ, რუსეთის გენშტაბის უფროსის ბალუევსკის განცხადებებს, რომ მის ქვეყანას უფლება აქვს, გამაფრთხილებელი დარტყმები მიაყენოს ტერორისტთა ბაზებს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, დასავლეთის ოფიციალური წრეების [illegible] რეაქცია არ მოჰყოლია. [illegible] რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რო-

[illegible] თავის მოხსენებაში როგორც ქართული, ისე ოსური მხარის დარღვევებზე ობიექტურად საუბრობს, [illegible] ერთ ქვეყანაში და ერთი პრეზიდენტი ეყოლება. ექსპერტების აზრით, თუ ამ ფორმულამ რეალური კონტურები შეიძინა, მაშინ საქართველოს ცხინვალის რეგიონის და-

საბრუნებლად ომის გარდა, სხვა გზა არ აქვს [illegible] კი, ცხინვალის რეგიონში ჩვენი იურისდიქციის აღდგენის დასაწყისი იქნება.

**მზია გელენავა.**

ავარიის შემდეგ

# მოსახლეობას ზარალი აუნაზღაურდება

**ბრიტანულ-ქართულმა ნავთობკომპანიამ ნინოწმინდის ჭაბურღილთან მომხდარი ავარიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ზარალის ანაზღაურების მიზნით ყურძნის მიღება დაიწყო. ერთი კვირის განმავლობაში კომპანია 10 თეთრით მეტ ფასად ჩაიბარებს ყურძენს, ვიდრე ქარხნებში იბარებენ. გარდა ამისა, ამავე პერიოდში სოფლების ნინოწმინდისა და წყაროსთავის მოსახლეობას „ალდაგის" ჯანმრთელობის პოლისები დაურიგდება.**



როგორც „ინტერ-პრესს" კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნიკო თევზაძემ განუცხადა, მოსახლეობის მიერ ჩაბარებული დაზიანებული ყურძენი „ალდაგის" დახმარებით ჩაბარდება ქარხნებში, რომლებიც ტექნიკურ სპირტს აწარმოებენ.

მისივე თქმით, ყურძნის გარდა, გათვალისწინებულია მოსახლეობისთვის ზარალის ანაზღაურება ავარიის შედეგად დაზიანებულ სხვა მოსავალზეც. გარდა ამისა, დაპირებისამებრ, ამ სოფლების მოსახლეობისათვის კომპანია ორ ჭაბურღილს გათხრის, საიდანაც ადგილობრივებს სასმელი წყლის მიღება შეეძლებათ.

ავარიის შედეგად სოფელ ნინოწმინდისთვის და მიმდებარე ტყის ფართობისთვის მიყენებული ზარალის ზუსტი ოდენობა დღეისათვის დადგენილი არ არის. მის დასაზუსტებლად და მოსახლეობისთვის ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად სპეციალური სახელმწიფო კომისიაა შექმნილი. თევზაძის თქმით, ზარალის დადგენაში, კერძოდ, ტყის ფართობის მდგომარეობის შესწავლასა და გაწმენდაში ქართველ სპეციალისტებს ინგლისიდან საგანგებოდ ჩამოსული სპეციალური კომისიაც დაეხმარება.

10 სექტემბერს ნინოწმინდის №100 საბადოზე ნავთობი ამოიფრქვა. ავარიის ლიკვიდაცია 13 სექტემბრამდე ვერ მოხერხდა. დაკონსერვებული შადრევნის ამოფრქვევის გამო ნავთობით დაბინძურდა სოფელი ნინოწმინდა და სოფელ წყაროსთავის ნაწილი. ნავთობის გაფრქვევა ქარმა გამოიწვია.

**ინტერ-პრესი.**

ინფორმაცია

სემინარი

### კოდექსის უკეთ განხილვისათვის

საქართველოს პარლამენტში ახალი „საგადასახადო კოდექსის" განხილვის პროცესის ხელშეწყობის მიზნით 2-3 ოქტომბერს გუდაურში სემინარი გაიმართება. ღონისძიების მიზანია „საგადასახადო კოდექსის" საპარლამენტო განხილვების ეფექტურობის ამაღლება. შეხვედრის მონაწილეები შეიმუშავებენ დასკვნით დოკუმენტს, რომელსაც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი საკომიტეტო განხილვისას გამოიყენებს.

სემინარის ორგანიზატორები არიან „ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სქემა", „საქართველოს გადამხდელთა კავშირი", „საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი", „საერთაშორისო გამჭვირვალეობა – საქართველო" და საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატა.

შეხვედრებში პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრები, საპარლამენტო ფრაქციებისა და კომიტეტების თავმჯდომარეები, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები და ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობას.

საქართველოს პარლამენტმა ახალი „საგადასახადო კოდექსი" პირველი მოსმენით ოქტომბრის ბოლოს უნდა მიიღოს.

კონფლიქტის ზონა

### ვინ გახდება უღიარებელთა პრეზიდენტი?

არძინბას ხელისუფლების ოპოზიცია აფხაზეთში დღეისათვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას იმედოვნებს.

„გაერთიანებული ოპოზიცია საპრეზიდენტო არჩევნებს პირველ ტურში მოიგებს",– განუცხადა გუშინ „ინტერპრესს" საზოგადოებრივი მოძრაობა „აიტაირას" თანათავმჯდომარემ ლეონიდე ლაკერბაიამ, რომელიც



აფხაზეთში 3 ოქტომბრისათვის დანიშნულ არჩევნებში საზოგადოებრივი მოძრაობების „ერთიანი აფხაზეთისა" და „ამცახარას" ერთიან კანდიდატს სერგეი ბაღაფშს უჭერს მხარს.

მისივე პროგნოზით, თუ არძინბას ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს და მე-2 ტურის ჩატარება გახდება საჭირო, ოპოზიცია არჩევნებს მაინც მოიგებს, ვინაიდან „ყველასათვის ნათელია, რომ ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატს მხარს მოსახლეობის უმეტესობა უჭერს".

პრეზენტაცია

### მისაღები გამოცდების ახალი მოდელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ გუშინ ზუგდიდის საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღები გამოცდების ახალი მოდელი წარმოადგინა.

აღნიშნული ღონისძიებით სამინისტრო საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ახალი მოდელის ოფიციალურ პრეზენტაციას აგრძელებს. ამ პროგრამით მინისტრი დღეს ფოთსაც ეწვევა, უახლოეს მომავალში კი პრეზენტაცია ახალციხეში, ოზურგეთში, რუსთავსა და თბილისშია დაგეგმილი.

მომავალი წლიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები ახალი სისტემით ჩატარდება. სამინისტროს გადაწყვეტილებით, პროექტ „ილია ჭავჭავაძის" ფარგლებში შექმნილმა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა მისაღები გამოცდების ახალი მოდელი, რომლის მიზანია უმაღლესი სასწავლებლებისთვის საუკეთესო აბიტურიენტების შერჩევა. გარდა ამისა, როგორც სამინისტროში ვარაუდობენ, ახალი სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს საგამოცდო კომისიის მაქსიმალურ ობიექტურობას და აბიტურიენტის ცოდნის უნიფიცირებული მეთოდით შეფასებას.

ლუდის დღესასწაული

### „ყაზბეგი" ათი წლისაა

კომპანია „ყაზბეგმა" გუშინ კუს ტბაზე ლუდის დღესასწაული გამართა, რომელსაც თან ახლდა გრანდიოზული კონცერტი.

მთელი ზაფხულის განმავლობაში „ყაზბეგი" საქართველოს რეგიონებში ღია ცის ქვეშ ტრადიციულ უფასო კონცერტებს და ლუდის სმაში საქართველოს ჩემპიონის გამოსავლენად შესარჩევ ტურებს მართავდა. გამარჯვებულები უკვე გამოვლინდნენ, ამჯერად კი მათ შორის ყველაზე ძლიერი „ჰიუნდაის" მარკის ავტომობილის და ლუდის სმაში საქართველოს ჩემპიონის საპატიო ტიტულის მფლობელი გახდა.

ეს კომპანიის საიუბილეო საჩუქარია: წელს „ყაზბეგს" დაარსებიდან 10 წელი უსრულდება.

**ინტერ-პრესი.**

თარიღი

# პროგრამა „აგენდა 2010" მოქმედებს

## გერმანიის გაერთიანების დღესასწაულთან დაკავშირებით

(პირველი გვერდიდან)

ამ სისტემის მიღწევები შემდგომშიც განვითარდა და დღეს უკვე მაღალგანვითარებული სოციალური სახელმწიფო მივიღეთ. რა თქმა უნდა, განვითარების ეს რთულ და დიდ ხარჯებთან დაკავშირებული სოციალური სისტემა შეცვლილ ეროვნულ და საერთაშორისო გარემოს უნდა მოერგოს. ასეთი მორგება დღესდღეობით გერმანიაში რეფორმათა პაკეტი „აგენდა 2010"-ით ხორციელდება, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს გერმანიის სოციალური სისტემის დაცვის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, „აგენდა 2010"-ის მეშვეობით უნდა გაჩნდეს რესურსები, რომლებიც განათლების, კვლევისა და ტექნოლოგიის განვითარებას მოხმარდება.

**– რა სიძნელეები უნდა გადაილახოს ამ პროცესში?**

– ამ კითხვას თქვენ მაშინ მისვამთ, როდესაც გერმანიაში ინტენსიური დისკუსიები იმართება სოციალური სახელმწიფოს ქმედითუნარიანობის შესახებ. გერმანიაში სხვადასხვა სოციალური დაცვის სისტემის, საპენსიო, სამედიცინო და უმუშევრობის დაზღვევების გადამოწმება მიმდინარეობს. მარტო გერმანიის დემოგრაფიული პრობლემის გამო (მცირე შობადობა მზარდი განვითარების პირობებში) ქვეყნის ამჟამინდელი საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა მისი ქმედითუნარიანობის ზღვარზე იმყოფება. უმუშევართა რაოდენობის ზრდა ტვირთად აწვება უმუშევართა დაზღვევის სალაროებს. „აგენდა 2010"-ით გერმანიის მთავრობა მრავლისმომცველი ღონისძიებების განხორციელებას გეგმავს, რომლებზეც მე უკვე თქვენს მიერ დასმული პირველი შეკითხვის პასუხში ვისაუბრე.

**– როგორ შეაფასებთ მსოფლიო პოლიტიკურ სიტუაციას ახალი ათასწლეულის დასაწყისში?**

– დღეს მთელი მსოფლიო ორი დიდი და სახიფათო პრობლემის წინაშე დგას. ესენია საერთაშორისო ტერორიზმი და სიღატაკე. მაშინ, როდესაც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ტერორიზმის საფრთხე მსოფლიოში ამ მასშტაბით ახალია და მის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს, პირველ რიგში მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, შიმშილი და ეპიდემიები ცნობილი ფენომენებია, რომელთა დაძლევის პროცესი ძალზე ნელა მიმდინარეობს. ორივე პრობლემა ეხება მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებს და მხოლოდ ერთიანი მრავლისმომცველი ღონისძიებებით შეიძლება მათი გადაჭრა. ამიტომ ამ პრობლემის დასაძლევად გაერო უმნიშვნელოვანესი ორგანოა. ამ ორგანიზაციის სხვა დამსახურებებიდან გამომდინარე გერმანიის ფედერალური მთავრობა აქაც ხედავს მომავალში კიდევ უფრო ეფექტიანი თანამშრომლობის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონ იოშკა ფიშერის გამოსვლაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე გაიჟღერა წინადადებამ უშიშროების საბჭოს რეფორმისა და მისი გაფართოების შესახებ.

მინდა ცოტა ოპტიმისტური პასუხიც გაგცეთ: ახალი ათასწლეული იწყება უდიდესი წინსვლით ევროპის გაერთიანების გზაზე. მაისში ევროკავშირს კიდევ ათი ქვეყანა შეუერთდა. სულ მალე ვიმედოვნებთ ერთობლივი კონსტიტუციის მიღებას.



ევროპის გასული ასი წლის ისტორიას თუ გადავხედავთ, მივხვდებით, რომ ის, რაც გაკეთდა, წარმოუდგენელი მიღწევაა.

**– თქვენი აზრით, რა უნდა იყოს თითოეული ქვეყნის პრიორიტეტი ისეთი პრობლემის დასაძლევად, როგორიც ტერორიზმია?**

– ეს ძალზე კომპლექსური შეკითხვაა. არ მგონია, რომ არსებობს პირდაპირი პასუხი, რადგანაც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი სიტუაციაა. უსაფრთხოების ზომებთან ერთად მნიშვნელოვანია პირველ რიგში გამომწვევი მიზეზების დადგენა და დიალოგი განსხვავებული აზრისა და რწმენის მქონე ადამიანებთან.

**– გერმანიის საელჩო თბილისში 1992 წლიდან არსებობს. ასე რომ, თქვენ ყველა იმ რთული პროცესის მომსწრე ხართ, რომელიც საქართველოში მიმდინარეობდა. აგრეთვე იცით იმ რთული სოციალური და ეკონომიკური მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც ახალმა მთავრობამ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მიიღო. თქვენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამ რთული სიტუაციის დასაძლევად?**

– პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობამ მიზანდასახული და აუცილებელი რეფორმების პროგრამა წარმოადგინა. ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს თქვენს ქვეყანასთან და მივესალმებით იმ ღონისძიებებს, რომლებიც საქართველოსა და ქართველების ბედნიერ მომავალსა და კეთილდღეობას უზრუნველყოფს. მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ეს მხოლოდ მოთმინებითა და მთელი ქართული საზოგადოების აქტიური მონაწილეობით მიიღწევა. გერმანია, მისი მთავრობა და ჩვენი ქვეყნის უამრავი მოქალაქე მომავალშიც სიამოვნებით დაეხმარება საქართველოს.

**– გერმანია არის „გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის" წევრი. რა ბარიერები არსებობდა და არსებობს დღეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზაზე?**

– ჩემი აზრით, ყველაზე დიდი ბარიერი ერთმანეთისადმი ნდობის არარსებობაა. ამ ბარიერის დასაძლევად საჭიროა მუდმივი დიალოგი ყველა დონეზე, როგორც პოლიტიკური დიალოგი, ასევ კონტაქტები და შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების დონეზე. მე ვგულისხმობ მოსწავლეებს, სტუდენტებს, ხელოვანებს, სპორტსმენებს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ეკონომიკურ კონტაქტებსაც. როდესაც ნდობა გაჩნდება, მაშინ ამ საკითხების მოგვარებაშიც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება.

**– რას უსურვებდით საქართველოს ახალ მთავრობას, რომელმაც ქვეყნის გაერთიანება დაისახა მთავარ მიზნად?**

– მე ვუსურვებ მას, რომ მიეღწიოს ამ მიზნისთვის ბრძნული გადაწყვეტილებებით, საჭირო მოთმინებითა და მხოლოდ მოლაპარაკების გზით თქვენი უმშვენიერესი ქვეყნის მოქალაქეთა საკეთილდღეოდ.

კვირის თვალსაწიერი

# ალ-ქაიდადან ქუთაისამდე და იმის აქეთ

(პირველი გვერდიდან)

ამბობენ, ჩვენშიც ბევრი უმაღლესი სასწავლებელი დაკარგავსო თავს.

მართლაც, რა ამბავია! საქართველოში არსებობს 26 სახელმწიფო, 18 მათთან არსებული ფილიალი და 150 არასახელმწიფო საერო (ფასიანი) უმაღლესი სასწავლებელი. 2003-2004 სასწავლო წელს ყველა ამ უმაღლეს სასწავლებელში 153,3 ათასი სტუდენტი ირიცხებოდა. სხვათა შორის, მათი დიდი ნაწილი – 123,9 ათასი ახალგაზრდა – სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი იყო (მათგან 54 ათასი – ფასიანი სწავლების ჯგუფებში), არასახელმწიფო საერო უმაღლეს სასწავლებლებში კი – 29,4 ათასი.

და ეს რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

და ყოველწლიურად იზრდება უმაღლესდამთავრებულთა უმუშევრობის დონე. დღეისათვის უმაღლესი განათლების გვყავს... 773 ათასი კაცი, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით კი – 116 ათასი კაცი... ამ ერთ ფიორა საქართველოში ამხელა არმიას რა დაასაქმებს!

ამრიგად, 4,5-მილიონიან რესპუბლიკაში თითქმის მეოთხედი დიპლომიანია, რომელიც, თუ გამოუვალი მდგომარეობა არ შეექმნათ, თოხს არ აიღებს ხელში.

გვჭირდება ამდენი უმაღლესი სასწავლებელი, ამდენი სტუდენტი და ბოლოს ამდენი სპეციალისტი (იმაზე ნურაფერს ვიტყვით, რა დონის სპეციალისტია მათი ძირითადი მასა)?

სამაგიეროდ განუხრელად კლებულობს მოსწავლეთა რაოდენობა დაწყებით პროფესიულ სახელობო სასწავლებლებში: 2001 წლის 14,3 ათასიდან 2003 წლისთვის – 9,3 ათასამდე ჩამოვიდა, იმავე პერიოდში სახელმწიფო საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში 27,4 ათასიდან – 20,4 ათასამდე...

ასე რომ, ჩვენ არა მხოლოდ განათლების სისტემის (ყველა დონის) რეფორმა გვჭირდება, არამედ სოციალური რეფორმაც. თუმცა კი განათლების შესახებ კანონპროექტებზე ატეხილი ჯახა-ჯუხისა არ იყოს, ალბათ, სოციალური გარდაქმნებიც აზრთა უკიდურეს დაპირისპირებას გამოიწვევს (ან რა გადაგვიწყვეტია უამისოდ!). რუსეთში, მაგალითად, კითხვას, მოგწონთ თუ არა ჩატარებული სოციალური რეფორმაო, უარყოფითად პასუხობს გამოკითხულთა 64 პროცენტი, ხოლო კითხვას, რას მოუტანს ქვეყანას სოციალური რეფორმაო, 52 პროცენტი უყოყმანოდ პასუხობს, დიდ ვნებასო.

ეს უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა სახელმწიფო კაცებმა, სანამ ისეთ სიახლეს შემოგვთავაზებენ, რომელზეც 52 თუ 65 პროცენტი ღრიალით უპასუხებს, აქედან მოგვაშორეთო.

არ დაგვავიწყდეს, რომ ასეთ მომენტებზე დიდად არის დამოკიდებული მთლიანად ხელისუფლების თუ ქვეყნის ხელმძღვანელის რეიტინგის ამპლიტუდა. ისევ რუსეთის მაგალითს მოვიტან: როცა მარტში ვლადიმერ პუტინი მეორედ აირჩიეს პრეზიდენტად, მის მოღვაწეობას დადებითად აფასებდა ქვეყნის მოსახლეობის 81 პროცენტი. ბესლანის მოვლენების შემდეგ ეს მაჩვენებელი 66 პროცენტამდე დაეცა და დღემდე ამ დონეზე რჩება. ასეთი დაცემა წყალქვეშა ნავის „კურსკის" დაღუპვის შემდეგ არ მომხდარა (მაშინ რეიტინგის ნიშნულმა 60 პროცენტამდე დაიწია).

ასე რომ, ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი და გამოსათვლელი. უპირველეს ყოვლისა, იმათ მიერ, ვისაც გათვალისწინება და გამოთვლა ეკუთვნის და ევალება.

**ალეკო ასლანიშვილი.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დაძაბულობის გამო სომხეთი ზარალდება

(პირველი გვერდიდან)

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ ამ სატრანსპორტო საშუალებებს დართონ საზღვრის გადაკვეთის ნება. დიპლომატმა აგრეთვე თქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ზოგიერთ ავტომობილს აძლევს საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვარზე გადასვლის უფლებას. მისი თქმით, ქართველებს სურთ სომხებს არაორაზროვნად მიანიშნონ: ხომ ხედავთ, თქვენი სტრატეგიული მოკავშირე – რუსეთი ზემო ლარსის საკონტროლო გამშვებ პუნქტში საზღვრის გადაკვეთის უფლებას არ გაძლევთ, ჩვენ კი, ქართველები, გეხმარებით.

სხვათა შორის, გუშინ ერევანში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე სერგეი მირონოვი. როგორც „მედიამაქსის" სააგენტო იტყობინება, ბატონმა მირონოვმა ერევანში გამოთქვა იმედი, რომ „სომხეთის ხელმძღვანელობა გაგებით მოეკიდება" რუსეთის გადაწყვეტილებას ზემო ლარსის მონაკვეთზე რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩაკეტვის შესახებ. ამას მან „იძულებითი ღონისძიება" უწოდა. „საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე შემოდიან ტერორისტები, რომლებიც იქ თავს საკმაოდ კარგად გრძნობენ. ასეთი ნაბიჯი არანაირად არ არის გამიზნული სომეხი ტვირთის გადამზიდველების წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, თუ რა პრობლემები აქვს სომხეთს", – აღნიშნა მან.

ჯერჯერობით არ არის გარკვეული, თუ როდის გაიხსნება რუსეთ-საქართველოს საზღვარი. საქართველოს საბაჟო სამსახური იტყობინებოდა, რომ ამის გამო ქვეყანამ უკვე დაკარგა დაახლოებით 8,5 მილიარდი დოლარი. თუ გავითვალისწინებთ სომხეთ-რუსეთის ტვირთბრუნვას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საზღვრის ჩაკეტვის გამო სომხეთის ეკონომიკური დანაკარგები კიდევ უფრო დიდი იქნება.

# საზღვარგარეთი დაგვეხმარება?

ა. რაშიდოღლუ.
„ზერკალო" (ბაქო), 2 ოქტომბერი.

**დასავლელი პოლიტიკოსების აზრით, საქართველოსა და აზერბაიჯანის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მთავარი გარანტი, შესაძლოა, გახდნენ შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები**

**მას შემდეგ, რაც ნატომ მიიღო გადაწყვეტილება ბაქოში დაგეგმილი** Cooperative Best Effort-2004 **წვრთნის გაუქმების შესახებ, ოფიციალურმა ვაშინგტონმა მკაცრად გააკრიტიკა ჩვენი ქვეყნის ოფიციალური წრეები.**

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ხანებში პოლიტიკურ წრეებში საკმაოდ ხშირად განიხილავენ შეერთებულ შტატებთან აზერბაიჯანის ურთიერთობის შემდგომ პერსპექტივებს.

მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კასპიისპირა რეგიონში დამკვიდრებისათვის ამერიკელთა სწრაფვა გულისხმობს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დომინირების ალკვეთას და იმას, რომ შეერთებულ შტატებს შეუზღუდავად მიუწვდებოდეს ხელი კასპიის ბუნებრივ რესურსებზე. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი აზერბაიჯანის ნავთობ-გაზსადენები დაეხმარება შეერთებულ შტატებს მთავარი ამოცანის გადაწყვეტაში – წაართვას რუსეთს მონოპოლია რეგიონში და ასეთი გზით გამოაცალოს მას ხელიდან მთავარი პოლიტიკური ბერკეტი – ზემოქმედება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების პოლიტიკაზე.

როგორც გავლენიანი ამერიკელი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი ამტკიცებს, საქმე ეხება შეერთებული შტატების გეოპოლიტიკურ ძლიერებას რეგიონში, კასპიის ზღვისა და შუა აზიის პოტენციურ უზარმაზარი ბუნებრივ სიმდიდრეებზე გასვლას, შეერთებული შტატების ენერგეტიკულ უშიშროებას. ამ გეოპოლიტიკური დაპირისპირების უპირველეს მიზნად თვალსაჩინო ამერიკელ პოლიტოლოგს მიაჩნია ის, რომ ამერიკამ შეაღწიოს ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში. ამიტომ, სამხრეთ კავკასიაში ამ ბოლო დროს განვითარებული ყველა მოვლენა, ექსპერტების აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე უნდა განვიხილოთ.

ბჟეზინსკის შეფასებით, რეგიონში ძირითადი ნავთობსადენები თუ გაივლის რუსეთის ტერიტორიას, მისი შავი ზღვისპირა ნავსადგურის ნოვოროსიისკის ტერმინალებამდე, ყოველივე ამის პოლიტიკური შედეგი იჩენს თავს რუსეთის მხრიდან ძალის აშკარა დემონსტრირების გარეშეც. რეგიონი პოლიტიკური თვალსაზრისით კვლავ დამოკიდებული იქნება კრემლზე, მოსკოვი კი განიმტკიცებს პოზიციას, რადგან უკვე ერთპიროვნულად გადაწყვეტს, თუ როგორ უნდა გაანაწილოს კასპიის ზღვისა და შუა აზიის ახალი ბუნებრივი სიმდიდრეები.

აქ არანაირი ვარიანტი არ არსებობს – მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების აქტიური მონაწილეობა ნატოს პროგრამებში, დასავლელ ექსპერტთა აზრით, უზრუნველყოფს ამ რეგიონში მომავალი მრავალმილიარდიანი ინვესტიციების სტაბილურობასა და უშიშროებას. ასეთ შემთხვევაში სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მთავარი გარანტი ხდება არა ნატოელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით შექმნილი ეროვნული არმიები, არამედ საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე დისლოცირებული ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზები, აღნიშნავენ დასავლელი ანალიტიკოსები.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ნატოში მიღებამდე აუცილებელია მთელი რიგი წინასწარი პირობების შესრულება – ორივე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მათი მცირერიცხოვანი არმიების ალიანსის სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანა, უახლოეს მეზობლებთან ტერიტორიული უთანხმოების აღმოფხვრა. ამიტომ, ასლან აბაშიძის რეჟიმის დამხობა აჭარაში და საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების ფორსირებული გაყვანა შეიძლება განვიხილოთ როგორც ამ ჯაჭვის პირველი რგოლი. აჭარის უსისხლოდ დაბრუნება ამერიკული დიპლომატიის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. ეგრეთ წოდებულ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკაში პრორუსული სეპარატისტული რეჟიმის დამხობა კი საბოლოოდ შეასუსტებდა რუსეთის ფედერაციის პოზიციებს რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი აგებს სამხრეთ კავკასიისათვის გაჩაღებულ გეოპოლიტიკურ ბრძოლას. კრემლს ჯერჯერობით არ ძალუძს განახორციელოს შეტევითი ძალისმიერი პოლიტიკა – აშკარად სუსტია მისი არმია და ფლოტი, ვერც ეკონომიკა მოქმედებს გამართულად, ქვეყანა პრაქტიკულად ვერ აწარმოებს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიან საქონელს. ამიტომ, შედარებით სუსტი მოსკოვი დღეს არ არის მიმზიდველი პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამხედრო და კულტურული თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვისაც კი. ამ რეგიონში სიტუაციის განვითარების საერთო პროგნოზი უახლოესი მომავლისათვის რუსეთისთვის აშკარად არასახარბიელოა.

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების ინტერესები კი მჭიდროდ მიუახლოვდა რუსეთისა და ირანის საზღვრებს.

მოსკოვმა იმთავითვე დაუშვა უხეში პოლიტიკური შეცდომა, როცა მხარში ამოუდგა სეპარატისტებს აზერბაიჯანსა და საქართველოში. მოსკოვის მიზანი მარტივი იყო: შეენარჩუნებინა ეს ქვეყნები თავისი გავლენის სფეროში და არ მიეცა მათთვის ამა თუ იმ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა. მაგრამ ოფიციალური მოსკოვი მოტყუვდა: იმპერია დაიშალა.

ყოველივე ამით ვინმე თუ დარჩა მოგებული რუსეთში? ალბათ არა. საქართველოსთან და აზერბაიჯანთან რუსეთის დღევანდელი ურთიერთობა მოწმობს იმას, რომ ჩრდილოელი მეზობლის კავკასიური პოლიტიკა, მეტი რომ არ ვთქვათ, ჩიხში მოექცა.

ჯერჯერობით მხოლოდ სომხეთი იმყოფება რუსეთის გავლენის სფეროში.

თუმცა, რუსი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ყველაფერი შეიცვლება, თუ ამერიკის შეერთებული შტატები შეძლებს მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაჭრას, სომხეთს, აზერბაიჯანსა და თურქეთს მოახვევს თავს მისი მოგვარების მეტ-ნაკლებად მისაღებ ფორმებს, უზრუნველყოფს აზერბაიჯანიდან თურქეთისაკენ ნავთობსადენის ერთ-ერთი შტოს გაყვანას სომხეთის ტერიტორიის გავლით და, მაშასადამე, ეკონომიკურად მჭიდროდ დაუკავშირებს ერთმანეთს ამ სამივე ქვეყანას. მაშინ სტრატეგიული თვალსაზრისით წარმოიქმნება სერიოზული პრობლემები. მაშინ ასევე ეჭვქვეშ დადგება სომხეთში რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ყოფნის შესაძლებლობა და აუცილებლობა.

ჩეჩენი პარტიზანების დაშოშმინებისათვის კრემლის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც მიზნად ისახავენ ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის მძლავრი გავლენის აღდგენას, ზემოქმედების გაძლიერებას საქართველოსა და აზერბაიჯანზე, რათა არ დაუშვას ამ რეგიონში შეერთებული შტატებისა და დასავლეთის შეღწევა, ნათლად მოწმობს, თუ რა სამომავლო გეგმები აქვს დასახული მოსკოვს.

ერთი სიტყვით, მიმდინარეობს ბრძოლა კავკასიისათვის და ჩეჩნეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთი თუ მიაღწევს წარმატებას, ამან შეიძლება შეუმსუბუქოს ხელი „ძია სემს"...

**მოამზადა**
**სიმონ კილაძემ.**

⊙ ლიზინგი

# იქნებ შევძლოთ ბოლომდე ამოქმედებული საწარმოების გაცოცხლება!

**განვითარებულ ქვეყნებში სალიზინგო ბიზნესს საუკეთესო შედეგები მოაქვს. ლონდონის ფინანსური ჯგუფის მონაცემებით, ბოლო პერიოდში სალიზინგო ინვესტიციების საერთო მოცულობამ კოლოსალური თანხა — 500 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.**

**სალიზინგო ბიზნესის ყველაზე დიდი პორტფელი ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს. აქ დანადგარების შეძენის ყოველი მესამე კონტრაქტი სწორედ სალიზინგო ოპერაციით ხორციელდება. მეორე ადგილს იაპონია, გერმანია და დიდი ბრიტანეთი იყოფენ. პოსტსაბჭოურ სივრცეში ევროპული ქვეყნებიდან სალიზინგო ოპერაციების მოცულობით ჩეხეთი ლიდერობს. ამ ქვეყანაში ყოველი მეორე ავტომობილი სწორედ სალიზინგო მომსახურებით არის შეძენილი.**

ცნობისთვის: პირველად ტერმინი „ლიზინგი" 1877 წელს საკომუნიკაციო კომპანია „ბელმა" გამოიყენა, სწორედ მან მიიღო გადაწყვეტილება, მომხმარებლებისთვის კი არ მიეყიდა, არამედ ლიზინგით მიეწოდებინა სატელეფონო აპარატები. კომპანია თავის კლიენტებს საშუალებას აძლევდა, ესარგებლათ სატელეფონო აპარატებით სალიზინგო გადასახადების საფუძველზე. იმ პერიოდის აშშ-ში ამ გარიგებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საკომუნიკაციო ბიზნესის განვითარებას, იმ დროისათვის ხომ ბევრ უბრალო ამერიკელ მომხმარებელს და მცირე მეწარმეს საშუალება არ ჰქონდა ერთბაშად გადაეხადა ტელეფონის აპარატის ღირებულება. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში იქ პატარა კაფეებშიც კი სარგებლობდნენ ამ ტელეფონებით. დარეკვა ფასიანი იყო, რაც ტელეფონის სალიზინგო გადასახადების დაფარვისა და ასევე შემოსავლის წყაროდ იქცა მათი მეპატრონეებისათვის.

სახეზე იყო უპირატესობები, რომლებიც სალიზინგო ბიზნესს გააჩნდა. ამიტომაც იგი სწრაფად გამოიყენეს და დანერგეს საწარმოო ხაზებისა და დანადგარების მწარმოებელმა დიდმა კომპანიებმა, რომლებმაც შექმნეს სალიზინგო მომსახურების სტრუქტურები.

დღეს საერთაშორისო სალიზინგო ბაზარზე ყველაზე დიდი მოცულობის პორტფელი საავიაციო ტრანსპორტის სფეროში მომუშავე წამყვან სალიზინგო კომპანიებს აქვთ. ავიაციის სფეროში თვითმფრინავების შეძენა უმრავლეს შემთხვევაში სწორედ სალიზინგო ოპერაციების საშუალებით ხორციელდება.

როგორი სურათია ამ მხრივ საქართველოში? წლევანდელი მონაცემების ჩათვლით ქვეყნის მთლიანი პერსპექტიული პორტფელი სალიზინგო ოპერაციებისათვის დაახლოებით 20 მილიონ დოლარს შეადგენს.

საქართველოს სალიზინგო კომპანიის გენერალური დირექტორი ბესო აბულაძე, აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ფუტკარაძე, საკრედიტო მენეჯერი გიორგი გვალია და ფინანსური მენეჯერი ნატა მელიწკაური ერთი შეკრული გუნდია, რომელიც კომპანიის შემდგომი განვითარებისა და წინსვლისათვის იღვწის. კომპანია ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესს ეხმარება და ამ საქმეში დიდი გამოცდილებაც დააგროვა.

დღეს ბევრი საწარმოა, რომელიც [illegible] რომ მისწრებაა, სწორედ ლიზინგის მეშვეობით შეუძლიათ მათ ხელმძღვანელებს თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზების შეძენა და ისეთი კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე მოწონებას დაიმსახურებს.

ჩვენმა სალიზინგო კომპანიამ უკვე მიაღწია შეთანხმებას ამერიკის კერძო



საქართველოს სალიზინგო კომპანიის მუშაკები.

ინვესტიციების სააგენტოსთან (DPIC) მიზნობრივი საკრედიტო ხაზის გამოყოფის თაობაზე. ეს დიდად შეუწყობს ხელს საქართველოში სალიზინგო ინდუსტრიის განვითარებას. იგი ძალზე ხელსაყრელია მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. ამ შემთხვევაში საბანკო კრედიტისგან განსხვავებით მეწარმეს არ მოეთხოვება გირაოს ჩადება. არადა, საბანკო კრედიტის აღების დროს სწორედ გირაოა ხელისშემშლელი ფაქტორი მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. ლიზინგი ფართოდ დამკვიდრებული ფორმაა და იგი პირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკურ სარგებელთან. ახალი ტექნოლოგიის შემოტანა ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, იცავს მომხმარებელს ფალსიფიცირებული ნაწარმისაგან. ასევე მეწარმეს საშუალება ეძლევა, გააიაფოს თავისი პროდუქტი, გააფართოოს მისი ასორტიმენტი. ყოველივე გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაზე.

პირველი გარიგება საქართველოს სალიზინგო კომპანიამ წარმატებით განახორციელა. დღეს უკვე ლიზინგით დაინტერესებული არიან ქვეყნის კვების მრეწველობა, ჯანდაცვის სფერო, მშენებლობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები, სოფლის მეურნეობა. [illegible]

მას შეუძლია წარმატება მოუტანოს როგორც ლიზინგის მიმღებს, ისე სალიზინგო კომპანიას.

საქართველოში სალიზინგო საქმიანობის განვითარებით დაინტერესებული არიან და სალიზინგო კომპანიასთან აქტიურად თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციები IFC და Agvantage. სწორედ მათი ხელშეწყობით ხორციელდება ჩვენში ტექნიკური დახმარების პროგრამა საქართველოს სალიზინგო კომპანია სოფლის მეურნეობის ერთობლივ პროექტებს Agvantage-სთან ერთად აფინანსებს.

ამას რა სჯობს. ისინი მეწარმეს უგვარებენ ბიზნესის გაფართოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, თანამშრომლობენ მასთან და ერთობლივად ზრუნავენ ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებისათვის, დებენ ისეთ გარიგებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

**ლალი ქინქლაძე.**

⊙ ფესვები

# მას მატიანეს ვარქმევ

## ეპიზოდები გიორგი ჭუმბურიძის მოგონებებიდან

... კარგა ხანია ჩემი ფიქრი და კალამი წარსულში წრიალებს: წარსულში, სადაც მხოლოდ აჩრდილებიღაა, აჩრდილები ბიბლიური სახელებით: ალმასხანი, სამსონი, ესევი, ესრომ...

... სამსონი იყო ძე ალმასხანისა, ესრომი ერთადერთი ძე ევსევისა — ალმასხანის ძმისა და ცხოვრობდნენ ბიძის შვილები სამსონი და ესრომი გვერდიგვერდ, ბროწეულებით შემოფარგლულ ვრცელ, გაუყოფელ ეზოში, რომლის ჭიშკრის გადაღმა კამკამებდა წყარო, სარკესავით რომ ირეკლავდა მისკენ საამბოროდ დახრილ თავებს და ახსოვდა მათი წინაპრების სიმონის, ოტიას, პაატას, მიქელის, ქველის, ბერის, გოგისას სახეები... გიორგი ჭუმბურიძისეულ ჩანაწერებში რომ შემორჩა მხოლოდ ამ თქმულებაში (ჩემს საავტორო გვერდში „ანაბეჭდები გულის ფიცრიდან" როცა გამოვაქვეყნე (1999 წლის 25/VI), ზოგს ქველი ეცნო — ჩვენ ქველიაშვილებს გვეძახოდნენო, — გამომეხმაურა მაშინ დამსახურებული მასწავლებელი თინა პეტრეს ასული ჭუმბურიძე, ხოლო ბერი (ბერო) ბაბუაჩემის — სერგენის წინაპარიაო, — მითხრა სულნათელმა პროფესორმა ირაკლი ჭუმბურიძემ, რომელიც დიდი ცნობისწადილით ადევნებდა თვალს ჩემს პუბლიკაციებს.

ეს თანხვედრა უკვე წარსულის გაცოცხლებას და მოახლოებას ჰგავს, — უფრო ვრცლად ამ საკითხს პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე იკვლევს (მან უნივერსიტეტში საიუბილეოდ წაიკითხა ლექცია — „სიმონეთური ქრონიკები"). ის ფრიად დაინტერესდა ჩემი წერილებით, მამამისს ატია ერქვა — ბაბუას ნიკოლოზი, ნიკოლოზის მამას გიორგი, პეტრეს და კოლიას მამას ლუკა, უფრო შორეულ წინაპარს ქველი, მისივე შთამომავალია თომა (ეს სახელი არ დაკარგულა საჭუმბურიძეოში, დღესაც მეორდება).

— თომას შვილები იყვნენ გიორგი და ილარიონიო, ილარიონისა — ლეონიდეო, აქვე ხელახლა მოწიწებით უნდა ვახსენოთ ნიკოლოზ კაცი — იურისტი და ჟურნალისტი, პროფესორ ჯუმბერ ჭუმბურიძის მამა. ჯუმბერის ვაჟი — გიაც ხომ მამა-პაპის კვალს მისდევს.

— ოქროპირიც ყოფილა-მეთქი თქვენს გვარში და ვუამბე, როგორი სიამაყით შემეხმიანა პროფესორი ირაკლი ჭუმბურიძე, ჩემი ნარკვევების დაბეჭდვისთანავე:

— ქველიაშვილები ვართ, ქველიაშვილებიო, — იტყოდა თურმე ტიტე ჭუმბურიძე, ოქროპირ ჭუმბურიძის შთამომავალი და მისებრ ენაწყლიანი — ამ ტიტეს სახელი ბავშვობაშივე გამეგონა — ბაბუაჩემის — ივანეს ვენახის ახლოს იყო მისი ნამოსახლარი — დღესაც უმეტესად ასე მოიხსენიებენ, თუმცა მოგვიანოდ იქ სხვა გვარის კაცი დასახლდა — ტიტე კი ქუთაისში გადასულა.

თვითონ ცხონებული ბატონი ირაკლი, რომელიც არა მარტო ცნობილი მკურნალი, არამედ ჩინებული კალმოსანიც იყო, ფრიად დააინტერესა გიორგი ჭუმბურიძის მიერ შედგენილმა საგვარეულო შტოს სქემამ, დიდი მადლობა გადამიხადა, რაც თავის პუბლიცისტურ წიგნშიც გამოხატა, საიუბილეოდ რომ გამოსცა მალე.

რა ეცნო? — აკი ვთქვი, სიმონის ექვსი ვაჟიდან ბერი (ბერო) ყოფილა ბაბუამისის — სერგენის მამა (აქედან ქვეგვარი — ბერიშვილი)... სერგენი ნავენახევში ჩასიძებულა — თეიმურაზ მესხის ქალი უთხოვია, მამაჩემსაც თეიმურაზი დაარქვესო — სიმონეთთანაც გვაქვს კავშირიო, ეს მისი სიტყვებია...



გიორგი ჭუმბურიძე.

* * *

ირიბი დამატება: კალმასობის ჟინმა ექვთიმე თაყაიშვილის ჩანაწერებამდე მიმიყვანა — 1919 წლის რაჭის არქეოლოგიურ ექსპედიციას რომ ეხება („დაბრუნება", ტ.I).

„ნიკორწმინდის არეულს ქაღალდის ნაფლეთებში ჩვენ ვიპოვენეთ ერთი თაბახი, რომელზედაც, სხვათა შორის, მოთავსებული იყო „სულთა მატიანე", ანუ მოხსენებანი ზოგიერთ საქართველოს მეფეთა და კათალიკოზთა".

აწ უკვე წმინდანად შერაცხულ მეცნიერს გამოკვლევა „მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში", 1939 წელს პარიზის გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში" გამოუქვეყნებია. საბედნიეროდ, ეს თაბახი ცალფა არ აღმოჩნდა, მიუკვლევიათ დიდი ფორმატის ყდიანი ხელნაწერისათვის — დაწერილი ყოფილა ნუსხა-ხუცურით, ორ სვეტად, „მრავლის წითლური ასომთავრულებით". იქვე აღნიშნულია, რომ ხელნაწერი შინაარსითა და ხელწერის მიხედვით სამ ნაწილად იყოფა და ფრიად მდიდრულ მონაცემებს შეიცავს საქართველოს მეფეთა შესახებ — დაწყებული დაჩით (502-514 წ.) ვახტანგ გორგასლის შვილით, პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის შესახებ ცნობა ალბათ არ შენახულაო, — გულისხმობს მკვლევარი და მოთვლის მეფეთა ნუსხას დავით აღმაშენებლისა (1090-1125) და მისი შვილების დიმიტრი პირველის (1125-1154) — ბერობაში დანიელის, თამარის — აღსართან შირვანშაჰის ცოლყოფილის, მონაზვნად რომ შემდგარა და თიღვის ეკლესია აუშენებია (1150 წ.) და კატასი, რომელიც მოითხოვდა ბიზანტიის იმპერატორის შვილის ბრიენს — თამარ თომაჲ მისი მონაზვნობის სახელი უნდა იყოს, რაც ცნობილი არ იყოო. იქვეა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა ნუსხა, საერთოდ, ისტორია მათი არ მოგვეპოვებაო და აღნიშნავს, რომ ნიკორწმინდის ნუსხა და შიომღვიმისა (1270 წლის ხელნაწერი), ერთმანეთს ავსებენ.

... რატომ გავემგზავრე ასეთ შორეულ წარსულში? იმიტომ, რომ მწიგნობარი, რომელიც კინოვარით ხატავდა წითლურ ასომთავრულებს და მერე შავი მელნით აგრძელებდა თავის მონათხრობს, წმინდა ექვთიმე თაყაიშვილს გაშიფრული აქვს როგორც იოაკიმ ჭუმბურიძე...

გიხაროდენ ჭუმბურიძენო...

* * *

სამსონის ოჯახს თვალზე ცრემლი არ შეშრობია, 1936 წელს მისი და ოლღა მაჭავარიანის უფროსი ვაჟი დოტია დაიღუპა — 1924 წლის ეროვნული აჯანყების ერთ-ერთი თაოსანი იმერეთის მხარეში, ბოლშევიკებთან ბოლომდე შეურიგებელი, მოწამლეს... თელავში მუშაობდა პედაგოგად. მერე ომი დაიწყო და ორმა ვაჟმა ჩაიცვა ფარაჯა; მეოთხე — იამა, ახალგაზრდა მასწავლებელი, უეცრად გამოეცალა ოჯახს ხელიდან. ესრომიც სევეგამწარებული აღესრულა, სამსონის ვაჟების გრიშასა და სამიკოსავით არც მისი პირმშო შალვა დაბრუნებულა ომიდან, ხოლო უმცროსი გიორგი (ჟორჟიკა) სიყვარულმა დაანელა — საბედისწეროდ ბიძაშვილის — დოტიას ცოლისდა შეუყვარებია — სასიძედროდ — ლუბა წერეთლის ქალმა კი აღარ ინება თურმე მეორე სიძედ ისევ ჭუმბურიძე — აღარც ქალი გათხოვდა...

შინმოუსვლელი შალვას ცოლშვილმა კი მამამთილის ესრომის სიკვდილის შემდეგ გუდა-ნაბადი აიკრა და ქალაქს მიაშურა — ესე გაცივდა კიდევ ერთი კერა სოფლად...

... რა ხანია ფიქრი და კალამი წარსულში წრიალებს...

ამ წარსულიდან ყველაზე დიდი ვარსკვლავივით მინათებს სახელი ზენათი!

ზენათისთანა ქალები თუ ჰყავდა მხედველობაში დიდ ილიას, როდესაც ბრძანა:

**„შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლისა"...**

ზენათიმ არა მარტო შვილი, შვილიშვილები და მეზობელ-ნათესავებიც გამოზარდა — ამის საბედნიერო დასტურია ფოტოსურათი ჩვენი საოჯახო ალბომიდან, რომელზეც ბებიის კალთას ამოფარებიან ნიკოლა ღვინეფაძე და გრიშა ჭუმბურიძე; დგანან: მიხეილ ღვინეფაძე, დოტია ჭუმბურიძე და გოგიტა შოთაძე.

— ეს სურათი 1910-11 წლებშია გადაღებული, — მაშინ მე ხუთი წლისა ვიყავი, მერე ჩემს საბუთებზეც ზენათიმ იზრუნა და დამილოცა გზა ჯერ ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში, მერე კი თბილისისკენო, — იგონებდა მამაჩემი და ხშირ-ხშირად მოიკითხავდა ძველ სურათებს.

უკვე ვთქვი, რომ მარტო შვილებისა და შვილიშვილებისათვის როდი ზრუნავდა ეს მედგარი, კლდესავით შეუვალი ქალი — აკი წინაპარსაც კლდია ერქვა — კლდია შალიკაშვილი, მესხეთის წარჩინებულთაგანი, რომლის შთამომავლობა იმერეთში გადმოსახლების შემდეგ (XVII ს.) კლდიაშვილებად იწოდება.

სურათი, რომელზეც ზენათი კლდიაშვილის ქალი აღბეჭდილია თავის შეგირდებთან, ქუთაისშია გადაღებული, ქუთაისში მწყემსავდა იგი ყმაწვილებს და მისი კალთის ქვეშ არაერთი ყრმა დაფრთიანდა.

იხ. მე-4 გვ.

⊙ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— ვარ საჯარო მოხელე, მაქვს ამ სამსახურში მუშაობის 7 წლის სტაჟი.**

**გთხოვთ განმიმარტოთ, როგორი ხანგრძლივობის შვებულება ეკუთვნის საჯარო მოსამსახურეს და პირადად მე — ყოველწლიურად 24 სამუშაო დღე შემიძლია დავისვენო, 30 თუ 45?**

**ამირან ზრუაძე.**

— „საჯარო სამსახურის შესახებ", საქართველოს კანონის 41-ე მუხლის შესაბამისად, მოსამსახურეთათვის დადგენილია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით, თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის უფრო ხანგრძლივი პერიოდი.

საჯარო სამსახურში არანაკლებ 3 წლის სტაჟის მქონე მოსამსახურეს, მესამე და ყოველ შემდგომ წელზე ეძლევა თითოეული დამატებითი შვებულება, მაგრამ არაუმეტეს 10 დღისა. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების პერიოდში მოსამსახურეს ამგვარი დამატებითი შვებულება შეიძლება შეუმცირდეს ან საერთოდ აღარ მიეცეს. მოსამსახურეს, რომელსაც აქვს სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობის 10 წელზე მეტი სტაჟი, მიეცემა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება 15 კალენდარული დღის ოდენობით.

**— ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. დამენიშნა სტიპენდია, ამავე დროს ვიღებ პენსიას მამის გარდაცვალების გამო.**

**გთხოვთ განმიმარტოთ, სტიპენდიის დანიშვნასთან დაკავშირებით, ხომ არ მომეხსნება მამის დაღუპვის გამო დანიშნული პენსია?**

**ნიკა თვალჭრელიძე.**

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარდაცვლილის შვილებს პენსია იმ შემთხვევაშიც ეძლევათ, როდესაც ისინი სწავლობენ და სტიპენდიას იღებენ.

ასე რომ, თქვენი პენსიის გაცემას სტიპენდიის დანიშვნა ხელს არ შეუშლის.

**— ვარ I ჯგუფის უსინათლო ინვალიდი. ვცხოვრობ თბილისში, ვიღებ დახმარებას (22 ლარს). გთხოვთ განმიმარტოთ, რა შეღავათებით ვსარგებლობ?**

**მინდია ზიორაძე.**

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხედველობის გამო I ჯგუფის ინვალიდები არ იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით, თუ მათი წლიური შემოსავალი არ აღემატება 3000 ლარს.

— დედაქალაქში მცხოვრები I ჯგ. უსინათლო ინვალიდები, ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე, მთლიანად თავისუფლდებიან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისა და მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადისგან;

— ბუნებრივი აირის უფასო მოხმარება განესაზღვრებათ 40 კუბ. მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო ოჯახში შეღავათის მქონე ორი ან მეტი პირის არსებობისას — 60 კუბ. მეტრის ოდენობით;

— ამ კატეგორიის მოქალაქეებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ასევე თბილისში, ტელეფონის სააბონენტო გადასახადზე უვრცელდებათ შეღავათი შემდეგი ოდენობით: ელექტრონული სატელეფონო სადგურების მომხმარებელთათვის — 0,90 ლარი, კოორდინატული და დეკადურ-ბიჯური სატელეფონო სადგურების მომხმარებელთათვის — 0,70 ლარი.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

⊙ გადავარჩინოთ!

# შეხედავ და... გული მოგიკვდება

**ორი აზრი არ არსებობს: დღეს საქართველოში იმდენი ეკლესია შენდება, რომ ვერც დაითვლი. ადრინდელივით ისინი არ შენდება შორეულ, ძნელად მიუვალ (თუმცა უმშვენიერეს) ადგილებში. ზედმეტი ფეხის გადადგმაც აღარ გვინდა, — გამოხვალ სახლიდან და იქვე, ათიოდ მეტრში შეგიძლია ლოცვაც, სანთლის დანთებაც, აღსარების მიცემაც...**

**ეს ყველაფერი, ღმერთმანი, ძალზე კარგია, მაგრამ რა დააშავეს იმ ძველმა ეკლესია-მონასტრებმა, რომლებიც საუკუნეებმა დააზიანეს, დაშალეს, დახეთქეს და ახლა კაცის მარჯვენას ელიან? განა შეიძლება ისინი მივატოვოთ, მიწასთან გავასწოროთ, აღვგავოთ და ჩვენი ისტორია ჩვენივე ხელით გავანადგუროთ?**

**არა! არიან ორგანიზაციები, რომელთაც ეს საკითხი მუდმივად აწუხებთ. ერთ-ერთი მათგანია ასოციაცია „კვალი ნათელი ახალი საქართველოსთვის". იგი შარშან, ნოემბერში დაარსდა და პირველი პრაქტიკული ნაბიჯებიც უკვე გადადგა. ვესაუბრებით ამ ასოციაციის თავმჯდომარეს გიორგი ვაშაკიძეს.**

**— თქვენს ასოციაციას ერთობ „ხმაურიანი", უფრო, პრეტენზიული სახელწოდება აქვს. მაინც რის გაკეთებას აპირებთ?**

— ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელშიც ჯერჯერობით გაწევრიანებულია დაახლოებით 100 კაცი. ჩვენი ძირითადი მიზანია საქართველოში არსებული ისტორიული ძეგლების მდგომარეობის ძირფესვიანად შესწავლა და მათს მოვლა-პატრონობაში ფართო საზოგადოების ჩაბმა.



**— რას გულისხმობს ეს „ძირფესვიანი შესწავლა"?**

— ეს არის, უპირველესად, ისტორიული ძეგლების პასპორტიზაცია, რომელიც 1978 წელს დაიწყო, მაგრამ 1995 წელს შეწყდა. მაშინვე შეწყდა ძეგლთა დაცვის საქმიანობის დაფინანსებაც. ხელფასის გარდა, ბიუჯეტი სხვას არაფერს იძლეოდა, დარგს განადგურება დაემუქრა. ჩვენდა საბედნიეროდ, ავად თუ კარგად, დღემდე მან სული მოაღწია და ახლა მაინც უნდა გამოვასწოროთ ადრე დაშვებული შეცდომა.

**— კონკრეტულად, რას აკეთებთ, რას საქმიანობთ?**

— ჩვენი ძირითადი საქმიანობაა ისტორიული ძეგლების სადღეისო ფიზიკური მდგომარეობის განსაზღვრა, საამისოდ გრაფიკული და ფოტო-მასალების, ვიდეო და კინო-დოკუმენტების დამზადება, ბროშურების, ბუკლეტების, გაზეთების დაბეჭდვა, შემდეგ ყოველივე ამის სათანადო ორგანოებში წარდგენა და, როგორც იტყვიან ხოლმე, წვითა და დაგვით საქმის ბოლომდე მიყვანა.

**— დღემდე რომელ რაიონებში იყავით და რა დაადგინეთ?**

— უკვე ვიყავით გორის, თიანეთის, მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის რაიონებში. ბევრი ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია. ახლა ვაწუხებთ ყველას, რათა ეს მდგომარეობა რადიკალურად გამოსწორდეს. აქა-იქ ყინული უკვე დაიძრა.

**— ეს ყველაფერი დაკავშირებულია ფინანსურ ხარჯებთან, სატრანსპორტო საშუალებებთან, ტექნიკურ აღჭურვილობასთან... საიდან?**

— უპირველესად, ჩვენ ვეძებთ სპონსორებს. არიან კერძო პირები, ფირმები, რომლებსაც გულთან მიაქვთ ჩვენი წუხილი და გვეხმარებიან. დავასახელებ, მაგალითად, „ექსჯორჯიას", „ავერსს". დიდი მადლობა მათს ხელმძღვანელობას. აუცილებლად გამოვკრავთ ხელს გრანტებს. ისე, თანხებს ბიუჯეტიდანაც გვპირდებიან. თუმცა ყველაფერს მაინც წვალება უნდა, წვალება...

**— ეს ისეთი საქმეა, წვალება ნაღდად ღირს. ჩვენი ხალხი საგრძნობლად შემოტრიალდა ეკლესიისკენ, არაფერს იშურებს, მაგრამ ძველ ძეგლებს მაინც შესაფერისად ვერ ვპატრონობთ...**

— ვპატრონობთ კი არა, ზოგან თავად შეგნებულად ვანგრევთ. თიანეთის რაიონში, მაგალითად, არის უძველესი ქართული არქიტექტურული სამონასტრო კომპლექსი არჩილ მეფის სახელობის დარბაზული ეკლესიით. ჰოდა, გაურკვეველი პიროვნებები აქ აწარმოებენ ასევე გაურკვეველ სამშენებლო სამუშაოებს, რაც შეთანხმებული არ არის ძეგლთა დაცვის შესაბამის სტრუქტურებთან. ჩვენ ასეთ ფაქტებს აუცილებლად აღვკვეთთ.

— ბოლოს, რას დაამატებთ?

— ჩვენს ასოციაციას საქველმოქმედო ფუნქციაც აკისრია. საკვები პროდუქტებით, მედიკამენტებით ვეხმარებით ყველას, ვინც კი მხარში გვიდგას არქიტექტურული ძეგლების მოვლა-პატრონობაში, მათს აღდგენა-გადარჩენაში. ეს მეორე ფრონტია, მაგრამ მასაც გავუძლებთ!

ესაუბრა
**ბონდო გულიაშვილი.**

**სურათზე: ასე გამოიყურება აკაურთის ეკლესია ბოლნისის რაიონში (V-VI საუკუნეების მიჯნა). არ გვეპატიება ასეთი ძეგლის დანგრევა-განადგურება. მას შველა სჭირდება.**

⊙ მარჩენალი სოფლის სევდა

# საზოგადოების ვარჯი ქალაქშია, ფესვი კი — სოფლად

## 4 ოქტომბერი „ჰაბიტატის" მსოფლიო დღეა

**გაეროს ორგანიზაციებიდან „ჰაბიტატი" ნაკლებად არის ცნობილი, არადა, ამ ორგანიზაციის მოქმედების სფერო — ქალაქგანვითარება და საცხოვრისი — თანამედროვე ურბანული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხია. ამ თვალსაზრისით არც საქართველოს დასახლებებია გამონაკლისი. გაეროს პროგრამა „ჰაბიტატი", 1985 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად აღნიშნავს ამ სპეციალურ დღეს.**

**„ჰაბიტატის" მსოფლიო დღე, 4 ოქტომბერი, წლეულს ეძღვნება თემას: „ქალაქები — სასოფლო განვითარების მამოძრავებელი ძალა". საქართველოს პირობებში ამ თემას, აქტუალობის გარდა, მნიშვნელოვანი თავისებურებები ახასიათებს. ამ პრობლემებზე გვესაუბრება „ჰაბიტატის" მსოფლიო ქსელის საქართველოს რგოლის — „ჰაბიტატ-ჯორჯიას" დირექტორი, არქიტექტორი, ურბანისტი, პროფესორი ლადო ვარდოსანიძე.**



— ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობა, მეუბნება ბატონი ლადო, განაწილებულია დასახლებებში, რომლებიც ერთიან ორგანიზმს ქმნიან. სპეციალისტების ენაზე ამას განსახლების სისტემა ჰქვია. დასახლებათა ორ ძირითად ტიპს, ბუნებრივია, ქალაქები და სოფლები შეადგენენ. ისინი ზიარი ჭურჭლის მსგავსად ფუნქციონირებენ — დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თვალსაზრისით.

თანამედროვე ურბანიზაციამ ათასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული თანაფარდობა შეცვალა სოფელსა და ქალაქს შორის. გამოიკვეთა კანონზომიერება — ეკონომიკურად რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მეტია მასში ურბანული, ქალაქური კომპონენტი. შეგნებულად მოვიხმობთ სიტყვა „კომპონენტს", და არა „მოსახლეობის რაოდენობას". საქმე ის არის, რომ, სოციალურ-დემოგრაფიული პროცესებისა თუ მოვლენების შეფასებისას, წინა პლანზე გამოდის არა რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლები — ფასეულობათა სისტემა. ცხოვრების წესი, საქმიანობის ხასიათი და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ურბანიზმი — ცხოვრების წესია და ის შეიძლება ჩვეული იყოს სასოფლო დასახლებისთვისაც.

**— ამგვარი ხედვა, ბატონო ლადო, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, სადაც ახლებურ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში „სოფელი-ქალაქის" განუყოფელი წყვილი ახლებურსავე გააზრებას საჭიროებს.**

— ურბანიზაციის პირველ ფაზას (ჩვენი საზოგადოება სწორედ ამ ფაზაში იმყოფება) ახასიათებს ყველაფრის ქალაქებში თავმოყრა. იგულისხმება ადმინისტრაციული ძალმოსილება, მოსახლეობა, ინფრასტრუქტურა, ფინანსური რესურსები, ინტელექტუალური პოტენციალი, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო საქმიანობა და ა.შ. გარეგნულად ამას კვებავს ცენტრისკენული მიგრაციული ნაკადები და, ხშირად, ისეთი არასასურველი მოვლენა, როგორიც სოფლის გაუკაცრიელებაა. დღეს, საქართველოს პირობებში, ქალაქმა, როგორც წამყვანმა რგოლმა, გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფელს — თუნდაც უკვე არაერთგზის ნახსენები განსახლების მთელი სისტემის ესოდენ სასურველი წონასწორობისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად.

იხ. მე-8 გვ.

⊙ არატიპური ისტორიები

## „გადაღლილთა“ დიალოგი

ორი გოგონა საუბრობს მობილურზე.

— ხო, მაკუშ!
— ჰო, რაო?
— როგორა ხარ?
— რავი, შენ?
— კარგად!
— რა ხდება შენკენ?
— რავი, არაფერი, შენკენ?
— აქაც არაფერი.
— სად იყავი?
— გავსტრელე, მოვედი და დავიძინე.
— გეძინა? მეც მეძინა.
— რას აპირებ?
— აზრზე არა ვარ! შენ?
— რავი, შენ?
— ისა, რა ქვია...



— ჰო!
— რა ექნათ?
— როდის?
— ვააბშჩე, რა!
— რავი. ახლა კუკას ველაპარაკე...
— რაო?
— არაფერი, რას შევებითო?
— მერეო?
— დავიძინებ და გადმოგირეკავთო.
— შენა... ისა, რა ქვია?
— ჰო, რაო?
— ჩამოვიდა პუსკა?
— ჩამოვიდა და წავიდა! იცი რა ბანძ ვიდზე იყო?
— კარგი რა...
— საკო?
— საკო კაკ ვსეგდა დაზმანული იყო!
— შენა... ისა, რა ქვია...
— ჰო, რაო!
— რას იზამ?
— რავი, აზრზე არა ვარ!
— ისა, რა ქვია...
— ჰო, რაო?
— ნახე ისა?
— ერთი მაგისი!
— ვააბშჩე!
— ვაბშჩე და აკანჩატელნა?..
— ცვეტში? დაგიგლეჯია.
— მიგდე ყური.
— ჰო...
— მეძინება რა, გადმოგირეკავ!
— დავაი, პაკა...
— პაკა...

## ჩაშლილი ოპერაცია

**(სცენარი მოკლემეტრაჟიანი დეტექტური ფილმისთვის)**

კადრში ჩანს მზით განათებული, მბზინავი, შოლტივით მოქნეული გზატკეცილი და მასზე მქროლავი ავტომანქანა.

აპარატი თანდათანობით უახლოვდება მანქანას. ეს არის ვერცხლისფერი, ძვირფასი მარკის ავტომობილი. შემდეგ, უკვე შიგ მსხდომთა სახეებიც იკვეთება ეკრანზე.

საჭეს ახალგაზრდა, მოკლედშეკრეჭილთმიანი, მზით გარუჯული, სიმპათიური გოგონა უზის. ცალი ხელით საჭეს ატრიალებს, მეორეში სიგარეტი უჭირავს. გვერდით მჯდომი, შავ, უსახელო მაისურში გამოწყობილი ყმაწვილი, საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობს მობილურზე, თან გულიანად ხარხარებს.

მანქანაში მაღალ ხმაზეა ჩართული მაგნიტოფონი.

ქალი დროდადრო გადახედავს ყმაწვილს, თან უკმაყოფილოდ აქნევს თავს.

— რამდენი ხანი უნდა ელაპარაკო მაგ ყანას? — ეკითხება, თან გზას თვალს არ აშორებს.

— შენ დებილად ხარ? რად გინდა „ტრუხა“ ბაზარი?

მერე ტელეფონში ჩასძახებს:

— არა ბრატ, შენ არ გეთომარები! კაროჩე, შენი გატისკვა უნდა? აუ, გუშინ რა გავაჯაზეთ არა, მაგრა გაასწორა, მაგარ პონტში გავიჩითეთ, არა?

ახლა უკვე კადრში მოჩანს საგზაო პოლიციის საპატრულო მანქანა, რომელიც დიდი სისწრაფით მისდევს ჩვენს გმირებს, თან საგანგაშო სიგნალებს გამოსცემს. დროდადრო კი მეგაფონიდან ისმის:

— „კკლ ორას ცხრა“, მარჯვნივ გადააყენეთ მანქანა, „კკლ ორას ცხრა“, მარჯვნივ გადააყენეთ მანქანა!

ქალი სარკეში იყურება, ყმაწვილიც წყვეტს მობილურზე საუბარს. მანქანა სიჩქარეს არ უკლებს.

ახლა უკვე კადრში მოჩანს, როგორ უმატებს სიჩქარეს პოლიციის მანქანა. მერე, მარცხნიდან უსწრებს „მერსედესს“ და წინ ეღობება.

ორივე მანქანა ჩერდება.

გადმოსული პოლიციელები (ისინი ორნი არიან), ფორმის ქუდებს ისწორებენ და ქალ-ვაჟს უახლოვდებიან.

ერთ-ერთი ესალმება საჭესთან მჯდომს და თავაზიანად სთხოვს:

— თუ შეიძლება თქვენი საბუთები!

გოგონა გვერდიდან ყავისფერ ჩანთას იღებს, ხსნის, კბილებით აძრობს სიგარეტს კოლოფიდან და დინჯად უკიდებს სანთებელათი.

— აუ! გაეძრნენ ეს ლოხი მენტები? ესენი იყვნენ ნიკუშა რომ ააგდეს გუშინ შავი „პიტსოტკით“! — ამბობს გოგონა.

— რა არი, ძმებო, გვისატკავებდით? რა პონტში გვშმონავ, ძმაო! ჩვენთვის, ორი წუთით ვალაკუშკა გვიჭირავს, რა, გრეხია?

— რაზე ბაზრობ ძმაო, „ტრუხა“ ბაზარი შენგანაც ტეხავს და ჩემგანაც, მართლა რო ტეხავთ რა!

პოლიციელები ერთმანეთს უყურებენ გაკვირვებულები, მხრებს იჩეჩავენ.

— კაროჩე, ტასაობა გრეხია?

ერთ-ერთი პოლიციელი, რომელიც ეტყობა ჩინით მეტია, მეორეს მიმართავს:



— ესენი, ეტყობა, აქაურები არ არიან. ნაღდად უცხოელებს ჰგვანან. უხერხულია მათი დასჯა, ქართველებს ისედაც ცუდად გვიყურებენ ამ ბოლო დროს, იტყვიან, ეს არი მათი სტუმართმოყვარეობაო?

პოლიციელები თავაზიანად ემშვიდობებიან მგზავრებს და თავიანთი მანქანისკენ მიდიან.

*დასასრული.*

**გურამ გომართელი.**

**მინაწერი:** გთავაზობთ აქ მოხსენიებული ზოგიერთი უცხო სიტყვის განმარტებას: **ყანა** — ქაჯი, გოიმი; **ცვეტში** — ნაღდად? მართლა? **გავსტრელე** — პაემანზე ვიყავი; **გატისკვა** — დაჩაგვრა; **გაეძრენ** — გამოჩნდნენ; **მენტები** — პოლიციელები; **ტასაობა** — სეირნობა; **გვისატკავებდით?** — დასაჭერად გველოდით? **გრეხია?** — ცოდვაა? **გვშმონავ** — გვჩხრიკავ; **ზმანები** — ტანსაცმელი; **ბანძ ვიდზე** — უშნო შესახედი.

⊙ ფესვები

# მას მატიანეს ვარქმევ

**(მესამე გვერდიდან)**

... ზენათი, ზენათი... რა ბედაური ქალი ყოფილხარ, რა გზები დაგიკეცია! რამდენი განათლულა შენს ემბაზში, რამდენი შუბლი განათებულა შენი მირონით!

— დედაჩემს ვგევარო, — იტყოდა პეპელა, — წასვლა-წამოსვლაზე ისიც გამრჯე და მარდი იყო, მეტადრე თუ ვინმეს რამე გაუჭირდებოდა; წიგნიერების მოყვარული, როგორც კი დამიმარტოხელებდა, — წამიკითხე „ვეფხის ტყაოსანიო“, — მთხოვდა ყმაწვილური წადილით.

... მეც ვგრძნობ ჩემში შენს დვრიტას, — ზენათი კლდიაშვილის ქალო, შენი სურათი პატარაობიდანვე შემიყვარდა, — ჯერ პეპელა მეგონე, იმდენად გავდით დედა-შვილი ერთმანეთს. — თავხურა არ უყვარდა, მანდილით გამოკოხტავდებოდაო, — მეტყობა ბებია, რომელიც სათუთად ინახავდა დედის სურათებს.

* * *

ხუთი წელი დაჰყო საცხენისში გიორგიმ. რვეულში სკოლის გეგმაც ჩაუხაზავს და იქვე დასძენს: განხრა: მებაღემევენახეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, მყნობა, ხელოსნობა, სადურგლო-საზეინკლო საქმიანობა, ამ მხრივ კი ემადლიერება საცხენისის სკოლას, სადაც სახელმწიფო ხარჯით იყო გამწესებული, მაგრამ გმობს იქ დამკვიდრებულ მტრულ ტენდენციასაც, ქართულს რომ უკრძალავდნენ, აჯარიმებდნენ... (ეს ემიგრანტმა გიორგი ნაკაშიძემაც აღნიშნა ანზორ ერქომაიშვილთან ინტერვიუში 1993 წელს, მისი მოგონებები შემდეგ „ლიტერატურულ საქართველოშიც“ დაიბეჭდა).

... „რა მოგვცა საცხენისის სკოლამ? ბევრი არაფერი, მაგრამ ძლიერ საჭირო რამ: ზოგადი ოთხკლასიანი განათლებაო სოფლის მეურნეობის დარგში. იქ ნასწავლი სოფელში კი გამოიყენა, მელიორაციაში, შემდგომ თავისი ასპირანტის, აგრონომ ილია ჩუბინიძისათვის რომ გაუზიარებია რუსთავ-რუისპირისა და ყვირილა-ცხენთაროს სარწყავი რუების ძველთაგან არსებული მელიორაციის შესახებ. ხანდახან სანადიროდაც დავყავდით საამისოდ საგანგებოდ მოწვეულ კაცს მიხა ჩილილაშვილს შიხათხევის მიდამოებში“.

„ამ სკოლის დამთავრებისას ლელა (ზენათი. **ნ.ღ.**) უკანასკნელად მეწვია ჩვენს „ციხე-გალავანში“ და წამიყვანა ყვარელ-ლაგოდეხის გზით ზაქათალაში (საინგილო), სადაც მე უნდა მივეღეთ იქაურ საქალაქო სკოლაში სახელმწიფო ხარჯზე“.

„... გარდა იმისა, რომ ეს რელიკვიად ქცეული ჩანაწერები ძალზე მეძვირფასება, ზენათის შეუპოვრობა მაოცებს — საიდან სად მიდის, რითი და როგორ?

ისევ პეპელა ბებიას ნაამბობიდან გავიხსენებ — ბათუმშიც კი ჩასულა ხოლმე დავით კლდიაშვილთან უფასო ბილეთის „გასახერხებლად“ და დავითიც ეხმარებოდა თურმე.

ჰო, საინგილოში ვართ, მაგრამ ყმაწვილს იქაურ სკოლაში არ მიიღებენ, რადგან ერთადერთი ადგილი ჰქონიათ, ისიც კენჭისყრით და მის ამხანაგს ნესტორ შავდიას გაუმართლა ბედმა.

— არც გვწყენია, — ამ სიშორეს მაინც ვერ დაგტოვებდიო, — ამბობდა დედაჩემი...“

... ვერ დატოვებდა... უდროოდ დაქვრივებული ქალი გულმოკლული იყო იმითაც, რომ ერთი წლის წინათ უმცროსი ვაჟი — ირაკლი დაეღუპა, რასაც გიორგის ვერ უმხელდა — ეს მომხდარა სწორედ იმ წელს, როდესაც ყმაწვილი ქუთაისის გიმნაზიაში უნდა მიეღოთ. ამასობაში პეპელას ჩარიცხვის დროც მოსულიყო წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში, სადაც ერთადერთი წელიწადი დაჰყო მხოლოდ, — მიუხედავად გიმნაზიის თავქალის („ნაჩალნიცას“) მცდელობისა, რომელსაც ძალიან მოსწონდა თურმე საზრიანი გოგონა, უფროსი ძმის — სამსონის დაჟინებით გამოუყვანიათ. ფარულად ამეცადინებდა თურმე ერთხანს ზენათი ცოდნას მოწყურებულ ქალიშვილს, ქუთაისიდან ჩამოჰქონდა ხოლმე წიგნები, რათა როგორმე ცრემლი შეეშრო პეპელასათვის...

— ყანაში დავიმალებოდი და იქ ვკითხულობდიო, — იგონებდა ბებია და ესეც გვახსოვს: — ჩემი კენჭი აგრაფინა პრინცესამ ამოიღოო...

სიცოცხლის ბოლომდე სანანებლად ჰქონდა უფროსი ძმის განაჩენი — ქალისთვის სწავლა ზედმეტიაო... — „როცა გათხოვებაზე მიდგა საქმე, — უარზე იყო, მდინარისკენ გარბოდა, გიორგი დაწევია, ოღონდაც ამ კეთილშობილ კაცს ნუ გააწბილებ და მე შვილს გამოგიზრდიო.

— თეთრჩოხიან მომღიმარ ვაჟკაცს რომ შეხედა, — ეცნო, ესიზმრა თურმე... ასე გახდა ღვინეფაძეების რძალი...

დათა ღვინეფაძის დიდ ოჯახში თავისი ხელობაც გამოადგა — დედამ ჭრაკერვა რომ შეასწავლა. და ისეთი ხელი ჰქონდა, ყველა თავმომწონე აზნაურიშვილს პეპელას შეკერილი ახალუხი ეცვა — ბებიასეული დიდი მაკრატელი საოჯახო რელიკვიად იქცა... პეპელა საცრემლეთში გაიზარდა... უბედურებას მათი ოჯახისათვის მოეცალა — საშუალო ძმას — პარმენს, რომელიც წიფის გვირაბის გაყვანაზე მუშაობდა, მარცხი მოსვლია, თავი დაუზიანებია და მიუხედავად მკურნალობისა, ტვინის ანთებით გარდაცვლილა. — ეს სამწუხარო ამბავი დახვდათ კახეთიდან მომავალ დედა-წულს — ზენათის და გიორგის — თურმე. პარმენი მათ წიფაში უნდა დახვედროდათ.

... დედისა და მთელი ოჯახის მწუხარებას დიდხანს არ ჰქონდა დასასრული, წერს გიორგი ჭუმბურიძე.

ამ უბედურების გამო გიორგის სწავლის საქმე ერთხანს შეფერხებულა, მერე კი ირაკლისთვის განკუთვნილი ნებართვით მას გაუგრძელებია სწავლა ქუთაისის საქალაქო სასწავლებელში, რომელიც 1896 წელს დაუმთავრებია და მთელი წლის მზადების შემდეგ შესულა თბილისის საოსტატო (სამასწავლებლო) ინსტიტუტში. იმავ წელს დაქორწინებულა ხელმეორედ სამსონი — ოლღა მაჭავარიანის ქალი უთხოვია.

რატომ იცვალა მხარი გიორგიმ? იგი განსაკუთრებული პატივისცემით ახსენებს საცხენისის სასწავლებლის მასწავლებლებს: მღვდელ მირიანაშვილს, რუსულისა და ისტორიის მასწავლებელს სიმონ ბეჟანის ძე ჯაფარიძეს, მათემატიკა-ბუნებისმეტყველებისა და მეფუტკრეობის დარგში ანტონ ანტონოვს, გრიგოლ ივანეს ძე ქიქოძეს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მომავალი პროფესიის — პედაგოგობის არჩევაში ამ პიროვნებების მაგალითთან ერთად განსაკუთრებული როლი იქონია დედაჩემის ნათესავის დავით სამსონის ძე კლდიაშვილის ჩარევამო.

იწურებოდა მეცხრამეტე საუკუნე... რვა ქართველი მოხვედრილა სამასწავლებლო ინსტიტუტში, რაც იშვიათი კი არა, გაუგონარი და საკვირველი ამბავიც ყოფილა; მაშ ასე: 1897 წელია, გიორგისთან ერთად გასტუდენტდნენ პავლე არაჩემია, მოსე დუდუჩავა, მიხეილ ლაბარტყავა, რაჟდენ ნაცვლიშვილი, ძმები წუწუნავები — ნიკო და აკაკი და გრიგოლ ჯაფარიძე. ეს ინსტიტუტი მათ 1903 წელს დაამთავრეს.



**დგანან — მიხეილ ღვინეფაძე, დოტია ჭუმბურიძე, გოგიტა შოთაძე; სხედან — ნიკოლა ღვინეფაძე, ზენათი კლდიაშვილი-ჭუმბურიძისა და გრიშა ჭუმბურიძე.**

აკი ვთქვი, — უკმარისობის გრძნობამ დააყენა ახალ გზა-კვალზე გიორგი ჭუმბურიძე — იგი განსაკუთრებით დაეწაფა ლიტერატურასა და ისტორიას, რაც არა მარტო ცოდნის, არამედ ეროვნულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ქვაკუთხედად მიაჩნდა. ცნობილი საზოგადო მოღვაწის მარიამ დემურიას ბინაზე დაუარსებიათ ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შემსწავლელი წრე, რასაც სკოლად მოიხსნიებს მოგონებებში. აქ იყრიდნენ თავს ცნობილი კრიტიკოს-პუბლიცისტები კიტა აბაშიძე, იურისტი გრიგოლ რცხილაძე (ზანგი), ნიკო თავდგირიძე, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ივანე რატიშვილი — თუ ამ პლეადასთან რუსთაველის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის მემკვიდრეობას განიხილავდნენ, ისტორიულ თემებზე, ძირითადად, ანტონ ფურცელაძის ბინაზე მსჯელობდნენ — როგორც მას უწერია, — საქართველოს ყოფნა-არყოფნისა და გიორგი სააკაძის დროზე...

ახალი საუკუნის დამდეგიდან (1899-1900) ჭაბუკის ცხოვრებაშიც ახალი ხანა იწყება — მესამე კურსიდან ქართველები თანდათან გადასულან პრაქტიკულ საქმიანობაზე. ჩვენი ასეთი პირველი ნაბიჯი იყო საკვირაო სკოლაში მუშაობა, რომელიც გაუხსნია იმ ხანად ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას ვერის საეკლესიო სკოლაში, სადაც დიდი ხალისით ვმუშაობდიო. ამ ამბებს მოსდევს უფრო დიდი სიხარული — **შეხვედრა დიდ ილიასთან!**

**ნანა ღვინეფაძე.**

⊙ ფიქრები

# „პესიმისტის ჩანაწერები“

### მაკედონელი და ჰომეროსი

ალექსანდრე მაკედონელს განუზომლად ჰყვარებია ჰომეროსი. იგი ამბობდა თურმე, ჰომეროსის პოეტური სიტყვა უფრო მაღელვებს, ვიდრე აქილევსის გმირული თავგადასავლებიო.

პლუტარქე ამტკიცებდა, მაკედონელს სასთუმალთან ყოველთვის ედოო ჰომეროსის პოემები.

მაინტერესებს, ვისი პოემები უდევთ თავთით თანამედროვე მსოფლიოს საჭეთმპყრობელებს? და საერთოდაც, კითხულობენ თუ არა ისინი პოეტურ ქმნილებებს?

### „ვეფხისტყაოსანი“ და კონსტიტუცია

ქართველი ერი, რომელიც ოდითგან სამ ტოლფას ენაზე ლაპარაკობს, უპირველესად ერთიანმა სალიტერატურო ქართულმა შეკრა ურღვევ მონოლითად. უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ იქცა ამ მთლიანობის საფუძვლად და ბურჯად. სწორედ ამ უდიდესმა ფენომენმა დაგვანახა და გვაგრძნობინა არა მარტო ჩვენი ფიზიკური ერთსისხლხორცობის უცილობლობა, არამედ ისტორიული ერთბედობის გარდუვალობაც. და აქ, ცხადია, ერის მარტო ამერიკული მოდელი, რომელიც პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებისა და კონსტიტუციისადმი ერთგულებას ეყრდნობა, ჩვენ ერთადერთ და უდავო მაგალითად ვერ გამოგვადგება. ქართველები, ალბათ, ყოველთვის მივანიჭებთ უპირატესობას პატარაობიდანვე სისხლსა და ხორცში გამჯდარ რუსთაველის მაღალ ზნეობრივ პოსტულატებს და ჰეროიკულ სულისკვეთებას, ვიდრე კონსტიტუციის არც თუ ხელშეუხებელ მუხლებს, რომლებიც, როგორც თანამედროვე პრაქტიკა გვარწმუნებს, ეგრეთ წოდებული უმრავლესობის მოპრიანებით ორ დღეში შეიძლება საპირისპირო მნიშვნელობის მუხლებით შეიცვალოს.

### მოწმეები

ჩვენში არ უყვართ წარსულის გახსენება, განსაკუთრებით — ახლო წარსულისა, რადგან იქ ბევრმა ვინმემ ვერ წარმოაჩინა საკუთარი თავი იმ სტერეოტიპების ადეკვატურად, რომლებსაც ან თვითონ ქმნიდა ან სხვები უქმნიდნენ. გასული საუკუნის 90-იანი წლები იქცა ადამიანთა ტოტალურ გამომცდელად, რომელმაც მიუკერძოებელი ნიშნები დაუწერა ყველას — მტყუანსაც და მართალსაც, ბეჯითსაც და უქნარასაც. ეპოქის მიერ პირუთვნელად შეფასებულნი დღეს იმ ოროსნებს ჰგვანან, რომლებსაც რცხვენიათ მშობლებისთვის დღიურის ჩვენება. ზოგს სურს ორიანი ფრიადად გადაიკეთოს, ზოგი მზადაა გვერდების ამოხევაც იკადროს, თითქოს სხვა არავინ ყოფილიყოს მათი საჯაროდ შერცხვენის მომსწრე.

### დაკარგული ჰარმონია

ნეოპლატონისტური იდეის თანახმად მუსიკამ უნდა აღადგინოს ადამიანის სულის დაკარგული ჰარმონია. ეს იდეა, ვიმედოვნებ, არ გულისხმობდა მუსიკის ფსევდონიმით მოვლენილ თანამედროვე ბგერებს, რომლებსაც ჰარმონიასთან საერთო არაფერი აქვთ.

### ბიოგრაფია

ადამიანი ორმოცდაათ წლამდე საკუთარი თავისთვის მუშაობს, ოჯახს იქმნის, სახლს იშენებს, დოვლათს იგროვებს, ორმოცდაათის მერე კი ცდილობს ეს ყოველივე შთამომავლობას შეუნარჩუნოს. ორმოცდაათს გადამცდარი მუზის მსახური კი მეტწილად ბიოგრაფიის ღირსეულად დაგვირგვინებაზე ფიქრობს და სულ იმის ცდაშია, რაიმე მნიშვნელოვანი სამერმისოდ დაუტოვოს არა მარტო უშუალო, არამედ ისტორიულ შთამომავლებსაც. ზოგჯერ სულაც ხელოვანის ბიოგრაფია იქცევა იმ სალოლიავო დანატოვრად, რომლითაც არა მარტო ნათესავთა კონკრეტულმა წრემ, არამედ მთელმა ერმაც შეიძლება იამაყოს.



**რაულ ჩილაჩავა**

**(გაგრძელება იქნება).**

**გაგრძელება. დასაწყისი. იხ. „სრ“ № 212, 214, 216-218, 220-224.**

⊙ დებიუტი

## „სულის კიდობანი“

საოცარი სევდა გამოსჭვივის ამ პატარა კრებულში თავმოყრილი ნოველებიდან და ლექსებიდან. მათი ავტორი ხატია გეთიაა, ახალგაზრდა შემოქმედი. ხატიამ თბილისის 47-ე საშუალო სკოლა დაამთავრა, შემდეგ სამი წელი საბერძნეთში სწავლობდა, ახლა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია.

ჯერ კიდევ თერთმეტი წლისას ქართულ-ბერძნული სასაუბრო შეუდგენია, რისთვისაც ცნობილ გინესის რეკორდსმენთა სიაში მოხვდა. ექვსი წლის შემდეგ ქართულ-ბერძნულ ლექსიკონს სცემს.

რაც შეეხება მხატვრულ შემოქმედებას, ეს მისი პირველი ცდაა. არცაა გასაკვირი, რომ მის პოეტურ მხარეს დახვეწა სჭირდება. სამაგიეროდ მისი ყველა ლექსი ნაფიქრალ-ნააზრევის გამომზეურებაა, სევდით შეჯერებული და უმეტესობა მუხამბაზის სტილში შექმნილი. სულ სხვაა ნოველები. ისინი ახალგაზრდა შემოქმედის ცხოვრებისეულ ხედვას წარმოგვიდგენენ.




პატარა კრებული თავისი სისადავით გამოირჩევა. იგი ახალგაზრდა შემოქმედმა დავით თოთიბაძემ გააფორმა და მართლაც შესანიშნავად ჩასწვდა პოეტის სულს. კრებულის რედაქტორია მანანა უკლება. გამოიცა გამომცემლობა „ცოდნაში“.

გზა დავულოცოთ ახალგაზრდა შემოქმედს.

**ავთანდილ ბექაური.**

⊙ ალიართალი-ბალიართალი

# ზოგჯერ ჟურნალისტებიც ვიცინით...

### არ დამლუპო!

ძველი დრო იყო. აბაშაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შესამოწმებლად გამაგზავნეს. რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ, ჩასუქებულ-ჩაპუტკუნებულმა, მაგრამ საოცრად მოძრავმა კაცმა სანახავიც მიჩვენა და ჩასაწერიც ჩამაწერინა. სადაც არის, მოსკოვი-ერევნის მატარებელი გამოივლის. იმას გავყვები და საღამოს უკვე თბილისში ვიქნები.

მასპინძელმა ბილეთი გააჩალიჩა. აი, მატარებელიც ჩამოდგა. ორიოდე წუთში ისევ ფეხს აიდგამს და გზას რახრახით გაუყვება.

— იჩქარეთ, არ დამღუპოთ, — გვერდით მომდევს და წარამარა შემახსენებს მასპინძელი. აძრულ მატარებელს შევახტი და ხელს დიდხანს ვუქნევდი ყურებამდე პირახეულ მასპინძელს, რომელიც, ერთმა ღმერთმა იცის, იმ „არ დამღუპოში“ რას გულისხმობდა...

### მწნილი უყვარს...

აკაკი ბეწაძეს ჩვენს რედაქციაში ლექსები მოუტანია. აბეზარი ავტორი არ არის, მაგრამ არც ის უხარია, დროზე როცა არ უბეჭდავენ. შესვენებაზე პატარა სუფრა გავშალეთ. ბატონი აკაკიც შემოგვესწრო. ყველაზე მეტად მწნილი მოეწონა.

— მწნილი კი ძალიან მიყვარს, მაგრამ ვერ ვიტან, როცა ჩემს ლექსებს ამწნილებენ. უთხარით, ერთი, გურამ გოგიაშვილს...

### ხაშლამაზე გადავიდა

ერთ რაიონში საკმაოდ კარგი თანამდებობისა და მარიფათის ნაცნობი მყავდა. გაგიჟებით უყვარდა ხაში. ყოველთვის მიმასპინძლდებოდა ხოლმე.

მერე მთელს რესპუბლიკაში გახმაურდა იმ რაიონში ნივრის დამზადების ამბავი. ამ საქმის გამო სხვებთან ერთად ჩემი ნაცნობიც კარგად შეაჭანჭყარეს და რბილი სავარძლიდანაც გადააბრძანეს.

მორიგი მივლინების დროს მოვინახულე. მე ხაშისათვის კბილებს ვილესავ, ის კი კრინტსაც არა ძრავს. ველარ მოვითმინე:

— თქვენთან რა, ხაშს აღარ აკეთებენ?

— იმ ნივრის შემდეგ ხაში ჭირის დღესავით შემჯავრდა, — ისე დაიჭყანა, თითქოს უხსენებელი დაენახოს. მერე გაიღიმა: — ხაშლამაზე გადავედი, წამო, შეკვეთა უკვე მივეცი...

### აჭრილი ლუდი

ახმეტაში რაიონულ გაზეთ „ბახტრიონის“ ბეჭდვა გვიან საღამოს იწყებოდა. ტირაჟი იმ დროისათვის საკმაოდ დიდი — რვა ათასი იყო და ორგვერდიან მანქანაზე ბეჭდვას თითქმის მთელი ღამე სჭირდებოდა.

მოვიდოდა შალვა გილაძე, ჩუმი და თავისებურად მხიარული კაცი, გვერდებს საბეჭდ დაზგაზე გადაიტანდა, გამართავდა, წიფლის ფიცრის ნაჭრითა და ჩაქუჩით საგულდაგულოდ მოასწორებდა, რომ ამოჩრილი სტრიქონი თავის ადგილზე ჩაესვა და სიგარეტს გააბოლებდა.

ერთხელაც, ზაფხულის გაგანია სიცხეში, შუაღამისას მოსწყურებია. ნუნუა უყვარდა და იქაურობას გადაატრიალებდა ხოლმე, ეგებ ქალებმა სადმე სასმელი გადამალესო. ახლაც გადაუქოთებია ყველა ოთახი და სადღაც, კუთხეში, ნახევარლიტრიანით ლუდი უნახავს. მოიყუდა, არ ესიამოვნა, — აჭრილიაო, ჩაიბურტყუნა და მაინც გამოსცალა.

მეორე დღეს ასოთამწყობი იამზე თიგიშვილი ქალებს ეკითხებოდა, ანალიზისთვის ბოთლი რომ მოვიტანე, თვალი ხომ არ მოგიკრავთო?

### კარგი ლექსის ძალა

1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებს ბეჟან სვანიძესთან ერთად ვაბარებდი. სწორედ იმ დღეებში გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ დაბეჭდა მისი ლექსი. იქ ასეთი სტროფი იყო: „მეშვიდე ხუთწლედი, მშვიდობის ხუთწლედი, შრომას და შენებას შუქურად უნთია, ჩემს ნიშანს არ ვეძებ — ვაჟკაცი ის არის, ვისაც ეს ხუთწლედი დაუწერს ხუთიანს!“

ბეჟანი ჩაირიცხა. ე. ი. ხუთწლედმა მართლაც ხუთიანი დაუწერა.

ახლა ბეჟანი, საოცრად ტკივილიანი და თბილი ლექსების ავტორი, იგონებს:

— ლექსი უნივერსიტეტის პარტკომს ალექსანდრე ბარამიძისთვის უჩვენებია, აი, რა ნიჭიერი აბიტურიენტი გვყავსო. ამან მიშველა — სტუდენტი გავხდი...

### ინტერვიუზე მუშაობს

გაზეთში ერთი პარლამენტარის ინტერვიუ დაიგეგმა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბოლო ხანს იგი არსად ჩანს, საყოველთაოდ ცნობილ დებატებში არ მონაწილეობს.

— ალბათ ჩვენს ინტერვიუზე მუშაობს, — დაასკვნა გურამ გოგიაშვილმა.

### ჯერ არა!

პანაშვიდიდან გამოვედით. — მალე ჩვენც ეგრე წამოვწვებით, — ამბობს გურამ გოგიაშვილი.

— ჯერ არ შეიძლება, ბატონო გურამ, ხვალ მორიგე ბრძანდებით, — აფრთხილებს მამუკა ვაშაკიძე.

### სათაური იპოვა

ოთარ ხუციშვილმა თავი მოუყარა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ იუმორისტულ მოთხრობებს და წიგნის გამოცემა განიზრახა. ოპერატორ ვალიკოს კომპიუტერში რაღაც აერ-დაერია. შეფიქრიანებული წარამარა იმეორებდა: „რაფერ მევიქცეთ ახლა ჩვენე?“

ჭკვიანი კაცი ხომ ყველა სიტუაციიდან პოულობს სარგებელს! ადგა ოთარი და თავის წიგნს „რაფერ მევიქცეთ ახლა ჩვენე“ დაარქვა. ისეთი სათაურია, მართლა ყველაფერს რომ მოერგება!

### ჩაფიძე და კასრაძე

ჯემალ კასრაძე:

— ვქეიფობთ. კარგი ღვინის ფასი ვიცი. თამადა ნიშნს მიგებს, ჩემთან რას მოხვალ, ჩაფიძე ვარო.

— შენ თუ ჩაფიძე ხარ, მე კასრაძე ვარ, თითი მოკაკვე-მეთქი. მოკაკვა.

* * *

— ასთმიანი ვარ... თავზე ასი ღერი თმაღა შემრჩა. — ამასაც ჯემალი ბრძანებს.

### წინ არ გაგიშვებენ

— დათო, გადაასწარი, პირდაპირ სასაფლაოზე წავიდეთ, — ეუბნება მძღოლს გურამ გოგიაშვილი.

— მიცვალებულის გადასწრება როგორ შეიძლება! — შეიცხადა ვილენმა.

— ჩვენ მიცვალებულს თუ გადავასწრებთ, თორემ, ახალი ქართველები წინ გაგვიშვებენ? — პასუხობს გურამი.

### არაყი... მოტორში

თელავის გაზეთის ფოტოკორესპონდენტი ალექსანდრე ბროდსკი ნუნუას მეგობრობდა. ავი ზნისაგან რომ დაეცვა, ცოლი კუდში დასდევდა. ჩასხდებოდნენ თავიანთ „ოპელჭიჭიკოში“ და ხან ნაფარეულისკენ გაუტევდნენ, ხან წინანდლისკენ. რახან ცოლი თავიდან ვერ მოიცილა, ალექსანდრემ ეშმაკობას მიმართა: არყის ბოთლი მანქანის ძრავაში დამალა. როცა გადაყლურწვა მოეპრიანებოდა, „კაპოტს“ ახდიდა. ცოლს ეგონა, ძრავას რაიმე სჭირსო. ქმარი როდის-როდის საჭეს მიუჯდებოდა და უცოდველი კრავივით გაინაბებოდა.

ერთ თვეს გაუვიდა ოინი, ორ თვეს. ერთხელაც ცოლი მანქანიდან შეუმჩნევლად გადმოჰყვა, ენახო, რა უჭირსო.

და ნახა...

### ვერ ეტეოდა...

შოთა ხოდაშნელს მწერალთა კავშირიდან „ქიგული“ გამოუყვეს. იყიდა და მალევე გაყიდა — ვერ ვეტეოდიო.

### ფეხებს დილით იბანს

— ყოველ დილით ფეხებს ვიბან, — გაანდო ოთარ ხუციშვილმა ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ რედაქტორის მოადგილეს კარლო დოლიძეს.

— დილით იბან? — შეიცხადა იმან. — ფეხების დაბანა მე საღამოს გამიგონია!

— კაცო, ზოგი სულ არ იბანს და მე დილით მაინც ვიბან!

**ელგუჯა ლეჟანიძე.**

⊙ სხარტულა

## ლარი და დოლარი

გახდა ლარი მყარი და
ლარის კურსი განმტკიცდა:
მემოწმება მტკვარი და
მემოწმება მთაწმინდა.

რა ვუყოთ, რომ თანდათან
ყველაფერი გამვირდა —
ჩვენი ლარი გაბრწყინდა,
დოლარი კი გაწბილდა!..

**თამაზ ილმელი.**

◉ „მუნდიალ-2006“

# ჟირესის რჩეულნი



**მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები „მუნდიალ-2006“-ის შესარჩევ ციკლში თავისი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერია და 13 ოქტომბერს ლვოვში ურთულესი მატჩი ელის მასავით 4 ქულის მქონე უკრაინის გუნდთან.**

სფფ-ში გამართულ პრესკონფერენციაზე „ჯვაროსანთა“ თავკაცმა **ალენ ჟირესმა** გვაუწყა, რომ საწვრთნელ შეკრებაზე მისი შეგირდები 7 ოქტომბერს გადავლენ, ხოლო თბილისიდან მეგობარ ქვეყანაში 11 ოქტომბერს ასეთი შემადგენლობით გაემგზავრებიან:

**მეკარეები:** სტურუა, დევაძე, ლომაია.

**მცველები:** ხიზანეიშვილი, მჟავანაძე, სალუქვაძე, კვარაცხელია, კვირკველია, შაშიაშვილი.

**ნახევარმცველები:** კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ჯამარაული, ბურდული, კანკავა, ასათიანი, რეხვიაშვილი.

**თავდამსხმელები:** იაშვილი, დემეტრაძე, ჯაკობია, შ. არველაძე.

როგორც ხედავთ, მომავალ დუელს ჩვენი გუნდი სერიოზული დანაკლისით ხვდება – ორი ყვითელი ბარათის გამო მინდორზე ვერ გამოვა კახი კალაძე, ხოლო ზურაბ ხიზანიშვილის თამაში კუნთის ტრავმის გამოა სათუო.

დავძენთ, რომ ეროვნულ ნაკრებში პირველად მიიწვიეს ქუთაისის „ტორპედოს“ მეკარე ზვიად სტურუა, ხოლო თბილისის „დინამოს“ მცველი გიორგი შაშიაშვილი მას ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.

◉ კოლეგებთან

# „ფალავანი“ კვლავ იფალავნებს

**ამ შვიდიოდე წლის წინათ გამოვიდა დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი „ფალავანი“ (დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზვიად შევარდენიძე), რომლის ბაზაზეც 2001 წელს დაარსდა ამავე სახელწოდების ჟურნალი. იგი სისტემატურად აშუქებდა ქართველ მოჭიდავეთა გამოსვლებს საერთაშორისო სარბიელზე, ეროვნულ ჩემპიონატებსა და პირველობებზე, წარმოაჩენდა ფალავანთა სამყაროში არსებულ ხარვეზებს, მათი გამოსწორების გზებს.**




უსახსრობის გამო „ფალავანი“ ორი წელიწადია, არ გამოსულა. დამფუძნებელს მისი აღორძინება განუზრახავს.

– ცნობილმა სპორტსმენებმა მოგვმართეს, აღვადგინოთ გამოცემა, გიორგი ასანიძემ, რომან რურუამ, ზურაბ ზვიადაურმა, დავით გობეჯიშვილმა, შოთა ხაბარელმა, ნესტორ ხერგიანმა, ელდარ კურტანიძემ, შენგელი ფიცხელაურმა და სხვებმა კი თხოვნით მიმართეს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ზაზა სიორიძეს, რათა დახმარება აღმოეჩინა ჩვენთვის, – გვითხრა ზვიად შევარდენიძემ, – ბატონი ზაზა ყოფილი მოჭიდავეა, ცნობილი ფალავნის ვაჟი, მისი თანადგომის იმედი გვაქვს. ამიტომ დიდი ენთუზიაზმით შევუდექით მუშაობას, ჭიდაობის მოყვარულნი სულ მალე იხილავენ ჟურნალის განახლებულ გამოცემას.

ვიმედოვნებთ, რომ „ფალავანი“ კვლავ იფალავნებს.

**ლექსო ცინცაძე.**

◉ ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები

**გუშინ საქართველოს სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთელთა XVI ეროვნული ჩემპიონატის IX ტურის ოთხი შეხვედრა. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

„თბილისი“ – „ტორპედო“ 1:1,
„ვიტ ჯორჯია“ – „ზესტაფონი“ 4:0,
„დილა“ – „ლოკომოტივი“ 0:0,
„სიონი“ – „კოლხეთი“ 2:2.

I წრის დასკვნითი მატჩი „ბათუმი“ – თბილისის „დინამო“ დღეს აჭარის დედაქალაქში 15 საათზე დაიწყება.

◉ ოლიმპიადის ექო

# ახლა კარგად მოიცალეს?!

**უფულობის გამო კინაღამ ჩაიშალა ათენში ოლიმპიადაზე დაღესტნელი მოკრივის მურად ხრაჩევის გამგზავრება, ბოლო წუთებში კერძო პირმა გაიღო საჭირო თანხა, მწვრთნელი კი ჩერკესკში დარჩა. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ „ვერ მოიცალა“ მასთან შესახვედრად და გზის დასალოცად.**

„უპატრონო“ (?!) მურატმა 60 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის მოკრივეებში თავი არ შეირცხვინა – დაამარცხა აზიის ჩემპიონი, ჩინელი ჩენ ტონჯოუ, ავსტრალიის ჩემპიონი ენტონი პიტერი, აფრიკის ჩემპიონი სემ რუკუნდო. მხოლოდ ნახევარფინალში დამარცხდა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

სამშობლოში დაბრუნებულ 21 წლის მოკრივეს უკვე სულ სხვანაირად შეხვდნენ.

საზეიმო საღამოზე მშობლიური ქალაქის ჩერკესკის მერმა მას ერთი ტომარა ფული და ახალი ბინის გასაღები გადასცა.

◉ მოვლენის შემდეგ

# ტყავის ბურთის ოსტატი ბილიარდის დიდოსტატი გახდა

ამას წინათ ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა მობილიარდეთა პირველი დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 7 ქვეყნის 34 წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის გახლდათ „პირამიდაში“ რუსეთისა და მსოფლიოს ოთხ-ოთხგზის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **გივი ანფიმიადი,** გასული საუკუნის სამოციან-სამოცდაათიანი წლების ცნობილი ფეხბურთელი.

– თბილისში დავიბადე და გავიზარდე, – მითხრა ბატონმა გივიმ. – ნახალოვკელი ვარ. რვა წლისამ ვანო შუდრასთან დავიწყე ვარჯიში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯერ 35-ე საფეხბურთო სკოლის ნაკრებში ვიყავი, მერე „ლოკომოტივის“ დუბლშემადგენლობაში გამოვდიოდი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ჩემი ფეხბურთით საქართველოს ძლიერ გუნდებში ადგილს ვერ დავიმკვიდრებდი, ამიტომ რუსეთს მივაშურე, თუმცა ოსტატთა კლუბებში მოხვედრა იქაც გამიჭირდა. სად არ ვცადე ბედი – ბრესტში, კრასნოდარში, კრიმსკში, ნოვოროსიისკში, ნალჩიკში, ტაგანროგში, როსტოვში. ერთი სიტყვით, ლამის მთელი ქვეყანა მოვიარე. ყველაზე მეტ ხანს ნოვოროსიისკის „ცემენტში“ ვითამაშე. 1965 წელს ზონაში გავიმარჯვეთ, საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი დავიმსახურე და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამომიძახეს.



**– თქვენ მოსკოვის „ლოკომოტივშიც“ გითამაშიათ...**

– დიახ, 1966 წლის შუა სეზონში რკინიგზელთა გასაძლიერებლად მე და ზადიკაშვილს გვიხმეს, „ოქროს კოშკებს“ შეგვპირდნენ და ჩვენც დავთანხმდით. პირველი მატჩი მოსკოვის „ტორპედოს“ წინააღმდეგ ჩავატარე. ავტოქარხნელთა რიგებში ციხიდან გამოსვლის შემდეგ დებიუტი ჰქონდა ედუარდ სტრელცოვს. ის ორთაბრძოლა, მართალია, „ტორპედომ“ მოგვიგო, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ კარგი თამაშისთვის შეგვაქო და პრემიებიც დაგვირიგა. მოსკოვში დიდხანს არ დავრჩენილვარ. „ლოკომოტივი“ გერმანიაში გაემგზავრა ტურნირზე, მე და ზადიკაშვილი არ წაგვიყვანეს. გაბრაზებულებმა დავტოვეთ საბჭოეთის დედაქალაქი და კვლავ ნოვოროსიისკს მივაშურეთ.

**– ქუთაისის „ტორპედოში“ როგორ მოხვდით?**

– 1969 წელს ლესელიძეში ვიყავი შეკრებაზე. მაშინ რიონისპირელთა მთავარი მწვრთნელი იყო ვსევოლოდ ბლინკოვი, გუნდის უფროსი გახლდათ კარლო ხელაია. სწორედ მან შემომთავაზა ქუთაისში გადმოსვლა. არც მიჭოჭმანია, მით უმეტეს, რომ მაშინ „ტორპედოში“ ჩემი მეგობარი მალხაზ შერგელაშვილიც თამაშობდა.

**– თქვენ, აბა, ტაშკენტის „პახტაკორთან“ გამართული ტრაგიკული მატჩიც გემახსოვრებათ...**

– იმ შეხვედრას რა დამავიწყებს... შუააზიელებთან ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ჩვენი უმაღლეს ლიგაში დარჩენა-არდარჩენის ბედი. დილიდანვე გადაუღებლად წვიმდა. მოედანი დაიტბორა. უამინდობის მიუხედავად, ჩვენს მხარდასაჭერად ტრიბუნებზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.

ცუდად ვითამაშეთ. 1:3 ვაგებდით. საფინალო სასტვენამდე ცოტა დრო რჩებოდა, არბიტრმა ჩვენს კარში თერთმეტმეტრიანი რომ დანიშნა. უკმაყოფილო ტრიბუნები აგუგუნდა. დავით გოგიამ მსაჯის გადაწყვეტილება რომ გააპროტესტა, მოედანი დაატოვებინეს. ამან კიდევ უფრო აღაშფოთა გულშემატკივრები. ვგრძნობდით, რომ ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა. შერგელაშვილმა სთხოვა აბდურაიმოვს, რომელთანაც ერთად ოლიმპიურ ნაკრებში გამოდიოდა, პენალტი არ გაეტანა. დასტურიც მიიღო. მოხდა კი პირიქით. წვერავა, რომელმაც მეკარე შეცვალა, ერთ მხარეს გადახტა, ბურთი კი მეორე კუთხეში გავიდა. აბდურაიმოვმა აღტაცების გამოხატვაც ვერ მოასწრო – ისეთი სთხლიშა შერგელაშვილმა, რომ შუააზიელმა გუბეში მოადინა ტყაპანი, გულისპირი სისხლით შეეღება. ქომაგებსაც მეტი რა უნდოდათ. ისეთი ამბავი ატყდა ტრიბუნებზე, რომ მამა შვილს ვერ ცნობდა. იყო სროლაც. მილიციის რამდენიმე მოტოციკლეტი დაწვეს, მსუბუქ ავტომანქანებს მინები ჩაუმსხვრიეს. მგონი, ერთი ბავშვიც შეეწირა იმ არეულობას. ჩვენ ძლივს გადავრჩით...

**– კიის როდის მოუსინჯეთ ფხა?**

– 1963 წელს ბრესტის ოფიცერთა სახლში. მერე კრიმსკის საკონსერვო ქარხნის კლუბის ხშირი სტუმარი ვიყავი. 1978 წელს, ფეხბურთს თავი რომ დავანებე, მთლიანად ბილიარდზე გადავერთვე. 1995 წელს პირველად გავხდი მსოფლიო ჩემპიონი. ანალოგიური ტიტული შარშანწინ პროფესიონალებშიც მოვიპოვე.

**– თბილისის ტურნირით კმაყოფილი ხართ?**

– აქ ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოვავლინე, რადგან ერთი თვეა, არ მივარჯიშია, თანაც დიდი ხანია, ტურნირებში არ მიასპარეზია. შეჯიბრების ორგანიზაციით მოხიბლული დავრჩი. ეს საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის დავით ალექსიძის დამსახურებაა. დარწმუნებული ვარ, „კავკასიის თასის“ გათამაშება ტრადიციული გახდება. ჩემს მშობლიურ ქალაქში ჩამოსვლა ისედაც მიხარია, რადგან აქ მყავს დედა, და, სიძე, დისშვილები, ნათესავები. ამიტომ თბილისის ტურნირებზე მომავალშიც ყოველთვის სიამოვნებით ვიასპარეზებ.

**ესაუბრა**
**ვაჟა დანელია.**
**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**

◉ ჭრელაჭრულა

## შერიგებისთვის – 10 ათასი გირვანქა

**ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში მანჩესტერელთა ფორვარდმა უეინ რუნიმ სამი ბურთი გაიტანა „ფენერბახჩეს“ კარში.** ჰეთ-თრიკით გახარებულმა ფეხბურთელმა 10 ათასი გირვანქა სტერლინგი აჩუქა თავის შემომწყრალ გულისწორს კოლინ მაკლაფლინს, თანაც საყიდლებზე ნიუ-იორკისკენ გაამგზავრა. თუმცა აშშ ხელისუფალთ მომავალ ქალბატონ რუნის გუნება ძალზე გაუფუჭეს, როცა აეროდრომზე გულმოდგინედ გაჩხრიკეს და თითების ანაბეჭდებიც კი აუღეს. ისე რომ, კოლინი პირველი ინგლისელი ქალია, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა 1 ოქტომბრიდან აშშ აეროპორტებში შემოღებული მგზავრთა კონტროლის გამკაცრებული სისტემა.



რატომ დაუჯდა ასე ძვირი ფეხბურთელს სატრფოს შემორიგება? კოლინმა შეიტყო, რომ 2002 წლის დეკემბერში მისი საქმრო, თურმე დროს ატარებდა ცნობილ მეძავ შარლოტა გლოვერთან, რაშიც 140 გირვანქა სტერლინგი გადაიხადა. თან ეს სწორედ იმ დღეს მომხდარა, როცა ფეხბურთელმა პირველად წერილობით აუხსნა მას სიყვარული. საცოლემ რუნის სილა გააწნა და წავიდა.

მაგრამ ნათქვამია, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, მით უმეტეს, თუ ის ასე ძვირფასია.

## დარჩა 10 პარტია

**კლასიკურ ჭადრაკში ვლადიმერ კრამნიკისა და პეტერ ლეკოს მსოფლიო პირველობის მატჩზე 43-ე სვლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა მეოთხე პარტია.** ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში კრამნიკი წინაა – 2,5:1,5.

მატჩის ბოლომდე სათამაშოა კიდევ 10 პარტია.

## აკრძალულ პრეპარატებს დაემატა

**საერთაშორისო ანტიდოპინგის სააგენტომ (WADA) გუშინწინ გამოაქვეყნა სპორტსმენებისთვის აკრძალული პრეპარატების ახალი სია. ჩამონათვალში, კერძოდ, შეტანილია ის პრეპარატები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის ნივთიერებები, რასაც იყენებენ ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორც, მაგალითად, ასთმაა. მას კი ფართოდ იყენებენ მოთხილამურეები.**

ახალი სია ძალაში შედის 2005 წლის 1 იანვრიდან.

## ოლიმპიადის პროგრამა გაფართოვდება



**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აპირებს ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში სპორტის ახალი სახეობების შეტანას – ლაპარაკია, კერძოდ, გოლფზე, რაგბიზე, კარატესა და გორგოლაჭებიან სპორტზე. ყველაზე ძლიერ პრეტენდენტად მიიჩნევენ გოლფს.**

პროგრამაში ცვლილებები მოსალოდნელია 2012 წლისთვის. გაჭიანურებული სასამართლო უთანხმოების გამო კვლავაც გაურკვეველია ოლიმპიადის პროგრამაში ტაეკვანდოს ადგილი. ჩინეთი, რომელმაც 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებს უნდა უმასპინძლოს, დაჟინებით მოითხოვს ტაეკვანდოს შეცვლას უშუთით.

## „ფორმულა-1“ ბრიტანეთში აღარ ჩავა?

**ასე იქნება, თუ უახლოეს დროში არ მოგვარდება ბრიტანეთის მრბოლთა კლუბისა და „ფორმულა-1“-ის თავკაცის ეკლსტოუნის დავა ფინანსურ საკითხებზე.**

ჯერ კიდევ შარშან ეკლსტოუნმა ინგლისის ავტოდრომ „სილვერსტოუნზე“ რბოლების ორგანიზატორებს ყველა პრობლემის მოსაგვარებლად, ხუთი კვირის ვადა მისცა. წინააღმდეგ შემთხვევაში რბოლების ბრიტანული ეტაპი, შეიძლება, წლევანდელი კალენდრიდანაც ამოიღონ.

მაგრამ „სილვერსტოუნის“ მფლობელმა, ბრიტანეთის მრბოლთა კლუბმა, ეს გაფრთხილება ყურად არ იღო.

როგორც თავად ეკლსტოუნი ამბობს, მას უნდა „სილვერსტოუნზე“ რბოლის შენარჩუნება, მაგრამ ამისთვის მისმა მესვეურებმა აუცილებლად უნდა აღმოფხვრან პრობლემები, რაც ავტოდრომის ინფრასტრუქტურასთან და ფულთანაა დაკავშირებული.

არადა, „ბრიტანეთის გრან-პრის“ ბოლო გამარჯვებული შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერია.




# მსოფლიო ისრაელს თავშეკავებისკენ მოუწოდებს

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისრაელი უნდა ეცადოს მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის თავიდან აცილებას.**

საფრანგეთმა გამოთქვა დიდი გულისტკივილი ძალადობის გამო, რუსეთმა კი მოუწოდა ორივე მხარეს მეტი თავშეკავება გამოიჩინონ. ოპერაცია, რომლის კოდური სახელწოდებაა „მოთმინების დღეები“, უკვე მესამე დღეა გრძელდება, მისი მიზანია, ბოლო მოუღოს ღაზის სექტორიდან პალესტინელი ექსტრემისტების მიერ ისრაელის ქალაქებისათვის რაკეტების დაშენას, აღნიშნეს ისრაელის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

პარასკევს, პალესტინელი მოთარეშეების წინააღმდეგ ისრაელის არმიის მიერ განხორციელებული ოპერაციის ფარგლებში, ისრაელის ასამდე ტანკი შეიჭრა ღაზის სექტორის ჩრდილოეთ ნაწილში, ლტოლვილების ბანაკ ჯაბალიაში, აგრეთვე, ქალაქებში ბეით-ჰანუნსა და ბეით-ლაჰიაში.

შაბათს, გამთენიისას, ჯაბალიაში მოკლეს ორი პალესტინელი, რომლებიც, როგორც ისრაელის მხარე ამტკიცებს, შედიოდნენ „ისლამის ჯიჰადის“ დაჯგუფებაში, ოთხი კაცი კი – დაიჭრა. ებრაელმა ჯარისკაცებმა ჯაბალიის ჩრდილოეთით მოკლეს კიდევ ერთი პალესტინელი.

მანამდე კი, ხუთშაბათს სულ ცოტა 27 კაცი მოკლეს და 100-ზე მეტი დაჭრეს – მათ შორის პალესტინელი მშვიდობიანი მცხოვრები და მოთარეშეები და აგრეთვე, ებრაელი ჯარისკაცები და მოსახლეები.



პალესტინელებმა დაგმეს ისრაელის მიერ განხორციელებული შეტევა. პალესტინის ადმინისტრაციამ მოითხოვა გაეროს უშიშროების საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა, რომელზეც უნდა განიხილონ ღაზის სექტორში ებრაელი სამხედროების მიერ განხორციელებული ეს სისხლისმღვრელი ოპერაცია.

# მოკლედ



**კიოტოს ოქმის რატიფიკაციით კრემლმა კერის წისქვილზე დაასხა წყალი. რუსეთის პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხელს აძლევს ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიულ პარტიასა და ავსტრალიის ლეიბორისტულ პარტიას, რომლებიც მხარს უჭერენ კიოტოს ოქმს. ბრიტანული „გარდიანი“ აღნიშნავს, რომ ეკოლოგიურმა თემამ, შესაძლოა, მოახდინოს გავლენა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ავსტრალიაში დანიშნული არჩევნების შედეგებზე, და ყოველივე ეს მოხდება კრემლის პოზიციის შეცვლის წყალობით.**

* * *

**ტონი ბლერი გულის რიტმის კორექტირების შემდეგ „მთლიანად განიკურნა“. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი საავადმყოფოდან გამოეწერა და დაუნინგ-სტრიტზე დაბრუნდა. ბლერის პრესმდივნის საიმონ უაილდის თქმით, მკურნალობა წარმატებული იყო და ძალზე მცირეა არითმიის განახლების საშიშროება.**

* * *

**ნასამ შატლ „დისქავერის“ გაშვება მაისამდე გადადო. სტარტისათვის მზადების გრაფიკი ძლიერმა გრიგალებმა დაარღვიეს. გარდა ამისა, ამერიკელი სპეციალისტები, ალბათ, მარტისთვის ან აპრილისთვის ვერ მოასწრებენ ყველა იმ რეკომენდაციის შესრულებას, რომლებიც გამოთქვა გასულ წელს ხომალდ „კოლუმბიის“ დაღუპვის მიზეზების გამომძიებელმა კომისიამ.**

# აიმან ზავაჰრი „კვლავ ალაპარაკდა“

**თანამგზავრულმა ტელეარხმა „ალ-ჯაზირამ“ გადასცა ფირი, რომელზეც სავარაუდოდ, ჩაწერილი უნდა იყოს „ალ-ყაიდას“ ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის ფუნქციონერის – აიმან ზავაჰრის განცხადება. აიმან ზავაჰრი „ალ-ყაიდაში“ უსამა ბენ-ლადენის შემდეგ მეორე კაცად ითვლება.**

ზავაჰრი აცხადებს, რომ ორგანიზებული წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ „ჯვაროსანთა“ ლაშქრობას მუსლიმანური სამყაროს წინააღმდეგ.

როგორც იგი აცხადებს, ნებისმიერი მუსლიმანის ვალია ის, რომ მიაღწიოს „პალესტინის“ განთავისუფლებას. დასავლეთს მიუძღვის ბრალი პალესტინის წინააღმდეგობის ლიდერების დაღუპვაში, მიაჩნია ზავაჰრის.

„პალესტინაში ჩვენ გვებრძვიან არა მარტო ებრაელები, არამედ ისლამის წინააღმდეგ ამხედრებული მთელი მსოფლიო კოალიცია, რომელსაც სათავეში უდგანან ამერიკელი ჯვაროსნები და სიონისტები, დასავლელი ჯვაროსნები და ისინი, ვინც მათ უკან დგას“.

ყოფილი ეგვიპტელი ქირურგი აიმან ზავაჰრი „ალ-ყაიდას“ მთავარ იდეოლოგად ითვლება.

1998 წელს იგი იყო ერთ-ერთი იმ ხუთი ადამიანიდან, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბენ-ლადენის „ფატვას“ – მოწოდებას ამერიკელ სამოქალაქო პირებზე თავდასხმების განხორციელების შესახებ.

ზავაჰრი ასრულებდა ძირითად როლს „ისლამის ჯიჰადის“ ეგვიპტის დაჯგუფების საქმიანობაში, რომელიც შემდეგ შევიდა „ალ-ყაიდას“ შემადგენლობაში.

ზავაჰრის ცოლი და შვილები დაიღუპნენ 2001 წლის დეკემბრის დამდეგს ავღანეთში ამერიკელთა ავიაციის მიერ განხორციელებული შეტევის დროს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ადამიანს ადანაშაულებენ აღმოსავლეთი აფრიკის ქვეყნების ამერიკის საელჩოებში მომხდარი აფეთქებების ორგანიზებაში. ეგვიპტეში ზავაჰრის დაუსწრებლად გამოუტანეს განაჩენი 1990-იან წლებში „ისლამის ჯიჰადის“ დაჯგუფებაში მისი საქმიანობის გამო.

როგორც ვარაუდობენ, აიმან ზავაჰრი „ალ-ყაიდას“ ლიდერთან ერთად იმალება ავღანეთ-პაკისტანის საზღვრის მიდამოებში.

სექტემბერში გამოჩნდა ზავაჰრის აუდიოჩანაწერი, რომელიც აცხადებდა, რომ ერაყსა და ავღანეთში საერთაშორისო ძალების დამარცხება მხოლოდ დროის საქმეა.




# „დიდი შვიდეული“ ნავთობის მოპოვების გადიდებას მოითხოვს

**ვაშინგტონში გამართულ შეხვედრაზე „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა ნავთობის მწარმოებლებს მოუწოდეს გაზარდონ ამ ნედლეულის მოპოვება, რათა ასეთი გზით შეამცირონ ნავთობის ფასები, რომელთა ზრდაც, მათი აზრით, დიდ საფრთხეს უქმნის მსოფლიოს კეთილდღეობას. შეხვედრის დასრულების შემდეგ გაკეთებულ ერთობლივ განცხადებაში მინისტრებმა აგრეთვე მოუწოდეს ნავთობის იმპორტიორ ქვეყნებს უფრო ყაირათიანად ხარჯონ ენერგორესურსები.**



ამ ნახევარი წლის წინათ „შვიდეულის“ ქვეყნების მინისტრებმა ასეთი მოწოდებით უკვე მიმართეს ნავთობის მწარმოებლებს, თუმცა ამას არ მოუხდენია გავლენა ამ ნედლეულის ფასების ზრდაზე. პარასკევს, ნიუ-იორკში გამართულ საჯარო ვაჭრობაზე ერთი ბარელი ნავთობის ფასმა კვლავ გადააჭარბა 50-დოლარიან ნიშნულს.

ამის მიუხედავად, ინდუსტრიულად განვითარებულმა შვიდმა ქვეყანამ კვლავ ურჩია ნავთობის მომპოვებელ სახელმწიფოებს უზრუნველყონ ნავთობის ადეკვატური მარაგი, რათა შეანელონ ფასების ზრდა.

მინისტრების სულ უფრო დიდ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ეკონომიკის გლობალური ზრდა, შესაძლოა, დაამუხრუჭოს ნავთობის ფასების მკვეთრმა მომატებამ.

ჯერჯერობით „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებმა ბოლომდე ვერ გაარკვიეს, თუ კონკრეტულად რა განაპირობებს ამ ნედლეულის ფასების მომატებას. ნავთობის მიწოდების საქმეში შეფერხებების წარმოქმნის საშიშროება უკავშირდება ერაყში შექმნილ ვითარებას, ჩინეთის ეკონომიკის სწრაფი ტემპით ზრდა კი სულ უფრო მეტ სათბობს მოითხოვს.

„დიდი შვიდეულის“ მთელი რიგი ქვეყნების მინისტრები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ ნავთობის ფასების ზრდაში, გარკვეულწილად, მიუძღვით ბრალი მსხვილ საფინანსო დაწესებულებებსაც, რომლებიც ცდილობენ ნავთობის დიდი ოდენობით შესყიდვას და ხელოვნურად ზრდიან ფასებს მეტი მოგების მიღების მიზნით.

შემაჯამებელ კომუნიკეში მინისტრები აღნიშნავენ, რომ საჭიროა მეტი გამჭვირვალობა ნავთობის ბაზრებზე და ამ ნედლეულზე მოთხოვნა-მიწოდების უფრო რეალურად შეფასება.

# ერთსქესიანი ქორწინებები მოიწონეს

**ესპანეთის მთავრობამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ნებას რთავს ერთსქესიან ქორწინებებს. თუ ამ კანონპროექტს მიიღებს პარლამენტი, ესპანეთი გახდება ევროპის მესამე ქვეყანა – ბელგიისა და ჰოლანდიის შემდეგ, რომელიც დართავს ნებას ასეთი რადიკალური რეფორმის განხორციელებას.**

საქმე ეხება არა მხოლოდ ერთსქესიანი ქორწინებების ლეგალიზაციას, არამედ ჰეტერო- და ჰომოსექსუალური წყვილების სამოქალაქო უფლებების გათანასწორებას. ეს ეხება დაბეგვრის საკითხებს, პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში პენსიის დანიშვნის, მემკვიდრეობის მიღების, განქორწინებისა და ალიმენტების დაკისრების უფლებებს.

უფრო მეტიც, ახალი კანონი ერთსქესიან წყვილებს ბავშვის შვილად აყვანის უფლებასაც აძლევს. თუმცა, ესპანეთის მთავრობა უარყოფს იმას, თითქოს ქვეყანაში აპირებდეს ნამდვილი სოციალური რევოლუციის მოხდენას.

„ერთსქესიანი ქორწინებების ლეგალიზაცია, უბრალოდ, ლოგიკური ნაბიჯია“, – განაცხადა ესპანეთის პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ მარია ტერესა დე ლა ვეგამ. როგორც მან თქვა, დაახლოებით 4 მილიონი ესპანელი ჰომოსექსუალისტია, ეს კი ქვეყნის მოსახლეობის 10 პროცენტია.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 230, კვირა, 3 ოქტომბერი, 2004 წელი.

## რომელი პროფესია ავირჩიოთ?

**ტერორიზმის სულ უფრო მზარდი საფრთხის გამო ამჟამად მსოფლიოს მასშტაბით ძალზე პოპულარული ხდება მეხანძრის და ექიმის პროფესიები.**

*მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, რომ აბიტურიენტთა შორის მოხდა ღირებულებების ნამდვილი ხელახალი გადაფასება. თუ ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ ამერიკაში პრესტიჟულად ითვლებოდა ჟურნალისტის ან ადვოკატის პროფესია, ახლა ექიმობა შემოვიდა მოდაში – ამ პროფესიას მისცა ხმა საზოგადოებრივი აზრის ეროვნულ ინსტიტუტში გამართულ გამოკითხვაში მონაწილე ამერიკელთა 52 პროცენტმა. მომდევნო ადგილები დაიკავეს მეხანძრის, მასწავლებლისა და შეიარაღებული ძალების ოფიცრის პროფესიებმა, ასე მიაჩნია 48 პროცენტს. ოდესღაც პოპულარული ჟურნალისტის და იურისტის პროფესიის პრესტიჟი მკვეთრად დაეცა – ამჟამად მათ გამოკითხულთა მხოლოდ 10 პროცენტი ანიჭებს უპირატესობას. უნდა ითქვას, რომ რუსეთშიც, ამ ბოლო ხანებში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების ფონზე, მსგავსი ტენდენცია შეინიშნება.*

## ხიდის მფარველი ანგელოზი

**ჩენ სიმ ნებაყოფლობით იკისრა უჩვეულო მისიის შესრულება – იგი ცდილობს სიკვდილისგან იხსნას ადამიანები, რომლებსაც სურთ მდინარე იანძიზე გადებული ერთ-ერთი მაღალი ხიდიდან გადახტომით მოიკლან თავი.**

*ჩენ სი ყოველ კვირა დღეს მიდის ხიდზე და თვალყურს ადევნებს გამვლელებს, ცდილობს გამოიცნოს, რომელიმე მათგანი ხომ არ აპირებს სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებას. როცა იგი შენიშნავს ხიდზე მარტოდ მდგომ ჩაფიქრებულ ადამიანს, სასწრაფოდ მიაშურებს მას. ჩენი ცდილობს ლაპარაკით დაიყოლიოს სასოწარკვეთილი ადამიანი, ხშირად მუქარასაც მიმართავს, მაგრამ ესეც თუ არ გაჭრის, იგი უბრალოდ ფიზიკური ძალის გამოყენებით არ მისცემს მას ხიდიდან გადახტომის უფლებას. თუ შეძლებს ადამიანის გადარჩენას ასეთი საბედისწერო ნაბიჯის გადადგმისაგან, ჩენი მას მეზობელ რესტორანში მიიწვევს გულახდილი საუბრისთვის. მან უკვე შეუნარჩუნა სიცოცხლე 42 ადამიანს. ამ ცოტა ხნის წინათ ჩენ სის მოხალისე თანაშემწეებიც გამოუჩნდა – კოლეჯის მოსწავლეები, რომლებმაც მორიგეობა დააწესეს ხიდზე. მას აგრეთვე მხარში ამოუდგა ის რამდენიმე ადამიანიც, რომლებიც ჩენმა სიკვდილს გადაარჩინა.*

## ციხეში კარგია?

**ვიეტნამელებმა აითვისეს ახალი კომფორტული კურორტი – ჰონკონგის საპყრობილეები.**

*ვიეტნამის ერთ-ერთი იატაკქვეშა ტურისტული ფირმა, მცირეოდენი თანხის გადახდის შემდეგ, გზავნის კლიენტს ჰონკონგში. ტურისტის ბარგში ფირმის მესვეურები აუცილებლად დებენ დანას და რამდენიმე ტყვიას. ეს საკმარისი იმისთვის, რომ ჰონკონგის კანონებით, ამ ადამიანს მიუსაჯონ 28 თვის პატიმრობა იარაღისა და ტყვია-წამლის უკანონო ტარებისთვის. ჰონკონგის საპყრობილე შეიძლება ითქვას, ნამდვილი კურორტია ვიეტნამის ღარიბი მცხოვრებლებისთვის, რომლებსაც ხშირად, ღამის გასათევიც კი არ გააჩნიათ. თავისი პირობებით, ამ ქვეყნის საპყრობილეები ერთ-ერთი ყველაზე კომფორტულია მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. იქ პატიმრებს უფლება აქვთ უყურონ სატელევიზიო გადაცემებს, გახსნილია ბიბლიოთეკა, შეიძლება ფეხბურთის და კალათბურთის თამაში. მომუშავე პატიმრები თვეში 120 დოლარს იღებენ, რაც ასევე, ძალზე მიმზიდველია ვიეტნამელებისთვის, რადგან მათი საშუალო ხელფასი სამშობლოში 100 დოლარს არ აღემატება. ჰონკონგის ხელისუფლება უახლოესი დღეებისთვის ელის ასეთი „ტურისტების“ მასობრივ მოზღვავებას და უკვე იღებს ზომებს მრავალი „დამნაშავის“ ქვეყნის ფარგლებს გარეთ დეპორტაციისთვის. არადა, ჰონკონგის საპყრობილე, იქ არსებული პირობების მიხედვით, მაინც ჩამოუვარდება ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ციხეებს – ნორვეგიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში, პატიმრებს გაცილებით კომფორტული პირობები აქვთ შექმნილი, ეს განსაკუთრებით ეხება ქალების კოლონიებს. გარდა ამისა, ამ ქვეყნებში ყველაზე მაღალია პატიმრების შრომის ანაზღაურების საფასური.*




## „მერსედესი“ თუ ქმარი?

**ლატარიაში მოგებული „მერსედესი“ ჩრდილოეთ კენიის მკვიდრის 17 წლის მირიამ ვანჯირუ ნჯგენგისთვის ოჯახური ტრაგედიის მიზეზი გახდა.**

*როცა შეიტყვეს მირიამის ასეთი წარმატების ამბავი, გოგონას ნათესავებმა იგი სასწრაფოდ წაიყვანეს საკუთარი სახლიდან. შინ დარჩა მირიამის გაოგნებული ახალგაზრდა ქმარი. ახლა ცოლის დასაბრუნებლად 24 წლის ჯეიმს ნჯენგის საკმაო თანხის გაღება მოუწევს. მირიამის ნათესავები აპირებენ, რომ ქმარს იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაატანონ, თუ ჯე-*



*იმსი დიდ გამოსასყიდს გადაიხდის. მირიამის ნათესავების ლოგიკით, შვიდი თვის წინათ, როცა ჯეიმსი მირიამზე დაქორწინდა, იგი ჩვეულებრივი ღარიბი ქალიშვილი იყო, და ამიტომაც ნათესავები შედარებით მოკრძალებულ გამოსასყიდს დათანხმდნენ. ახლა კი სულ სხვა საქმეა – ცოლისთვის, რომელიც „მერსედესის“ მფლობელია, დიდი თანხის გადახდაა საჭირო, მიაჩნიათ იღბლიანი ბილეთის პატრონის ახლობლებს.*

## დღეგრძელთა ქვეყანა

**იაპონიაში დამყარებულია აბსოლუტური რეკორდი – 100 წელს გადაცილებული ადამიანების რიცხვმა 23-ათასიან ნიშნულს გადააჭარბა.**

*გასულ წელთან შედარებით, იაპონიაში „დღეგრძელთა რაოდენობამ 25 ათასით მოიმატა. ამ კატეგორიის ადამიანთა 80 პროცენტზე მეტს ქალები შეადგენდნენ. იაპონიის 47 პრეფექტურას შორის ამ მაჩვენებლის მიხედვით ლიდერობს ოკინავა. იაპონიის ამ ყველაზე სამხრეთ პრეფექტურაში სადღეისოდ დაახლოებით 47 ას წელს გადაცილებული ადამიანი მოდის ყოველ 100 ათას მცხოვრებზე“. იაპონია, მართლაც რომ, „დღეგრძელთა“ ქვეყანაა, მაგრამ ასე ყოველთვის როდი იყო, – მიაჩნია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან არსებული იაპონიის კვლევის ცენტრის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს ტატიანა მატრუსოვას. – ეს ტენდენცია გამოვლინდა ამ ბოლო ხანებში, როცა იაპონიაში ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სადღეისოდ იაპონიაში, ალბათ, ყველაზე მაღალია მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხელფასები და გარანტირებული პენსიის დონე – 67 ათასი იენი, მაგრამ არის ისეთი პენსიებიც, რომელთა ოდენობაც მომუშავე ადამიანის ხელფასს უტოლდება. ყოველივე ამას უნდა დაემატოს ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფილი სისტემა, სწორი კვება, რაც განაპირობებს კიდეც „დღეგრძელთა“ ასეთ რეკორდულ რაოდენობას“.*

ОГОНЁК

# 500 წლის მზეჭაბუკი

**ხუთი საუკუნის მიღმა რომ გავიხედოთ, გაცხადდება ის ეპოქა, რომელსაც წარუშლელი კვალი დაამჩნიეს მოქანდაკე დონატელომ და ხუროთმოძღვარმა ბრუნელესკომ. ეს იტალიური ხელოვნების აღორძინების ხანაა, რომლის მწვერვალად შეუდარებელი მიქელანჯელო ბუენაროტი იქცევა!**

„სან-მარკოს“ მონასტრის ბაღებში შესანიშნავ ქანდაკებათა შორის გაიარა მან კარგი პროფესიული სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დონატელოს მოწაფე, მოქანდაკე ბერტოლდო დი ჯოვანი, და რომელიც ლორენცო მედიჩის მფარველობითა და ხელშეწყობით არსებობდა. „კაზინო მედიჩეოში“ ახალგაზრდა მიქელანჯელო გაეცნო ანტიკური ქანდაკების ბრწყინვალე კოლექციას, რამაც უსაზღვროდ გაუმდიდრა ცოდნა პლასტიკის ხელოვნებისა. ლორენცომ ყურადღება მიაქცია ნიჭიერ ჭაბუკს, დაიახლოვა იგი, შეუქმნა მუშაობისათვის საუკეთესო პირობები. ორი წლის განმავლობაში, ლორენცოს გარდაცვალებამდე (1492 წ.), მიქელანჯელო ცხოვრობდა და მუშაობდა მის სასახლეში“ – წერს თავის შესანიშნავ წიგნში „შედევრები და საუკუნეები“ ცნობილი ხელოვნებათმცოდნე კიტი მაჩაბელი.

ლორენცო... ეს ის ლორენცო გახლავთ, რომლის საგვარეულო დიდ როლს ასრულებს ფლორენციის პოლიტიკურ ცხოვრებასა და ხელოვნებაში და ლორენცო ბრწყინვალედ იწოდება. კოზიმო მედიჩის შთამომავლებმა ლორენცომ და ჯულიანომ განავრცეს და გააბრწყინეს ფლორენციის კულტურული ცხოვრება.

...მიქელანჯელო კი ჯერ ჭაბუკია და ხშირად შეივლის ხოლმე სან-მარკოს მონასტერთან რომ სახელოსნოა, სადაც თავჩახრილი მუშაობენ ტაძრის დასამშვენებლად გამიზნულ ქანდაკებებზე მარჯვენაგაწაფული მოქანდაკენი და ხელოსნები.

...არსებობს ორი ვერსია: თითქოსდა ფლორენციის მმართველმა მას სწორედ ტაძრის შესამკობლად შეუკვეთა ატლანტისებური ქანდაკება, რომელსაც შუასაუკუნებრივი რა-



ინდის იერი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ახალგაზრდა შემოქმედის წარმოსახვაში იგი ანტიკური იერის მქონე ჭაბუკად გარდაისახა – ეს იყო დავითი, მსგავსი ბიბლიური გმირისა, რომელმაც ხალხის მოსისხლე მტერი – გოლიათი დაამარცხა და ამდენად სინამდვილესაც, ანუ ფლორენციის რესპუბლიკის ძლევამოსილებას გამოხატავდა.

ამ ულამაზეს შიშველ, ხუთმეტრნახევრიან ფიგურაში ლამაზი სულიც ფეთქავდა თითქოს, რაც ქმნიდა სრულქმნილების, ჰარმონიის, მართლაც ბიბლიური დავითისებური ძლევამოსილების შთაბეჭდილებას – მას ხელში შუბიც ეჭირა...

შემკვეთებმა აღარ ისურვეს ამ მითოლოგიური მზეჭაბუკის საეკლესიო სივრცესთან დაკავშირება და მას ადგილი უფრო საჩინოდ პალაცო ვეკიოს წინ მიუჩინეს – ეს მოხდა 1504 წელს – ასე რომ, ხელოვანმა თითქოს დავითის სახით თავისი სიჭაბუკე უკვდავჰყო...

...რენესანსული ხელოვნების ისტორიკოსის, პალაცო ვეკიოს ფრესკების ავტორის ვაზარის აზრით ეს ქანდაკება არა მარტო ფლორენციის მმართველებისთვის, არამედ მოქალაქეებისთვისაც სიმამაცის, გმირობის მაგალითად, თავიანთი ქალაქ-რესპუბლიკის იდეალურ მოქალაქედ და მხსნელად იქცა!

მეორე ვერსიის მიხედვით ქანდაკების სახელოსნოს ხშირმა სტუმარმა მიქელანჯელომ, იქ ერთი ვეებერთელა მარმარილოს ლოდი დაიგულა, რომელსაც ვერავინ ვერაფერს ვერ უხერხებდა – მან გადაწყვიტა ამ ლოდის განკაცება და ჩანაფიქრი განახორციელა კიდეც – მართალია, დედანი ახლა აკადემიაში დგას, პალაცო ვეკიოზე კი ასლია, მაგრამ ესეც ფლორენციელთა დაჟინებული მოთხოვნით მოხდა – ფლორენციელებს უდავითობა ვერ წარმოუდგენიათ!

დავითი ყველა დროის თანამედროვეა.

**მოამზადა
ნანა ღვინეფაძემ.**

# ისრაელში კიბოს მკურნალობა ისწავლეს

**30 წლის ელენე ამბობს, რომ მას ძალზე გაუმართლა და, შეიძლება ითქვას, ხელახლა დაიბადა. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ დასმული საშინელი დიაგნოზი ახალგაზრდა ქალისთვის ფაქტობრივად განაჩენის ტოლფასი იყო: საოპერაციო ჩარევა, ქიმიური და სხივური თერაპია დამღუპველია მისი ორგანიზმისათვის. კიბოს წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენს მედიცინას სხვა საშუალებები არ გააჩნდა. მაგრამ ელენეს ბედმა გაუღიმა: მოხვდა იმ მოხალისეთა რიცხვში, რომლებსაც შესთავაზეს მკურნალობის კურსის გავლა ისრაელის "BIOGENIUS" ლაბორატორიისა და იერუსალიმის უნივერსიტეტის იმუნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერების მიერ შემუშავებული უახლესი მეთოდით. ელენე სულ სამი კვირის განმავლობაში მკურნალობდა ახალი მეთოდით. ორიოდე დღის შემდეგ კი მივიდა ხელმეორე გამოკვლევაზე. ექიმები გაოგნებულები დარჩნენ: როგორც სურათებიდან ჩანდა, კიბო ფილტვში და მეტასტაზები ხერხემალში უკვალოდ გამქრალიყო...**

### მოვლენა, რომელსაც დიდხანს ელოდნენ

იოლი მისახვედრია, თუ როგორი იქნებოდა პირველი რეაქცია, როცა შეიტყობდნენ კიბოზე ასეთი სენსაციური გამარჯვების ამბავს: ასეთი რამ შეუძლებელია. უფრო მეტიც, თუ გსურს, მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლი დაგატეხონ თავზე, თქვი, რომ ისწავლე კიბოს განკურნება. ძალზე დიდხანს ველოდით ჩვენ ამას. ძალზე ხშირად გაცრუებულა ჩვენი იმედები...

და მაინც, იმ პაციენტების გამოკვლევის შედეგები, რომლებმაც გაიარეს მკურნალობის კურსი, "BIOGENIUS" უნიკალური ინფორმაციულ-ჰომეოპათიური კომპლექსით. მოწმობს, რომ დაავადება უკვალოდ გაქრა: თანდათანობით ნორმალური ხდება სისხლის ბიოქიმიური მაჩვენებლები; რენტგენი, ულტრაბგერითი გამოკვლევა და ტომოგრაფია კი ამტკიცებს, რომ მეტასტაზები აღარ არის იმ ადგილებში, სადაც ისინი წინათ იყვნენ. ამასთან, ავადმყოფები შვებას გრძნობენ კომპლექსის მიღების პირველი დღეებიდანვე.

ებრაელი სპეციალისტების მიერ შემოთავაზებულ მეთოდს საფუძვლად დაედო თანამედროვე მეცნიერებისათვის ის ცნობილი ფაქტი, რომ ჯერ კიდევ დაავადების კლინიკური გამოვლინების დაწყებამდე ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებები აისახება სისხლის შემადგენლობაზე. ეს ეხება არა მარტო ონკოლოგიურ, არამედ სხვა დაავადებასაც. მაგრამ ონკოლოგიურ სნეულებათა დროს განსაკუთრებით იცვლება სისხლის პლაზმის ცილის სიხშირის სტრუქტურა.

მრავალი წლის ექსპერიმენტების შედეგად, ისრაელის "BIOGENIUS" ლაბორატორიის მეცნიერებმა შეიმუშავეს უნიკალური სპეციალური აპარატურა და კიბოთი დაავადებული ადამიანის სისხლის პლაზმის ცილის სიხშირულ მახასიათებელთა ანალიზისა და გამოსწორების კომპიუტერიზებული საავტორო ტექნოლოგია. მიღებული სამკურნალო სიხშირული დიაპაზონი გადააქვთ სპეციალურ მატარებლებზე (კერძოდ, ჰომეოპათიურ გრანულებზე) და საბოლოო ანგარიშით ავადმყოფი იღებს ინფორმაციულ ჰომეოპათიურ კომპლექსს, რომელიც აღადგენს მისი ორგანიზმის თვითრეგულაციის პროცესს, უწყობს ხელს სიმსივნის აქტიურ რეგრესიას და მის ელიმინაციას. არსებითად, ეს არის ინდივიდუალური სიმსივნესაწინააღმდეგო იმუნომოდულატორი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის სწრაფ გამოჯანმრთელებას თვით ისეთი დაავადების დროსაც კი, როგორიც არის კიბო. მსურს ხაზი გავუსვა – სწრაფ გამოჯანმრთელებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ონკოლოგიური დიაგნოზის დროს. როცა აკვირდები რენტგენის სურათებს და ამონაწერებს ავადმყოფობის ისტორიიდან მეთოდის გამოყენებამდე და მის შემდეგ, ძნელია არ გაოცდე იმით, თუ რა მოკლე ვადაში მოხდა სიმსივნის შემცირება ან მისი საერთოდ გაქრობა. სულ რაღაც 21, 25, 30 დღე და ადამიანი გადარჩენილია.

**იხ. მე-7 გვ.**

# ადამიანი + რობოტი = eHOMO

**კინოთეატრების ეკრანებზე გადის მორიგი ფანტასტიკური ბლოკბასტერი „მე, რობოტი“. აიზეკ აზიმოვის მოთხრობის მიხედვით გადაღებულ ფილმში ბოროტი მანქანები აუჯანყდნენ ადამიანებს. ეს თემა თითქმის უკვე მოყირჭებულია, მაგრამ იგი გამოგონილი არ გახლავთ.**

**დიახ, ჩვენ თვითონაც ვერ შევნიშნეთ, თუ როგორ მოვექეცით მექანიკური მსახურების ალყაში: შეძლებული ადამიანები იშენებენ „ინტელექტუალურ სახლებს“, ახლა მოდაშია „ჭკვიანი ტექნიკა“ და ხელოვნური შინაური ცხოველები. ყოველწლიურად მთელი მსოფლიოს მასშტაბით სულ ცოტა 100 ათასი ადამიანი ყიდულობს რობოტ ძაღლს ან კატას. სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ ასე 20 წლის შემდეგ გამოჩნდება მანქანები, რომლებსაც ექნებათ დანახვის, მოსმენის, სიარულის და ადამიანის მსგავსი ობიექტების მართვის უნარი. ნუთუ, ჩვენ ვდგავართ ხელოვნური ინტელექტის შექმნის ზღვარზე, რაზეც ოცნებობდა კაცობრიობა ამ ბოლო ათწლეულების მანძილზე? ამის თაობაზე „არგუმენტი ი ფაქტის“ კორესპონდენტი დიმიტრი პისარენკო ესაუბრა რუსეთის ხელოვნური ინტელექტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს სამეცნიერო მუშაობის დარგში ალექსანდრე ნარინიანის.**

### ცოდნის შესაყარზე

– ამბობენ, 2030 წელს ჰუმანოიდი რობოტის ყიდვა შესაძლებელი იქნება 10 ათას დოლარად, ყველა რესტორანი კი ავტომატიზებული გახდება. მანქანები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარ თავს ასწავლონ – ეს ის არის, რასაც ჩვენ თავდაპირველად მივიჩნევდით ხელოვნურ ინტელექტად? თუ ხელოვნური ინტელექტია ლაბორატორიულ პირობებში გამოზრდილი ადამიანის თავის ტვინის უჯრედები, რომლებსაც შეუძლიათ აზრობრივი ფუნქციების შესრულება?



– ხელოვნური ინტელექტი ძალზე ეკლექტიკური სფეროა, თვით დასახელებაც კი ფრიად პროვოკაციურია. ამ თემის ირგვლივ ხომ უამრავი შიზოფრენიით დაავადებული ადამიანი ფუსფუსებს – მათ იქ იზიდავთ ის, რაც ოდესღაც იზიდავდა ადამიანებს მუდმივი ძრავისკენ. პრინციპში, ხელოვნური ინტელექტის შექმნაში ბევრი რამ მონაწილეობს – ელექტრონიკაც, ნანოტექნოლოგიებიც, გენეტიკაც, ახალი მასალებიც (მაგალითად, კუნთებისთვის, ტანისთვის, თვალისთვის და ა.შ.) და იგივე თავის ტვინის უჯრედები. და არა მარტო თავის ტვინისა. აქ მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, თუ რისგან შევქმნით, არამედ იმას, როგორ და რისთვის შევქმნით. ინტელექტუალური უნარ-თვისებები შეიძლება გამოდგეს კოსმოსშიც და სამზარეულოშიც. ადამიანთან გარეგნული მსგავსება კი – ეს უფრო პიარისთვის არის.

**– იმ იდეებიდან, რომლებიც მეცნიერებს დაებადა ჯერ კიდევ ხელოვნური ინტელექტის კვლევის გარიჟრაჟზე, თუ შეესხა რომელიმეს ხორცი?**

– რადგან ხელოვნური ინტელექტის შექმნის პრობლემა მრავალი მეცნიერებისა და სფეროს შესაყარზეა, სპეციალისტები ყველაფერს ჰკიდებდნენ ხელს. რაღაც გამოდიოდა, მაგრამ ჯერჯერობით ძირითადად „სამიანზე“. იშვიათად – „ოთხიანზე მინუსით“. მაგალითად, მანიპულატორები, მხედველობა და გამოსახულების ანალიზი, „მანქანური“ თარგმანი და მეტყველების სინთეზი, დიაგნოსტიკა... რაც შეეხება ჭადრაკს, აქ აშკარა წინსვლაა, მაგრამ ეს ძირითადად მოხდა არა შემოქმედებითი შესაძლებლობების, არამედ მძლავრი კომპიუტერების წყალობით, რომლებსაც შეუძლიათ მილიონობით ვარიანტის შერჩევა. ხელოვნურ ინტელექტს ფრონტი ძალზე ფართო აქვს, ასე რომ, ყველაფერს ვერც კი ჩამოთვლი. მაგალითად, იგივე მანქანური თარგმანის შესაძლებლობები თავდაპირველად ძალზე გადაჭარბებით შეაფასეს. ნებისმიერი კარგი მთარგმნელისათვის ნათელია, რომ ჭეშმარიტ თარგმანს მხოლოდ ლექსიკონი და გრამატიკა არ ყოფნის. აქ საჭიროა გარკვეული ცოდნა იმ სფეროში, რომელსაც ეძღვნება ტექსტი. სწორედ ეს ცოდნა არის ხელოვნური ინტელექტის ბირთვი, ურომლისოდაც ვერავითარ ინტელექტუალიზაციას ვერ მივიღებთ. დავუშვათ, მანქანას არ უჭირს მეტეოროლოგიური ცნობების გადათარგმნა: ეს დარგი საკმაოდ შეზღუდულია და მთელი ცოდნა მის შესახებ შეიძლება მოვათავსოთ კომპიუტერში. მაგრამ, რა შედეგს მივიღებთ, თუ საქმე უფრო ფართო პროფილს შეეხება? ალბათ, არაფერი გამოვა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

### უკვდავების გზაზე

**– რეალურია ისეთი მანქანის შექმნა, რომელიც ნამდვილად გადააჭარბებდა ადამიანის აზროვნების ყველა შესაძლებლობას მისი მთელი თავისებურებებითა და ნიუანსებით?**

– ეს კითხვა უფრო ფილოსოფიურია: დროთა განმავლობაში ალბათ შესაძლებელი იქნება, რომ ვისწავლოთ ყველაფრის „ტექნიკური“ იმიტირება ნებისმიერ ხარისხობრივ დონეზე ისე, რომ არაფრით არ გამოირჩეოდეს ადამიანის შესაძლებლობებისაგან. შესაბამისად, გადააჭარბოს კიდეც მას... აქ ორი ნიუანსია. პირველი: დარჩება კი ეს „მანქანა“ მანქანად, თუ უკვე არა? და მეორე: თუ თვით ადამიანი, ასე ვთქვათ, გაჩერდება ერთ ადგილზე და ნელ-ნელა დაადგება დეგრადაციის გზას, როგორც ეს ახლა ხდება, მაშინ საშუალო „ჰომო საპიენსის“ გასწრება მანქანას არ გაუჭირდება.

**– და მანქანები იბატონებენ ადამიანებზე...**

– ზოგჯერ ერთი ადამიანი მეორეს ისეთ რამეს უკეთებს, რომ მანქანის საერთოდ აღარ უნდა გვეშინოდეს... გარკვეულწილად, ადამიანი მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც უკვე არის დამოკიდებული ჩვენს ტექნიკურ ცივილიზაციაზე. ჩვენ უფრო ღრმად ვალწევთ მასში და იგი – ჩვენში. ერთი დღითაც რომ გამოირთოს ელექტროენერგიის მიწოდება შეერთებულ შტატებში, იქ უკვე „ქვეყნის დასასრული“ დაიწყება. რატომ გამოირთო? კომპიუტერმა დაგვაღალატა. დღეს ადამიანები უკვე უმწეო ბავშვებივით დამოკიდებული არიან თავიანთ არცთუ ისე რთულ კომპიუტერებზე. არადა, ამ მანქანებს ხომ ინტელექტი გაცილებით ნაკლები აქვთ, ვიდრე კატას.

**– იქნებ ხელოვნური ინტელექტის შექმნა სულ სხვა გზით უნდა წარმართულიყო: ადამიანი თანდათანობით თვითონ გარდაიქმნება მანქანად, „შეერწყმება“ უმაღლეს ტექნოლოგიათა პროდუქტებს?**

– პრინციპში, ყველაფერი იქეთკენ მიდის, რომ 10-20 წლის შემდეგ, ამჟამინდელი თაობის ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ ცოცხალი იქნება, დღევანდელი Homo sapiens გარდაიქმნება იმათ, რასაც მე ვუწოდებ eHOMO-ს. ეს ახალი სახეობაა, რომელიც ინარჩუნებს გონიერი ადამიანისადმი ბიოლოგიურ კუთვნილებას, მაგრამ თვისებრივად გამოირჩევა მისგან ელექტრონიკასთან, უმაღლეს ტექნოლოგიათა პროდუქტებთან, ინტერნეტთან სიმბიოზის წყალობით. თანდათანობით იწყება ორგანიზმში გადამწოდებისა და სხვა ხელსაწყოების სულ უფრო ფართო ჩანერგვა, რომლებსაც უკვე ეწოდებათ მოლეკულური რობოტები, – ბიომონიტორინგის, სამედიცინო კონტროლისა და მკურნალობის მიზნითაც კი. ადამიანის სხეული სულ უფრო გამჭვირვალე და მართვადი გახდება. შესაძლებელი იქნება თითქმის ყველა უჯრედის მართვა. ახალ ტექნოლოგიებს გამოიყენებენ eHOMO-ს ფსიქოლოგიის კორექციისათვის – აგრესიის შეზღუდვა, ტკივილის ბლოკირება, ძალების მობილიზაცია და სხვა. ადაპტაციის, თვითრეგულაციისა და კონტროლის მეთოდებმა და ხერხებმა, შესაძლოა, იოგების ტექნიკის მიღწევებსაც კი გადააჭარბოს. და ეს ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის.

XXI საუკუნის შუა წლებში eHOMO დაბადების მომენტიდანვე მოთავსებული იქნება თავისებურ პარკში – ტექ-



ნოლოგიურ გარსში, რომელიც ასრულებს მისი აღმზრდელის, მასწავლებლის, შემდეგ კი თანაშემწის, მდივნის ფუნქციებს. მომავლის ადამიანისათვის ხელმისაწვდომი იქნება წინაპრების მიერ შეგროვებული მთელი ინფორმაცია. მის განკარგულებაში იქნება მეხსიერების შეუზღუდავი რეზერვები, გამოთვლათა, მონაცემებისა და შეფასებების დამუშავების მძლავრი ტექნოლოგიები. და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინტელექტუალიზაციის ასეთი დონის მიღწევის შემდეგ მომავლის ადამიანი ეცდება თავისი უკვდავების პრობლემის გადაჭრასაც. მას, ალბათ გამოუვა ეს. მაგრამ არა ისე, როგორც ეს ჩვენ დღეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

# ისრაელში კიბოს მკურნალობა ისწავლეს

(მეექვსე გვერდიდან)



ვისაც უნახავს, თუ რა ემართება ადამიანს ქიმიოთერაპიისა და დასხივების კურსის გავლის შემდეგ, კარგად გაიგებს, თუ რას ნიშნავს მკურნალობის ახალი მეთოდის გამოჩენა, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ დადებითი გრანულებით მკურნალობას მკაცრი გრაფიკის მიხედვით, ისეთებით, რომლებსაც გამოიყენებენ ჰომეოპათიაში, აგრეთვე ნაყენის, ფიტოკრემების, ბალზამებისა და სხვათა მიღებას. თანაც, ეს კომპლექსი ემთხვევა აბსოლუტურად ყველა ადამიანს, დაავადების განვითარების თავისებურებისა და ხასიათის მიუხედავად. როგორც «BIOGENIUS» ინფორმაციულ-ჰომეოპათიური კომპლექსის ლაბორატორიის გამოცდილი სპეციალისტები, რომლებიც ისრაელში მოხალისეებს ეხმარებიან, ამბობენ, ის ადამიანები, რომლებმაც ჯერ კიდევ 3-4 წლის წინ ჩაიტარეს მკურნალობის კურსი, დღეს სრულიად ჯანმრთელნი არიან. რეგულარული გამოკვლევები კი ადასტურებს, რომ კიბოს კვალი ორგანიზმში საერთოდ გაქრა.

## მკურნალი თვით ბუნებაა:

ახალი სამკურნალო ტექნოლოგიები შეიცავენ მძლავრ ბიოლოგიურ ინფორმა-



ციებს და მათ, როგორც სტარტერს, მოქმედებაში მოჰყავთ თვითგანკურნების მექანიზმები, ადამიანის ორგანიზმში სპობენ არა მარტო დაავადების შედეგებს, არამედ მის გამომწვევ მიზეზებსაც კი.

როგორც ცნობილია, სკალპელის, „ქიმიის" და დასხივების მეშვეობით მკურნალობის კურსის გავლის შემდეგაც კი, ადამიანი არ არის გარანტირებული რეციდივებისაგან. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ამოკვეთილი, ამომწვარი ან ქიმიური გზით დამუშავებული სიმსივნე, კვლავ არ იჩენს თავს. ამიტომაც, ონკოლოგიური დაავადებების მქონე ადამიანებს უჭირთ დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას, მას შემდეგ, რაც მათი ორგანიზმი მიიღებს ასეთ მძიმე დარტყმას, ისინი ცხოვრობენ მუდმივი შიშით, ელიან მორიგი გამოკვლევების შედეგებს.

ამავე დროს, მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურაში აღწერილია კიბოსგან თვითგანკურნების ასობით შემთხვევა. ეს აბსოლუტურად უტყუარი ფაქტებია, რომლებიც დამოწმებულია ანალიზების შედეგებით, ამა თუ იმ სერიოზული სამედიცინო დაწესებულების მისამართებით. ანუ, ადამიანის ორგანიზმს იმთავითვე აქვს მძლავრი ბუნებრივი სიმსივნემედეგობის უნარი, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზების ზემოქმედების შედეგად, კიბო ახერხებს ამ ბუნებრივი ბარიერის გადალახვას.

«BIOGENIUS" ლაბორატორიის ახალი ბიოტექნოლოგიები ეფუძნება ორგანიზმის დამცავი ძალების სწორედ ამ უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობებს. ისინი მუშაობენ შემდეგი პრინციპით: „დაავადებას კურნავს ადამიანის ბუნება", რასაც ჯერ კიდევ ჰიპოკრატე ქადაგებდა. არსებითად, ეს სწორედ ის ალტერნატიული მედიცინაა, რომელმაც შეძლო უზრუნველეყო პრობლემის გადაჭრისადმი კომპლექსური მიდგომა და ამ გზაზე ფანტასტიკურ შედეგებს მიაღწია.

## რაში გამოიხატება მკურნალობა?

ინფორმაციულ-ჰომეოპათიური კომპლექსი ეს არის სპეციალისტების მიერ შემუშავებული პრეპარატები, რომლებიც მხოლოდ ერთ ემბრიონულ არსებობს. ეს კომპლექსი ინდივიდუალურად ყოველი პაციენტისათვის. იგი უზრუნველყოფს სისხლის ნიმუშის, რომელიც ინფორმაციულ-ჰომეოპათიური კომპლექსის შედგება უამრავი ინგრედიენტისაგან და მის ჩამოსხმაში უსაფრთხო არ აქვს. მისი მოქმედება მიმდინარეობს უჯრედულ დონეზე და მათი ჩაწერის თუ მოქმედების პრინციპი ყოველი ორგანოსა და ქსოვილის ინდივიდუალური სიხშირის შესაბამისად არის გათვლილი. მისი შემადგენელი ნივთიერებების თითოეულ უჯრედში ინფორმაციის მიწოდებაზეა აგებული, ამასთან ორგანიზმის უჯრედები ზუსტად სწრაფად ასევე პროცესს, ხელს უწყობს ორგანიზმის ბუნებრივი დამცავი ძალების აქტიურ ფუნქციონირებას აღდგენას.

## სტარტი მიეცა 29 აგვისტოს

ამჟამად, ამ საშინელი სენისაგან განკურნების შესაძლებლობა არის, საბაოს საწინააღმდეგო საშუალება ნაპოვნია. 2004 წლის 29 აგვისტოს ყველა საერთაშორისო სააგენტოს მიხედვით, ახალი მეთოდით დაავადებულთა და ახლა იწყება მისი გამოყენება როგორც ისრაელში, ისე სხვა ქვეყნებში, უჩინარ ყოველი, შემთხვევის შემდეგ, კანადაში, ევროპაში, აშშ-სა და ავსტრალიაში, საფრანგეთში, ნორვეგიაში.

რუსეთში «BIOGENIUS" ლაბორატორიას ჰყავს სახელმწიფო პარტნიორი, რომელიც იღებს პრეპარატებს მას შემდეგ რაც პროგრამის სამეცნიერო შედეგებს მიიღებს, ხელმისაწვდომი გახდება.

დაავადების მკურნალობისათვის სულაც არ არის საჭირო ისრაელში ჩასვლა. ინდივიდუალური «BIOGENIUS" ინფორმაციულ-ჰომეოპათიური კომპლექსის მისაღებად საჭიროა ლაბორატორიაში გაიგზავნოს სამედიცინო მარლის პატარა ნაჭერი თითიდან აღებული 3-4 წვეთი სისხლით. კომპლექსი დამზადდება 7-10 დღის განმავლობაში, კიდევ 3-4 დღის განმავლობაში კი მას ექსპრეს-ფოსტით მიაწვდიან ავადმყოფს.

კიბოსაგან სრული განკურნებისათვის აუცილებელი კურსების რაოდენობა ინდივიდუალურია. დაავადების საწყის სტადიაში საკმარისია ერთი-ორი კურსი (ყოველი შემდეგი კურსი კი სულ ცოტა, ნახევარი წლის შემდეგ უნდა განხორციელდეს). ხოლო, რაც შეეხება, ასე ვთქვათ „მიშვებულ დაავადებას", მის სრულ განკურნებას 1,5-2 წელი დასჭირდება. მთავარია ის, რომ სიმსივნის განვითარების ნებისმიერი პროცესი «BIOGENIUS" კომპლექსის მიღების პირველი დღეებიდანვე ჩერდება, პრეპარატის მიღების ბოლოს კი (3-6 კვირა) სიმსივნე მცირდება ან საერთოდ ქრება. ეს პრეპარატი სწრაფი შედეგის მიღების გარანტიას გვაძლევს.

პრეპარატის მიღების ყოველი კურსის დასრულების შემდეგ პაციენტმა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა გაიაროს განმეორებითი ლაბორატორიული გამოკვლევა, რომელიც უთუოდ დააფიქსირებს მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებულ მდგომარეობას. მკურნალობის მორიგი კურსის დაწყების წინ ხორციელდება ავადმყოფის სისხლის პლაზმის ცილის სიხშირული მახასიათებლების განმეორებითი ანალიზი, და მიღებული მონაცემების საფუძველზე მზადდება ახალი ინდივიდუალური ინფორმაციულ-ჰომეოპათიური კომპლექსი. და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ სრულ გამარჯვებას არ მოვიპოვებთ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთი კურსის ღირებულება არ აღემატება ჩვეულებრივი ქიმიო-თერაპიის საფასურს. ასე რომ, ამ საზარელი სენისგან განკურნება ყველასათვის ხელმისაწვდომია.

გამოყენების საშუალებას. სისხლის ნიმუშის დამუშავების შემდეგ გაიცემა სარწმუნო ინფორმაცია, რომელიც ნათლად მიანიშნებს ნებისმიერ ცვლილებაზე სისხლის პლაზმის ცილის სიხშირის სტრუქტურაში. და რაც ყველაზე მთავარია იმას, თუ რა კომპონენტებით შეიძლება მისი ნორმაში მოყვანა. ეს ინფორმაცია გადააქვთ ჩვეულებრივ ჰომეოპათიურ გრანულებზე, რომლებსაც პაციენტი, დანიშნულების თანახმად, იღებს 3-6 კვირის განმავლობაში, რაც ხელს უწყობს სისხლის პლაზმის ცილის დაზიანებული სიხშირის სტრუქტურის აღდგენას. პირველი დღიდანვე პაციენტის გუნება-განწყობილება საგრძნობლად უმჯობესდება, მცირდება ან მთლიანად ქრება ტკივილი, წყდება სისხლდენა, სტაბილური ხდება კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, შარდსადენი სისტემის მუშაობა. გარდა ამისა, ავადმყოფი მოდის მადაზე, ნორმაში დგება სისხლის მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ იმუნური სისტემის მდგომარეობას, იწყება ნივთიერებათა დარღვეული ცვლის აღდგენა, ავადმყოფს უბრუნდება სიცოცხლის ხალისი და სიცოცხლის ინტერესი.

დაგვეთანხმეთ, ყოველივე ეს ძალზე წააგავს ზღაპარს! მაგრამ ასეთი მკურნალობა ასპროცენტიან ეფექტს იძლევა. «BIOGENIUS" კურნავს თვით იმ ავადმყოფებსაც კი, რომლებიც კიბოს ისეთი ფორმებით არიან დაავადებული, ოპერაციას რომ არ ექვემდებარება, და იმათაც, რომელთა დღეებიც, ექიმების პროგნოზით, დათვლილი იყო.

## უკუჩვენება არ არის

სადღეისოდ მეცნიერებისათვის ცნობილია უამრავი მცენარეული თუ ცხოველური წარმოშობის პრეპარატი, ვიტამინი და მინერალი, რომლებსაც კიბოს საწინააღმდეგო თვისებები აქვთ. «BIOGENIUS"ინ-

**ოლგა ისაევა,**
**„კომსომოლსკაია პრავდა".**

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

# მამაკაცთა პრობლემები

ლონდონელმა მამაკაცებმა მიმართეს უკიდურეს ზომებს იმისთვის, რომ დაეცვათ მამების უფლებები.

ბუკინგემის სასახლის არსებობის 300 წლის ისტორიის მანძილზე პირველად მის კედლებზე გაიმართა საპროტესტო აქცია. დედოფლის ლონდონის რეზიდენციის სიმყუდროვე დაარღვია „სამართლიანობისთვის მებრძოლი მამების" ორგანიზაციის 33 წლის აქტივისტმა ჯეისონ ჰატჩმა, რომელიც „ბეტმენის" კოსტიუმში გამოწყობილი აძვრა სასახლის ერთ-ერთ აივანზე. ჯეისონს ასეთი გზით სურდა, გამოეხატა უკმაყოფილება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის გამო, რომლის მიხედვითაც ოჯახს დაშორებულ მამებს, უმეტეს შემთხვევაში, არ ეძლევათ შვილების აღზრდის უფლება. ჯეისონმა შენობის აივანზე გამოკიდა ტრანსპარანტი ასეთი წარწერით „სუპერ-მამები იბრძვიან თავიანთი შვილების ნახვის უფლების მოპოვებისთვის". სუპერ-მამამ შენობის კედლის ერთ-ერთ ჰორიზონტალურ შვერილზე ხუთი საათი გაატარა, რის შემდეგაც იგი ძალდატანებით ჩამოიყვანეს პოლიციელებმა. სასახლის შესასვლელთან კი დააკავეს ჰატჩის 48 წლის თანამზრახველი დეივ პაიკი, რომელიც ბეტმენის მეწყვილის – რობინის კოსტიუმში იყო გამოწყობილი. როგორც ცნობილი გახდა, ჯეისონს და დეივს ბრიტანეთის კანონმდებლობამ აუკრძალა შვილების ნახვა.




◎ ყველაფერი ყველაფერზე

## ურუგვაელები „კამარინსკაიათი" მოიხიბლნენ

**ურუგვაიში გაიმართა მიხეილ გლინკას სახელობის ფესტივალი, რომელიც გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის დაბადების 200 წლისთავს მიეძღვნა. მაყურებლებმა მოისმინეს ოპერა „რუსლან და ლუდმილას" უვერტიურა, აგრეთვე „კამარინსკაია" და რუსული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლის სხვა ცნობილი ნაწარმოებები.**

ხალხი თბილად შეხვდა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის გამოსვლას (დირიჟორი ანდრეი კრუქკოვი). რუსეთელი დირიჟორის ბრწყინვალე ოსტატობის წყალობით ურუგვაის ორკესტრი ახლებურად აჟღერდა.

დიდი ინტერესით შეხვდნენ რუსეთელი მომღერლის ფელიქს კუდრიავცევისა და პიანისტი ქალის ევგენია სმირნოვას შესრულებას. ურუგვაის კულტურის მინისტრმა ლეონარდო გუარინომ მადლობა გადაუხადა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის ხელმძღვანელობას, რომლემაც შეაძლებინა რუსულ მუსიკას ისმინოს ეს მუსიკის სიმდიდრე, ერთად რომელიც სახელმწიფო ფესტივალის მონაწილეები.

## იყიდება ლოხ-ნესის წყალი

**ბრიტანელ მეწარმეს პიტერ მაკკინს მიაჩნია, რომ დიდძალ ფულის შოვნა შეიძლება ლოხ-ნესის ტბის წყლით. წყლის გაყიდვის იდეა მას თავში მოუვიდა მაშინ, როცა ამერიკელმა მეგობრებმა სთხოვეს, სევენირის სახით ჩამოეტანა ამერიკაში იმ ტბის წყალი, რომელშიც ურჩხული ბინადრობს.** თავდაპირველად მაკკინმა ინტერნეტით მოსაერთებელი ხერხებით შეიტყო, ეს ჩაფიქრებული წყალი დაგროვდა ამით შემდეგ 6 კვირანახევრის მოუგიანებია. ცხოვრებამ შეიძლება მეწარმემ დაიწყო წყლის ჩამოსხმა და სამართლიანობის ხელისუფლებას სთხოვა რეგისტრაციაში გაეტარებინა მისი უჩვეულო ბიზნესი. პიტერ მაკკინს დართეს წყლის გაყიდვის ნება ერთი პირობით – ბოთლის ეტიკეტზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, რომ ეს წყალი სასმელად უვარგისია. შოტლანდიელმა, რა თქმა უნდა, თავისი საქონელი დაამშვენა ლოხ-ნესის ურჩხულის გამოსახულებით.

◎ ადამიანები

ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში ოქტომბერში გამოიცემა კოლუმბიელი მწერლის გაბრიელ გარსია მარკესის ახალი რომანი „ვიხსენებ ჩემს სევდიან მეძავებს". ნაწარმოებში მწერალი აღწერს იმ „სიყვარულის ქურუმების" თავგადასავლებს, რომლებიც მას შეხვედრია ცხოვრებაში. ეს თემა სადღეისოდ მოდურია. საკმარისია გავიხსენოთ კოელიოს რომანი „თერთმეტი წუთი", რომელიც ასე იწყება: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეძავი მარია..."



* * *

რენატა ლიტვინოვა გახდა ზემფირას კლიპის რეჟისორი, რომელიც შექმნილია მისი ალბომის ერთ-ერთი კომპოზიციის მიხედვით. ზემფირამ კი, თავის მხრივ, ჩაიწერა რამდენიმე სიმღერა ლიტვინოვას ახალი ფილმისათვის „ქალღმერთი", რომელიც ეკრანებზე სექტემბრის დამლევს გამოვიდა.



* * *

იური ლუჟკოვი მოსკოვში შეხვდა თავის კოლეგებს მსოფლიოს ქალაქების მერთა III საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში. ქალაქების მერებს ელოდა კულტურულ-გასართობი ღონისძიებები, აგრეთვე, სერიოზული სჯა-ბაასი საჭირბოროტო პრობლემების შესახებ. საუბარი შეეხო, მაგალითად, სატრანსპორტო პრობლემებს. მაინის ფრანკფურტის ბურგომისტრმა ედვინ შვარცმა კოლეგებს გაუზიარა ქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო ხერგილების წინააღმდეგ ბრძოლაში შეძენილი გამოცდილება: თუ ქალაქის ცენტრში განლაგებულია რომელიმე დიდი ოფისი, იქ მანქანებით მისვლის უფლება ამ ოფისის თანამშრომელთა მხოლოდ 10 პროცენტისთვის არის ნებადართული.



# გარდაბნის რაიონული სასამართლოს განჩინება

საქმე №2-190-04

20 სექტემბერი, 2004 წელი, ქ. გარდაბანი

შესავალი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლაზარე ძირკველიშვილმა, ერთპიროვნულად, განიხილე შპს „ვიჩნაშის" ქონების მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

ვიხელმძღვანელე რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-4, მე-6, 61-ე, მე-7, მე-8, მე-11, მე-12 მუხლებით, მე-13 მუხლის პირველი და მესამე პუნქტებით, 31-ე მუხლით და საქართველოს საქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით

დავადგინე:

1. გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება შპს „ვიჩნაშის" ქონებაზე – 2004 წლის 22 სექტემბერს 10 საათიდან;
2. შპს „ვიჩნაშის" გაკოტრების მმართველად დაინიშნოს კახაბერ ლათიბაშვილი;
3. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნასთან დაკავშირებით აეკრძალოს ვალაუვალ მოვალეს შპს „ვიჩნაშს" თავისი ქონების განკარგვა;
4. მოვალის ქონების მართვა დაევალოს გაკოტრების მმართველს;
5. ვალაუვალი მოვალის კრედიტორები ვალდებული არიან 2004 წლის 25 ოქტომბრამდე წარმოადგინონ გაკოტრების სასამართლოში (ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის №14) თავიანთი მოთხოვნები ვალაუვალი მოვალის მიმართ მოთხოვნის ოდენობის (შესაბამის ვალუტაში) და მისი წარმოშობის საფუძვლის ჩვენებით. მიეთითოთ ვალაუვალი მოვალის კრედიტორებს, რომ მოთხოვნათა წაყენების ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნები განიხილება როგორც დაგვიანებით გაცხადებული მოთხოვნები და მათი გათვალისწინება არ მოხდება გაკოტრების მასის განაწილებისას.
6. ყველა ის პირი, ვისაც აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება ვალაუვალი მოვალის ქონებაზე, ვალდებულია თავისი უფლებების შესახებ განაცხადოს გაკოტრების მმართველთან მოთხოვნათა წაყენების ვადაში, ანუ 2004 წლის 25 ოქტომბრამდე;
7. ყველა იმ პირს, ვინც ფლობს ვალაუვალი მოვალის რაიმე ქონებას ან ვალდებულია მის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, ეკრძალება ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება მოვალის მიმართ. მათ შესრულება უნდა განახორციელონ მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ;
8. კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომა ჩატარებულ იქნეს გარდაბნის რაიონული სასამართლოს შენობაში 2004 წლის 3 ნოემბერს (ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის №14), სხდომის დარბაზი №1;
9. მოწვეულ იქნეს კრედიტორთა პირველი კრება 2004 წლის 3 ნოემბრის 15 საათზე; გარდაბნის რაიონული სასამართლოს შენობაში (ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის №14), სხდომის დარბაზი №1;
10. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები, ხოლო მათი სააღსრულებო წარმოება გადმოეცეს გაკოტრების სასამართლოს;
11. აღნიშნული განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა"; გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას;
12. აღნიშნული განჩინება გაეგზავნოს:

ა) ქ. გარდაბნის რაიონის ცენტრალურ ფოსტას (დავით აღმაშენებლის №72) და მიეთითოს, რომ ვალაუვალი მოვალის – სს შპს „ვიჩნაშის" სახელზე მიღებული ყველა გზავნილი და კორესპონდენცია გაუგზავნოს გაკოტრების მმართველს კახაბერ ლათიბაშვილს შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის 81;

ბ) სამეწარმეო რეესტრს (გარდაბნის რაიონული სასამართლო), რათა გაკეთდეს ჩანაწერი სამეწარმეო რეესტრში შპს „ვიჩნაშის" ქონების მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ;

გ) ქ. გარდაბნის საჯარო რეესტრს (გარდაბნის მიწის მართვის სამმართველოს, ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის №73), რათა ვალაუვალი მოვალის – შპს „ვიჩნაშის" სახელზე რიცხული უძრავი ქონების რეესტრის ფორმულარებაში შეიტანოს მონაცემი გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ;

13. ეცნობოს სს „სახალხო ბანკს", „გაერთიანებულ ქართულ ბანკს", და „საქართველოს ბანკს", რომ შპს „ვიჩნაშის" ქონებაზე გახსნილია გაკოტრების საქმის წარმოება;
14. აეკრძალოს მოვალის – შპს „ვიჩნაშის" ხელმძღვანელობას საბანკო ოპერაციების წარმოება;
15. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა მისი გამოქვეყნების მომენტიდან 12 დღის განმავლობაში.

**მოსამართლე**
**ლ. ძირკველიშვილი.**

**კრედიტორთა საყურადღებოდ!**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პალიტრა" (რეგისტრირებული ბათუმის საქალაქო სასამართლოში 25.12.2000 წ. № 01/04-1439) და მისი თბილისის ფილიალი „პალიტრა პლიუსი", რეგისტრირებული ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში 10.01.2002 წ. № 2/4-163, აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართებზე: 1. ქ. თბილისი, მოსკოვის პროსპექტი, სახლი № 33, ბინა № 46; 2. ქ. თბილისი, მიქელაძის ქ. № 1.

**დირექცია.**

# განჩინება 2/1496

1 ოქტომბერი, 2004 წ. ქ. თბილისი

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ნ. ონიანმა ერთპიროვნულად განვიხილე შპს „ღვინის ქარხანა ახაშენის" გაკოტრების განცხადება საქმეზე, დროებითი მმართველის დანიშვნის თაობაზე.

დავადგინე:

1. შპს „ღვინის ქარხანა ახაშენის" გაკოტრების დროებით მმართველად დაინიშნოს ნიკოლოზ ბაკაშვილი, დაბადებული 30.08.1965 წელს სიღნაღში, განათლებით ეკონომისტი, პროფესიით – აუდიტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მცხოვრები ქ. თბილისში, იალბუზის ქ. № 5.
2. აეკრძალოს მოვალეს შპს „ღვინის ქარხანა ახაშენის" წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს ვლადიმერ გრებენჩიკოვს დროებით მმართველთან შეთანხმების გარეშე განკარგოს ქონება.
3. გაკოტრების დროებით მმართველს დაევალოს, ზედამხედველობა გაუწიოს მოვალის ქონებას და ამ ქონებასთან დაკავშირებულ მოვალის ქმედებებს.
4. დაევალოს გაკოტრების დროებით მმართველს (ნ. ბაკაშვილს) დანიშვნისთანავე აღწეროს ვალაუვალი მოვალის ქონება, გამოავლინოს დებიტორები და კრედიტორები, შეადგინოს ბალანსი და ანგარიში წარუდგინოს სასამართლოს.
5. გამოქვეყნდეს წინამდებარე განჩინება გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა". გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას.

განჩინების ასლები გაეგზავნოს:

ა) თბილისის ცენტრალურ ფოსტაში (რუსთაველის გამზ. № 31) და მიეთითოს, რომ ვალაუვალი მოვალის – შპს „ღვინის ქარხანა ახაშენის" ყველა გზავნილი და კორესპონდენცია გაეგზავნოს გაკოტრების დროებით მმართველს ნიკოლოზ ბაკაშვილს მისამართზე: ქ. თბილისი, იალბუზის ქ. № 5.

ბ) განჩინება გაეგზავნოს ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს სამეწარმეო რეესტრში ჩანაწერებისათვის ამ განჩინების შესაბამისად.

გ) ქ. თბილისის საჯარო რეესტრს, თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტს და თბილისის ტექ. აღრიცხვის სამსახურს, რათა ვალაუვალი მოვალის შპს „ღვინის ქარხანა ახაშენის" სახელზე რიცხული უძრავი ქონების (თუ ასეთი არსებობს) რეესტრის ფორმულარებში შეიტანონ მონაცემები გაკოტრების დროებითი მმართველის შესახებ.

დ) ისანი-სამგორის საოლქო საგადასახადო ინსპექციას.

**მოსამართლე ნ. ონიანი.**

## ორშაბათი, 4 ოქტომბერი,

07.30 ალიონი 09.40 პროფილაქტიკა 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" 19.00 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 20.00, 23.00 მოამბე 21.05 სერიალი "**კარიბის ზღვაზე**" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 მხ. ფილმი "**ლოლიტა**" (გ)

19.00 მულტფილმი "მარსუპილამი" 19.30 "იმღერე რამე" 20.00 "მთავარო როლში"-რ. ჩხიკვიშვილი 20.40 სერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" 21.30 ფორტუნა 22.00 ბასტი-ბუბუ 22.15 მხ. ფილმი "**ბერიკაცები**" (გ)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 10.00 სერიალი "**განდგომილი**" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 12.20 სერიალი "**შეყვარებული ქალები**" 13.30 სერიალი "**წმინდა ინგლისური მკვლელობები**" 15.25 სერიალი "**ბევერლი ჰილზი**" 16.30 სერიალი "**ეკლები და ვარდები**" 17.25 პერეკროსტკი 18.20 "ფოქს კიდსი" 18.45 სერიალი "**ბევერლი ჰილზი**" 19.45 პატრული 20.00 სერიალი "**შეყვარებული ქალები**" 22.00 თამაში "ყველაზე ჭკვიანი" 23.00 დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) 00.00 მხ. ფილმი "**მებრძოლი თუ მკვლელი**". მთ. რ-ში: ლორენცო ლამასი (18). 02.00 პატრული

07.00 სერიალი "**უკიდურესი ზღვარი**" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" 08.25, 14.45, 02.55 იმედის მელოდიები 08.30 დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" 09.20 "აქტიორი" 10.05 სერიალი "**ტყუპები**" 11.15 დროება 12.40, 16.25, 02.25 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი "**კუკარაჩა**" (გ) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.45 ქრონიკა 15.20 სერიალი "**კლონი**" 16.40 დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" 17.25 ვაკაჭი-ნიუსი 18.05 სერიალი "**ტყუპები**" 20.00 სერიალი "**კლონი**" 20.55 სერიალი "**ყავა და ლუდი**" მე-3 ს. 22.45 საქმე ტ 23.10 "არჩევანი თქვენ" 00.25 სპ. პროგრამა "გოლი" 00.50 "აქტიორი" 01.20 სერიალი "**ნეშ ბრიჯესი**"

09.00 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 09.30 სერიალი "**ველური მთვარე**" 10.30 სერიალი "**სინიორ ვიანელო**" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 სერიალი "**ვუპი**" 11.35 ერთი ჟურნალისტის მზერა. გ. ცხვიტავა. "სნაიპერი" 12.05 ტელეჟურნალი "დები ტრევისის საოცარი სახლი" 13.05 სერიალი "**პოლიციელი ქალები**" 14.15 "ფარული კამერა" 14.45 "მუსიკა მზეზე" 15.00 სერიალი "**მარია ემილია**" 16.05 სერიალი "**პოლიციელი ქალები**" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 "ფარული კამერა" 17.50 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.20 ტელეჟურნალი "სცენა" 19.05 სერიალი "**ველური მთვარე**" 20.45 სერიალი "**სინიორ ვიანელო**" 21.15 სერიალი "**ვუპი**" 21.45 კრიმინ. დრამა "**სთშჲ** დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 "არჩევანის ზღვარზე" 23.45 მხ. ფილმი "**სიამოვნების ქუჩა**" (18) (ლეტიცია კასტა)

13.00, 00.30 ქართული მუსიკა 14.00 ინდ. მხ. ფილმი "**ოთხი უდარდელი**" (გ) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.20 სერიალი "**მილედი**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**სერიოზული საქმე**" (გ) 22.30 "საქმე და ეკონომიკა"

10.00 დებატები (განმ.) 12.00 ვიპ-შოუ და კენო (განმ.) 13.00, 19.00 ტვ-შოპი 19.00 სერიალი "**მუსკულები**" (გან.) 19.30 ანიმაციური ფილმი "დარდუბალა" (განმ.) 20.00 ვიპ-შოუ და კენო 21.00 ტვ-შოპი 22.00 სერიალი "**მუსკულები**" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 მ. მშვილდაძის შოუ 23.00 დებატები 202-ზე

## სამშაბათი, 5 ოქტომბერი,

07.30 ალიონი 09.30 მულტსერიალი "მარსუპილამი" 09.55 "იმღერე რამე" 10.25 მხ. ფილმი "**ლოლიტა**" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი 16.05 სერიალი "**უშიშრები**" 16.30 ისტორიანი 17.00 მულტსერიალი "მარსუპილამი" 17.25 "ამბობენ" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" 19.00 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი "**კარიბის ზღვაზე**" 22.00 ქიმერიონი - მ. მირიანაშვილი 00.00 მხ. ფილმი "**შემსრულებელი**" (გ)

19.00 მულტფილმი "მარსუპილამი" 19.30 "იმღერე რამე" 20.00 სერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" 21.30 კონცერტი 22.00 ბასტი-ბუბუ 22.15 მხ. ფილმი "**მოლანდება**" (გ)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 10.00 სერიალი "**ეკლები და ვარდები**" 11.00 თამაში "ყველაზე ჭკვიანი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.55 კურიერი 12.20 სერიალი "**შეყვარებული ქალები**" 13.30 მხ. ფილმი "**მებრძოლი თუ მკვლელი**" 15.25 სერიალი "**ბევერლი ჰილზი**" 16.30 სერიალი "**ეკლები და ვარდები**" 17.25 "ტელელიპუცები" 18.20 "ფოქს კიდსი" 18.45 სერიალი "**ბევერლი ჰილზი**" 19.45 პატრული 20.00 სერიალი "**შეყვარებული ქალები**" 22.00 ღამის შოუ 22.45 დოკ. ფილმი (ნ. ქაჯაია) 23.25 მხ. ფილმი "**სექსუალური ფანტაზიები**". მთ. რ-ში: ხავიერ ბარდემი, ვიქტორია აბრილი (18). 02.15 პატრული

07.00 სერიალი "**უკიდურესი ზღვარი**" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" 08.25, 12.20, 14.25, 04.30 იმედის მელოდიები 08.30 დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" 09.20 "აქტიორი" 10.05 სერიალი "**ტყუპები**" 11.15 სერიალი "**ყავა და ლუდი**" 12.40, 16.25, 04.00 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი "**ჩალის ქუდი**" 1-ლი ს. (გ) (ა. მირონოვი) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.50 ქრონიკა 15.20 სერიალი "**კლონი**" 16.30 დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" 17.25 სპ. პროგრამა "გოლი" 18.05 სერიალი "**ტყუპები**" 20.00 სერიალი "**კლონი**" 20.55 სერიალი "**ყავა და ლუდი**" მე-4ს. 22.45 "პირველები" 23.25 "ინტერ-ნიუსი" 23.55 მხ. ფილმი "**თითქმის ორსული**" (18) (რობერტსი) 01.30 "აქტიორი" 02.00 სერიალი "**ნეშ ბრიჯესი**" 02.55 "გოლი - სერია "**ა**" (იტალიის ჩემპიონატი)

09.00 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 09.30 სერიალი "**ველური მთვარე**" 10.30 სერიალი "**სინიორ ვიანელო**" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 სერიალი "**ვუპი**" 11.35 კრიმინ. დრამა "**სთშჲ** დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 12.05 ტელეჟურნალი "სცენა" 13.05 სერიალი "**პოლიციელი ქალები**" 14.15 "ფარული კამერა" 14.45 "მუსიკა მზეზე" 15.00 სერიალი "**მარია ემილია**" 16.05 სერიალი "**პოლიციელი ქალები**" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 "ფარული კამერა" 17.50 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.20 ტელეჟურნალი "მოდა" 19.05 სერიალი "**ჩენტრო ვეტრინე**" 20.45 სერიალი "**სინიორ ვიანელო**" 21.15 სერიალი "**ვუპი**" 21.45 კრიმინ. დრამა "**სთშჲ** დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 "არჩევანის ზღვარზე" 23.45 მხ. ფილმი "**ცამეტი ღამე**" (15) (კევინ კოსტნერი)

10.00 დებატები (განმ.) 12.00 ვიპ-შოუ და კენო (განმ.) 13.00, 19.00 ტვ-შოპი 19.00 სერიალი "**მუსკულები**" (გან.) 19.30 ანიმაციური ფილმი "დარდუბალა" (განმ.) 20.00 ვიპ-შოუ და კენო 21.00 ტვ-შოპი 22.00 სერიალი "**მუსკულები**" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 მ. მშვილდაძის შოუ 23.00 დებატები 202-ზე

ალბომი

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



თელაველი ტყუპი დები ლალი და ნინო ბერიაშვილები. 1957 წელი.
მოგვაწოდა რომან დავითაშვილმა.

გიხაროდენ!

## ცირას დაბადების დღეს ხე დაირგო

— ძვირფასო რედაქცია, ჩემს ქალიშვილს რუსუდანს თბილისში მკურნალობა დასჭირდა. გაჩნდა იმედიც. სამი წლის შემდეგ, ამ დღეებში რუსიკოს ქალიშვილი შეეძინა. გოგონას ცირა დავარქვით.

— კარგი ცირააო! — იციან ხოლმე თქმა სამეგრელოში. ჩვენი ოჯახის სურვილია, ჩემს შვილიშვილზეც ყველამ თქვას, კარგიაო!

ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ტრადიცია. ქართველი ქორწილის დღეს თუ შვილის შეძენის შემდეგ მის სახელზე ჭურში ღვინოს ასხამდა, ან ხეს რგავდა... ჩემს ოჯახში ასე მოხდა, ცირას



სახელზე რუსიკომ და მისმა მეუღლემ ბექანმა ეზოში ხე დარგეს.

გოგონა წამოიზრდება თუ არა, ვეტყვით, რომ ხე მის სახელზეა დარგული, თვითონაც მოუფრთხილდება. მივაჩვევთ მის სახელზე დარგულ მცენარის მოვლას.

**თამარ დანელია,**
**მარტვილი.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...



მიხოლათვზე სანადიროდ გაემზადა. მოხუცი, ფეხებმოკვეთილი მამა აეკიდა, — გინდა თუ არა, მეც წამიყვანე, მოგეხმარებიო.

— როგორ წაგიყვანო, ან რანაირად და რაში მომეხმარებიო, — გაუკვირდა მიხოს.

— შვილო, ზურგჩანთაში ჩამსვი, თუ დათვის გამოჩენისას თოფმა გიმტყუნა, ან ააცილე, შემოტრიალდები და მერე მე დავახლიოო, — უთხრა მამამ.

წავიდნენ. მიაღგნენ დათვის ბუნაგს. მიხომ ესროლა ხმაურზე გამოსულ მხეცს. ააცილა. შემოტრიალდა. ესროლა მამამისმა „დუპლეტი". მანაც ააცილა.

წინ მიხო და უკან დათვი.

ძალა ელევა მიხოს, ეცოდება მამა, მაგრამ გრძნობს, რომ ხვავგვარად ორივენი დაიღუპებიან და ზურგჩანთას მოისვრის. შემსუბუქებული სულ კისრისტეხით გარბის.

გულამოვარდნილმა სახლამდე რომ მიირბინა, ხედავს, დედამისი შუა ეზოში თმებს იგლეჯს და სახეს იხოკავს.

— უკვე გაიგე, რომ მამა არა გვყავს? — მიხომაც წაიშინა თავში ხელები.

— მამაშენს ვინ ჩივის, შვილო, თანაც არაფერი ჭირს, აგერ ხუთიოდე წუთის წინათ მოხოხდა და შემომბღავლა, — შვილი დათვმა დაგვიგლიჯაო!

* * *

— რა არის სინათლის სიჩქარე? — ეკითხება გამომცდელი ივანივანიჩს.

— დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოასწრო არყის ბოთლის გამოტანა მაცივრიდან, სანამ მასში სინათლე აინთებოდეს.

* * *

აფორიზმი — ეს არის ერთი ჭკვიანი ადამიანის ფრაზა, რომელსაც ყველა სულელი იმეორებს.

* * *

— ცოლს გავშორდი. ის საწოლში ჩემგან შეუძლებელს ითხოვდა.

— რა არის ასეთი შეუძლებელი?

— ხვრინვა მიატოვეო!

* * *

რუსეთში დემოკრატიის გზაზე გადადგმული ორი ნაბიჯი:

1. პრეზიდენტი ნიშნავს გუბერნატორებს.
2. გუბერნატორები ირჩევენ პრეზიდენტს.

ინფორმაცია

ტრაგედია

### ავარიამ ორი სიცოცხლე იმსხვერპლა

**ლენტეხიდან სოფელ მელეში მიმავალი სამგზავრო ავტობუსი, რომელშიც 40 მგზავრი იმყოფებოდა, ხევში გადავარდა. ავარიის შედეგად ორი ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა, დანარჩენი მგზავრები სხეულის მძიმე დაზიანებებით ლენტეხის საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

„ინტერ-პრესის" მონაცემებით, ლენტეხის საავადმყოფოში 13 მგზავრი იმყოფება, რომელთა მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. მობილიზებულია სამედიცინო ბრიგადები.

წინასწარი მონაცემებით, ავარიის მიზეზი საჭის მოწყვეტა გახდა, რის შემდეგაც მძღოლმა მანქანის მართვა ვეღარ შესძლო.

სამართალი

### ეგრე არ არის თაყაო...

**დაკავებულია ზუგდიდის გამგებლის ყოფილი მოადგილე ვასო ფარცვანია.**

იგი გამგებლის მოადგილედ იმ პერიოდში დაინიშნა, როცა გამგებელი ნუგზარ ანთელავა იყო, თუმცა ამ თანამდებობაზე ანთელავას გადადგომის შემდეგაც განაგრძობდა მუშაობას.

სამხარეო საოლქო პროკურორის როლანდ ახალაიას განცხადებით, ფარცვანიას სასოფლო-სამეურნეო მიწების უკანონო გასხვისებაში ედება ბრალი, რაც 3-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

კრიმინალი

### მებაჟეები დააპატიმრეს

**ლაგოდეხის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე სამი მებაჟე დააპატიმრეს. კახეთის საოლქო პროკურატურამ და შს კახეთის მთავარმა სამმართველომ ცვლის უფროსი დიმიტრი ჯოხაძე, ინსპექტორები მათე ჯალიაშვილი და შალვა არჯევანიძე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს.**

დანაშაულის გამოვლენაზე მუშაობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურმა ერთი თვის წინათ დაიწყო. გაირკვა, რომ ლაგოდეხის საბაჟოდან კონტრაბანდული გზით განუბაჟებელი საქონელი ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალიდან ლილოს ბაზრობაზე ხვდებოდა, რაც სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე არსებულ დარღვევებს უკავშირდებოდა.

დაკავებული მებაჟეების წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელიც 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

**ინტერ-პრესი.**

მარჩენალი სოფლის სევდა

# საზოგადოების ვარჯი ქალაქშია, ფესვი კი — სოფლად

(მესამე გვერდიდან)

**— ამ თვალსაზრისით, მაინც, რასთან გვაქვს საქმე საქართველოში?**

— ჩემი აზრით, საქართველოში, ქალაქები სასოფლო განვითარების მამოძრავებელ ძალას, ჯერჯერობით, ვერ წარმოადგენს. პირიქით, შეინიშნება სოფლების განვითარებისადმი გარკვეული გულგრილობა, მათი პრობლემატიკის მეორე პლანზე გადაწევა. თანდათან ოფიციალურ ხასიათს იღებს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული ე.წ. „ტერიტორიული დისკრიმინაცია". იგულისხმება თუნდაც ენერგორესურსების განაწილების პრინციპი, როდესაც მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირები ელექტროენერგიის მიწოდებას დედაქალაქს ჰპირდებიან 24 საათის განმავლობაში, ქუთაისს — დღე-ღამეში 18-20 საათით, მცირე ქალაქებს გაცილებით ნაკლები დროით, სოფელს კი...

**— სოფელზე ხმას არავინ იღებს? მთლად ასე არ არის. რაღაც უხეირო გრაფიკი იქაც არსებობს.**

— მართალია, მაგრამ ვინც გადამხდელია, ელექტროენერგია სოფლადაც გარანტირებული უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, ელექტროენერგიის მიწოდების მართლაც უხეირო, გაურკვეველი გრაფიკი ეჭვის ქვეშ აყენებს საქართველოს რაიონებში, თუნდაც მცირე საწარმოების გამართვის შესაძლებლობას. ამ პირობებში რომელ დეცენტრალიზაციაზე შეიძლება ლაპარაკი?

ყველას კარგად გვესმის, რომ ქვეყანა ჩამოყალიბების მძიმე ეტაპს გადის; მაგრამ სწორედ ამ ურთულეს ეტაპზე ყველამ — ქალაქად თუ სოფლად, თანაბრად უნდა ვიტვირთოთ ეს პრობლემები. დაუშვებელია, რომ ინფორმატიზაციის ეპოქაში, მხოლოდ ქალაქების მოსახლეობას ჰქონდეს ქვეყნისა თუ მსოფლიოს ახალი ამბების გაგების შესაძლებლობა. შეგახსენებთ, რომ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია" კრძალავს ადამიანის დაჩაგვრას, დისკრიმინაციას რასობრივი, სარწმუნოებრივი, ეთნიკური, სქესობრივი თუ სხვა ნიშნით... ჩვენ სოფლებს ძალიან ვჩაგრავთ...

**— ჩვენში ითვლება, რომ სოფელი, განსაკუთრებით, მთის სოფელი თავისთავად ღარიბია და გადახდისუუნარო...**

— მოდით, ახლებურად შევხედოთ ამგვარ შეფასებას. ჯერ ერთი, — სოფლის ცნება დღეს არ შემოიფარგლება მხოლოდ სასოფლო დასახლების საზღვრებით. სოფლის ტერიტორიის შემადგენლობაში, გარდა დასახლებისა, შედის სახნავ-სათესი ფართობები, სავარგულები, ზვრები, საძოვარი, ტყეები და ა.შ. რაც მთავარია, მთებში ან სოფელ ადგილებში სათავეს იღებს, ძალას იკრებს და ბარისკენ მოედინება უთვალავი წყარო, ნაკადული, მდინარე. სწორედ ეს ჰიდროქსელი კვებავს ქალაქებს სასმელი თუ სამეურნეო წყლით. ჰიდროენერგეტიკული პოტენციალიც, ძირითადად, სასოფლო თემების ტერიტორიაზეა კონცენტრირებული. ამიტომაც, ეკონომიკური გათვლებისას ჯეროვნად უნდა გავითვალისწინოთ სოფლების ბუნებრივი ღვაწლი წყალმომარაგების და ჰიდროენერგეტიკის სფეროებში, რომ არაფერი ვთქვათ სოფლების ტერიტორიაზე განლაგებული ტყეების კეთილისმყოფელ გავლენაზე ჩვენს განწყობასა და ეკოსისტემაზე.

**— მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ითვალისწინებს კომპენსაციას სოფლებისთვის სწორედ მათი ბუნებრივი რესურსების მოხმარების გამო. მოქმედებს უფრო მასშტაბური პროგრამებიც, რომლებიც სოფლის მოსახლეობის შენარჩუნებას, მიგრაციის პროცესის შენელებას უწყობს ხელს. ჩვენთან კი პირიქითაა...**



— ქართველ ურბანისტებს მრავალი წლის განმავლობაში კარგი ურთიერთობა გვქონდა საქართველოს მთის რეგიონების სასოფლო თემებთან. ჩვენ მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის გამოვყოფდი „შატილის მდგრადი რეგენერაციის კონცეფციას", რომელიც, არსებითად უფრო ფართო გეოგრაფიულ არეალს — პირიქითა ხევსურეთს ფარავს. პირიქითა ხევსურეთში სასოფლო თემების ადგილზე შესანარჩუნებლად გადამწყვეტია გზები, ელექტროენერგია, დაწყებითი განათლების ქსელი, ელემენტარული სამედიცინო მომსახურება. ამ მიმართულებით დამუშავდა კონკრეტული წინადებები, რომლებიც საქართველოს პარლამენტის წინა მოწვევის შესაბამის კომიტეტს მოვახსენეთ. მეტიც, პროექტის ერთ-ერთმა მიმართულებამ — ელექტრომომარაგებამ ჯეროვანი განვითარება ჰპოვა პირიქითა ხევსურეთის ე.წ. მიღმა ხევისთვის მცირე ჰესის მოწყობის საქმეში. ჩვენი ენთუზიასტების დახმარებით გაიდო რკინის კონსტრუქციის 15-მეტრიანი ხიდი ანდაქის წყალზე, რომელმაც გარე სამყაროსთან დააკავშირა რამდენიმე თითქმის გაუკაცრიელებული სოფელი.

**— ეს კარგია, მაგრამ მაინც ძალიან ცოტაა...**

— გეთანხმებით, გზა და ხიდი შემთხვევით არ მიხსენებია. საქმე ის არის, რომ, სოფლის მიგრანტი ქალაქად ფართო გზას კი არა, მთის ვიწრო ბილიკს ჩამოჰყავს. დიდი ქალაქის ჩირაღდნებთან შედარებით, სოფლის ჩაბნელებას, წკვარამ ღამეებს ნაკლები წვლილი როდი მიუძღვის ქალაქისკენ მიმართული მიგრაციული ნაკადის შექმნაში. თუ გვსურს, ადრე თუ გვიან, ქვეყნის განსახლების სისტემის წონასწორობას მივაღწიოთ, ქალაქმა სასოფლო განვითარების მამოძრავებელი ძალის ისტორიული ფუნქცია უნდა შეასრულოს.

**ესაუბრა**
**სპარტაკ ქოზულია.**

პოეზია

## ჯემალ ჩახავა

### საქართველო

ჩემო საყვარელო მიწავ — ნამიანო,
მინდა ტკივილები ისევ დამიამო.

შენი სიხარული ჩემად გამხდომია,
შენი სიგრძე-განი ირმის ნახტომია.
უნდა მაცოცხლო და უნდა დამაბერო,
ჩემო თვალის ჩინო, ჩემო საქართველო,
ჩემი დაბადების დიდო წყაროსთავო,
ჩემო ტაძარო და ჩემო სალოცავო!

### წვიმა

ჩემს ფანჯარასთან ფეთქდებიან
წვეთები წვიმის,
ო, როგორ მინდა მველ ჩონგურზე
შერხევა სიმის,
რომ გავიხსენო მოღუღუნე
ჭანგები ლაზთა,
რომ დამეუფლოს უნაზესი და
ჩუმი განცდა,
რომ დამიბრუნდეს წინაპრის ხმა ამო,
კეთილი,
საუკუნეთა უღრანებში გამოკვეთილი,
...ნუთუ ამისთვის წვიმა
უნდა ინატროს კაცმა!

### ბიჭებს

ჩვენი ჯიში და გენი მსოფლიოში
ხმაურობს,
ჩვენო ასანიძევ და ჩვენო ზვიადაურო.

ქართველი მოაზროვნე, ქართველი
ხერხიანი,
ყველაფერი დაიწყო ხომ, ნესტორ
ხერგიანით.

ღირსნი ხართ — ქართველები
ყველა უნდა გლოცავდეთ,
ფეხი ერთხელ დაგიცდა, ჩვენო
ლომო ნოზაძევ.

თქვენი ქება-დიდება დიდხანს
უნდა მომინდეს
გაუმარჯოს ქართველნო
ოლიმპიურ კომიტეტს.

ჩემო ოქროს ბიჭებო, მომავალიც
თქვენია,
უნდა გაქოთ, გადიდოთ,
სხვა რაღა დაგვრჩენია.

### ოლიმპიელებს

ხედავთ, როგორ გაიელვეს
საქართველოს არწივებმა?
მოგილოცავთ, ქართველებო,
ჩვენი ქვეყნის გაბრწყინებას.

ასე, დიდი სიხარულით
დიდი ერიც გაბრუნდება,
სამაჩაბლო ჩვენია და,
აფხაზეთიც დაბრუნდება.

ასე ჩემო საყვარლებო,
ბარელნო და მთიელებო,
საქართველო გეფერებათ,
ჩვენო ოლიმპიელებო.

### ბადრი პატარკაციშვილს

შენ მოეფერე საქართველოს
სჭიროდა როცა,
ქართველი კაცი
ამერ, იმერ
შვილივით გლოცავს.

არ დაგივიწყებთ
ამ სიკეთეს,
ამ თავდადებას,
ეს გაუმარჯოს
საქართველოს
კვლავ დაბადებას.

ამ ქვეყნად ბევრმა
ჩვენს მამულზე
შური იძია,
შენ იმ ჯიშის ხარ,
სიყვარული რომ შეგიძლია.

და ისმის ჰიმნი
საყვარელი, ჩვენი — ქართული,
მამულიშვილთა კოჰორტაში
ხარ ჩახატული.

### დროშა და ჰიმნი

რაღაც სასწაულად მოსჩანს
მაღლა აფრენილი ცაში,
ჩვენი ხუთჯვრიანი დროშა
ჰიმნის ულამაზეს ხმაში.

ჯანდაცვა

## ექიმები ამბროლაურს ეწვივნენ

**ამბროლაურის რაიონულ საავადმყოფოში კატარაქტისა და გლაუკომის ოპერაციების ჩასატარებლად გუშინ თბილისიდან მედიკოსთა ბრიგადა ჩავიდა პროფესორ ალექსანდრე ჩიჩუას ხელმძღვანელობით.**

ადგილობრივთათვის ოპერაციები გერმანული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება, რომელიც რაჭის მაღალმთიან სოფლებთან მდებარე ოსური სოფლის გადამშის მოსახლეობის მკურნალობასაც ითვალისწინებს.

ექიმები ამბროლაურის რაიონში ორ კვირას დარჩებიან.

**ინტერ-პრესი.**

მოდა

## ჰერერას იმპერია მდიდართათვის

**ამერიკული სავაჭრო ნიშანი კაროლინა ჰერერა, ყველა მდიდარი და მოდის მიმდევარი ქალბატონის სასურველი ფირმაა. მოდის ამ ცნობილ იმპერიას, რამდენიმე წელიწადია, ორი ქალბატონი კაროლინა ჰერერა და მისი ქალიშვილი ადრიანა ხელმძღვანელობს. მათი მოდელების მუდმივი მომხმარებელი ჟაკლინ კენედი-ონასისი ამბობდა: — რასაც ამ ქალბატონების ხელები შეეხება, ყველაფერი ოქროდ იქცევაო...**

**ამ ცოტა ხნის წინათ, ჰერერებმა ახალი მიმდინარეობა ნიუ-ჰერერაც დაამკვიდრეს, რომელიც, ძირითადად, ახალგაზრდებისთვის არის განკუთვნილი. დღეისათვის კაროლინა ჰერერას უძვირფასესი მაღაზიები მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქშია განთავსებული.**

კაროლინა ჟოზეფინა პაკანინსი ვენესუელის არისტოკრატიულ ოჯახში გაიზარდა. მისი დედა და ბებია მოდის დიდი თაყვანისმცემლები ყოფილან, ისინი ტანსაცმლის შესაკერად და შესაძენად პარიზში ჩადიოდნენ. 12 წლის კაროლინა ბებიას მოდის დედაქალაქში კრისტობალ ბალენსიაგას ჩვენებაზე წაუყვანია და გოგონაზე ამ დეფილეს უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია, — ჩვენების შემდეგ, რამდენიმე საათი, ხმას ვერ ვიღებდი, სილამაზემ, მშვენიერებამ მომნუსხა, სწორედ იმ საღამომ განსაზღვრა ჩემი მომავალიო, აღნიშნავს მოდელიერი.

მისმა პირველმა პერსონალურმა ჩვენებამ საოცარი ტრიუმფით ჩაიარა, კოლექცია პოდიუმზევე გაიყიდა. მოდის კრიტიკოსებმა ქალბატონ ჰერერას მეორე კოკო შანელიც კი უწოდეს, — კაროლინას ტანსაცმელი მხოლოდ მაღალი წრის ქალებისთვის არის განკუთვნილი. მისი მოდელები ნაზი, რესპექტაბელური და ამავდროულად, ექსტრავაგანტურია, აღნიშნავდნენ ისინი. თუმცა, შემდეგი კოლექციები უფრო პოპულარული და კომერციულად მომგებიანი ხასიათისა იყო.

კაროლინა ჰერერა უზღვავ ფანტაზიას, ძირითადად, ელეგანტურ, ქალურ, ამავდროულად, სექსუალურ საღამოს კაბებში აქსოვს, რომელთა ღირებულება, ბუნებრივია, მხოლოდ ძალიან მდიდრებისთვის არის ხელმისაწვდომი.

ღრმა დეკოლტე, გრძელი ჭრილი, მოშიშვლებული ზურგი და ამასთანავე, ელეგანტურობის დაცვა — აი, ის მთავარი მიმართულებები, რომლითაც დიზაინერი ქალებს განუმეორებელ მომხიბვლელობას, მიმზიდველობას ანიჭებს და ამბობს კიდეც — მომწონს, რომ ჩემი კოსტიუმების მომხმარებლებს არა აქვთ ამერიკული გემოვნება, არ დადიან მხოლოდ ჯინსებით და აჩაჩულ-დაჩაჩული, მოდამ თვალი უნდა გაახაროს, ამისთვის უპირველესად ორიგინალობა და თვითმყოფადობაა საჭირო. თუ ადამიანები ერთმანეთის



მსგავსად ჩაიცვამენ, მოდა ხომ აღარ იარსებებს...

**ლელა დონაძე.**

**სურათებზე: კაროლინა ჰერერა და მისი მოდელები.**









რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
ნომრის მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika